პ. ნ. გორდაძე და გ. რ. ფირაძე

სახელმძღვანელო ფიზიკის ლაბორატორიისათვის

დოც. დ. მ. ჩარქვიანის რედაქციით

სახელმწიფო გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“
თბილისი 1944 წ.

წინასიტყვაობა

ამ წიგნის მიზანია მომსახურეობა გაუწიოს თბილისის კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის ფიზიკის ლაბორატორიას.

იგი შეიცავს იმ ამოცანების აღწერას, რომლებიც მუშავდება ამჟამად ინსტიტუტის ლაბორატორიაში.

წიგნის შედგენისას გამოვიყენეთ ის სახელმძღვანელოები, რომლებიც უმაღლესი სასწავლებლების ლაბორატორიებისათვის არის მიღებული.

ავტორები.

ზოგიერთი საზომი იარაღი

1. მასშტაბიანი სახაზავი (ნახ. 1). ეს იარაღი წარმოადგენს სახაზავს, რომელიც დაყოფილია სანტიმეტრებად და მილიმეტრებად.

სახაზავი უნდა მივადვათ გასაზომ სხეულს ისე, რომ სახაზავის 0 დანაყოფი ემთხვეოდეს სხეულის ერთ ბოლოს. თუ სხეულის მეორე ბოლო მოჰყვა სახაზავის m და $(m+1)$ დანაყოფებს შორის, მაშინ გასაზომი სიგრძე უდრის m მთელ მილიმეტრს + მილიმეტრის განსაზღვრული ნაწილი.

ამ შემთხვევაში მილიმეტრის მთელი ნაწილები თვალდათვალ უნდა ავთვალოთ.



ნახ. 1.

2. მასშტაბი ნონიუსით. სიგრძის უფრო ზუსტი გაზომვისათვის ხმარობენ მასშტაბს ნონიუსით (ნახ. 2). ნონიუსი ეწოდება მოძრავ სახაზავს (N), რომელიც დაყოფილია თანასწორ ნაწილებად.

ნონიუსი სრიალებს მასშტაბიან (M) სახაზავის გასწვრივ.



ნახ. 2.

ნონიუსზე დანაყოფები გადაზომილია შემდეგნაირად: (M) სახაზავის $(n-1)$ დანაყოფი დაყოფილია n თანასწორ ნაწილად.

მაშინ ნონიუსის ერთი დანაყოფი (M) მასშტაბის დანაყოფის $\frac{n-1}{n}$ ნაწილს შეადგენს.

თუ მასშტაბის თითოეული დანაყოფის სიგრძე არის—l, ხოლო ნონიუსის დანაყოფის სიგრძე l_1, მაშინ ნონიუსის მთელი სიგრძე იქნება:

$$nl_1=(n-1)\,l;$$

აქედან ნონიუსის ერთი დანაყოფის სიგრძე:

$$l_1=\frac{n-1}{n}l$$

ნონიუსის თითოეული დანაყოფის სიგრძე განსხვავდება მასშტაბის თითოეული დანაყოფის სიგრძისაგან:

$$l-l_1=l-\frac{n-1}{n}\,l=l\left(1-\frac{n-1}{n}\right)=\frac{1}{n}l$$

ე. ი.

$$l-l_1=\frac{1}{n}l \qquad (1)$$

პრაქტიკაში უფრო ხმარობენ მილიმეტრებიან მასშტაბს. ასეთი მასშტაბის ნონიუსის სიგრძე უდრის 9 მმ-ს და დაყოფილია 10 თანასწორ ნაწილად.

(1) ფორმულის თანახმად ასეთი ნონიუსის თითოეული დანაყოფი მასშტაბის დანაყოფისაგან 0,1 მმ-ით განსხვავდება.

ნონიუსით უნდა გავზომოთ ასე:

მილიმეტრებიან (M) მასშტაბზე (ნახ. 2) სრიალებს 9 მმ სიგრძის (N) ნონიუსი, რომელიც დაყოფილია 10 თანასწორ ნაწილად.

ვთქვათ გასაზომი გვაქვს (B) ღეროს სიგრძე.

მასშტაბი უნდა მივადგათ B ღეროს ისე, რომ ერთი ბოლო დაემთხვეს მასშტაბის 0 დანაყოფს; გამოვწიოთ (N) ნონიუსი მარცხნივ ისე, რომ ის მჭიდროდ მიედგას (B) ღეროს მეორე ბოლოს. ჩვენს მაგალითში გასაზომი ღეროს მარჯვენა ბოლო და, მაშასადამე, ნონიუსის ნულოვანი დანაყოფიც მდებარეობს მასშტაბის მე-14 და მე-15 დანაყოფებს შორის.

მაშასადამე, ღეროს სიგრძე 14 მმ-ზე მეტია და 15 მმ-ზე ნაკლებია. უნდა გავიგოთ, რას უდრის მასშტაბის მე-14 დანაყოფის იქით გადაცილებული ღეროს სიგრძის ნაწილი, ანუ რა ნაწილით გადაიწია ნონიუსის ნულოვანმა დანაყოფმა მასშტაბის მე-14 დანაყოფიდან.

თუ დავაკვირდებით ნონიუსის დანაყოფებს, შევამჩნევთ, რომ ერთი მათგანი სახელდობრ: მე-5, ემთხვევა მასშტაბის დანაყოფს.

ვინაიდან ჩვენი ნონიუსის თითოეული დანაყოფი განსხვავდება მასშტაბის თითოეული დანაყოფისაგან 0,1 მმ-ით, ამიტომ ნონიუსის პირველი დანაყოფი მასშტაბის რომელიმე დანაყოფს რომ შეხვედროდა, მაშინ მასშტაბის მე-14 დანაყოფიდან ნონიუსის ნული გადაიწევდა 0,1 მმ-ით, ნონიუსის მეორე დანაყოფი რომ შეხვედროდა მასშტაბის რომელიმე დანაყოფს, მაშინ ნონიუსის ნული გადაიწევდა მე-14 დანაყოფიდან 0,2 მმ-ით და ა. შ. ჩვენს შემთხვევაში კი ნონიუსის მე-5 დანაყოფი შეხვდა მასშტაბის დანაყოფს. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნონიუსის ნულმა მე-14 დანაყოფიდან გადაინაცვლა 0,5 მმ-ით, ე. ი. გასაზომი ღეროს სიგრძე ყოფილა 14,5 მმ.

საბოლოოდ, შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ შემდეგი წესი: **მილიმეტრების მთელი რიცხვი აითვლება მასშტაბზე, ხოლო მილიმეტრის მეათედი ნაწილები აითვლება ნონიუსზე და გამოიხატება იმ რიცხვით, რომლითაც ნონიუსის დანაყოფი დაემთხვა მასშტაბის რომელიმე დანაყოფს.**

3. **შტანგენ ფარგალი.** ნონიუსის პრინციპი გამოყენებულია შტანგენ ფარგალში.



ნახ. 3.

შტანგენ ფარგალი გამართულია შემდეგნაირად (ნახ. 3): მილიმეტრებად დაყოფილ ფოლადის M სახაზავს ერთ ბოლოზე აქვს (A) უძრავი ფეხი (K) ნისკარტით; სახაზავზე სრიალებს C—ჩარჩო, რომელსაც მიმაგრებული აქვს (B) ფეხი K_1 ნისკარტით და C ხრახნი, რომლითაც შეიძლება ჩარჩო მივამაგროთ სახაზავის ნებისმიერ წერტილს.

ჩარჩოზეა სახაზავის დანაყოფები; ჩარჩოს ჩაჭრილ ნაწილზე მოთავსებულია (N) ნონიუსი, რომლის ნულოვანი დანაყოფი იმ შემთ-

ხვევაში ემთხვევა სახაზავის (მასშტაბის) ნულოვან დანაყოფს, როცა (B) ფეხი მჭიდროდ არის მიდგმული A ფეხზე.

საზომ საგანს A და B ფეხებს შორის ათავსებენ და გაიგებენ სიგრძეს ისე, როგორც ნონიუსიანი მასშტაბის შემთხვევაში.

შტანგენ ფარგალით შეიძლება გაიზომოს: სიგრძე, სისქე, მილის შინაგანი დიამეტრი; გარეგანი დიამეტრი და სიღრმე.

მილის შინაგანი დიამეტრის გასაზომად სარგებლობენ K და K_1 ნისკარტებით, რომლებსაც ჩაჰყოფენ მილში და ნისკარტებს გასწევენ ისე, რომ მჭიდროდ ეხებოდენ გასაზომი მილის კედლებს; დიამეტრის სიგრძეს ათვლიან ჩვეულებრივად (M) მასშტაბისა და (N) ნონიუსის დანაყოფებით.

სიღრმის გასაზომად შტანგენ ფარგალს შემდეგი მოწყობილობა აქვს: ჩარჩოს (სახაზავის შიგნიდან) მიმაგრებული აქვს L ღერო, რომელიც ჩარჩოსთან ერთად მოძრაობს.

როცა A და B ფეხები ერთმანეთს ეხებიან, მაშინ L ღეროს ბოლო ემთხვევა სახაზავის ბოლოს. გასაზომ სიღრმეში (მოძრავი ჩარჩოს საშუალებით) L ღეროს ისე ჩაუშვებენ, რომ ღერო ეხებოდეს გასაზომი სიღრმის ფსკერს, ხოლო (M) სახაზავის ბოლო უნდა ეხებოდეს სიღრმის ზევითა პირს. ამისთვის, ცხადია, დაგვჭირდება C ჩარჩოს L ბოლოსკენ დაწევა, რაც გამოიწვევს A და B ფეხების ერთმანეთისაგან დაშორებას. A და B ფეხებს შორის მანძილი გასაზომი სიღრმის ტოლი იქნება. ამ მანძილს გავზომავთ ჩვეულებრივად M მასშტაბისა და N ნონიუსის საშუალებით.

4. მიკრომეტრული ხრახნი (სისქემზომი) (ნახ. 4) მიკრომეტრული ხრახნი ანუ მიკრომეტრი მცირე სიგრძეთა გასაზომად იხმარება, მაგალითად, თხელი ფირფიტის სისქის ან მავთულის დიამეტრის გასაზომად.



ნახ. 4.

მიკრომეტრი შესდგება ფოლადის (A) ჭამირისაგან, რომლის მარჯვენა შტო შიგნით ამოხარატებულ ხრახნულ B მილს წარმოადგენს. ამ ლარში C ხრახნი შედის, რომელიც მიმაგრებულია E მასრაზე. E მასრა (D) თავის საშუალებით ბრუნავს.

ჩვეულებრივ ხრახნის ბიჯი ერთ მილიმეტრს უდრის; ასე რომ ერთი ბრუნვით ხრახნი ერთი მმ-ით გადინაცვლებს (წინ ან უკან). როდესაც ხრახნი სავსებით ჩახრახნილია და მისი (b) ბოლო ეხება (a) გამონაშვერს, მაშინ მასრაზე მოთავსებული (N) რკალის დანაყოფი ემთხვევა (B) მილზე მოთავსებულს (M) მასშტაბის ნულოვან დანაყოფს.

ხრახნის ერთი ბრუნვით მისი (b) ბოლო (a) გამონაშვერს ერთი მმ-ით დაშორდება; ორი ბრუნვით 2 მმ-ით და, საზოგადოდ, ხრახნის n ბრუნვით b ბოლო a ბოლოს n მმ-ით დაშორდება.

თუ ხრახნს ვაბრუნებთ $\frac{1}{m}$ ნაწილით, მაშინ მისი გადანაცვლება იქნება $\frac{1}{m}$ მმ. ერთი ბუნვის ნაწილების ასათვლელად და მილიმეტრების ნაწილების ასათვლელად E მასრის მთელი ნაპირი ირგვლივ დაყოფილია 100 თანასწორ ნაწილად (N სკალა).

როცა E მასრა N რკალის ერთ დანაყოფზე მობრუნდება, მაშინ ხრახნი გადაინაცვლებს 0,01 მმ-ით.

გაზომვას აწარმოებენ ასე: გასაზომ სისქეს ათავსებენ a და b გამონაშვერებს შორის და D თავის საშუალებით ჩახრახნიან ხრახნს მანამდე, სანამ გასაზომი სხეული არ იქნება ჩაჭედილი a და b-ს შორის. გასაზომი სხეული მაშინ ჩაითვლება მთლიანად ჩაჭედილად a და b გამონაშვერებს შორის, როდესაც D თავის ბრუნვა არ იწვევს ხრახნის ბრუნვას და მხოლოდ D თავი (ფუჭი სვლა) ბრუნავს.

გასაზომი სისქის მილიმეტრთა მთელ რიცხვს ათვლიან M მასშტაბზე, ხოლო მილიმეტრის მეასედ ნაწილებს N სკალაზე.

5. კატეტომეტრი. კატეტომეტრის (ნახ. 5) დანიშნულებაა: ერთ ვერტიკალზე მდებარე ორ წერტილს (A და B) შორის მანძილის გაზომვა.



ნახ. 5.

კატეტომეტრის უმარტივეს სახეს წარმოადგენს დანაყოფებიანი D ვერტიკალური სახაზავი, რომელზედაც მოძრაობს ჰორიზონტალურად დაყენებული ჭოგრი (H).

ჭოგრს უმიზნებენ ჯერ ერთ A წერტილს და შემდეგ მეორე B წერტილს. ორთავე შემთხვევაში აიღებენ ანათვლებს D სახაზავისა და N ნონიუსის სკალების საშუალებით. ამ ანათვლათა სხვაობა გასაზომი AB მანძილი იქნება.

6. **წამმზომი** (ნახ. 6). დროის მცირე შუალედების გასაზომად ხმარობენ წამმზომს. მისი მოწყობილობა ისეთივეა, როგორც ჩვეულებრივი უბის საათისა, მაგრამ ჩვეულებრივ საათისაგან განსხვავდება იმით, რომ წამმზომს აქვს ორი ისარი: ერთი – მცირე, წუთების ასათვლელად, მეორე კი—დიდი, წამების ასათვლელად. დიდი ისრის ერთი ბრუნვისას მცირე ისარი გადაინაცვლებს ერთი დანაყოფით.

მცირე ისრის ციფერბლატის ერთი დანაყოფი შეესაბამება ან ერთ მთელს, ან ნახევარ წუთს.



ნახ. 6.

დიდი ისრის თითოეული დანაყოფი, რომელიც ერთი წამის მაჩვენებელია, თავის მხრივ დაყოფილია 5 თანასწორ ნაწილად; მაშასადამე, წამმზომი ზომავს დროს 0,2 წამის სიზუსტით (ნახ. 6). წამმზომის გაშვება, ან გაჩერება ხდება A საჭერზე თითის დაჭერით.

დროის შუალედი შემდეგნაირად უნდა გავზომოთ:

შუალედის საწყის მომენტში საჭერს დავაჭერთ თითს; მაშინვე ამოძრავდება ორთავე ისარი.

შუალედის დასრულების მომენტში ისევ დავაჭერთ თითს A-ს, ორთავე ისარი მყისვე გაჩერდება. მცირე ისრის ციფერბლატზე ავითვლით წუთების მთელ რიცხვს, ხოლო დიდი ისრის ციფერბლატზე — წამების რიცხვს 0,2 წამის სიზუსტით.

ზოგიერთი წამმზომის მექანიზმი მუდამ მუშაობს, თუმცა შეიძლება ისრები უძრავად იყვნენ, ზოგის მექანიზმი კი ამუშავდება მხოლოდ A-ზე თითის დაჭერით.

წამმზომის მექანიზმი რომ ამუშავდეს, ამისთვის A-ს ბრუნვით იგი უნდა მოიმართოს.

7. **სფერომეტრი.** სფერომეტრი ხელსაწყოა, რომლის საშუალებითაც ზომავენ სფერული მინების (ლინზების) სიმრუდის რადიუსს, ბრტყელი ფირფიტების სისქესა და ზედაპირის უსწორმასწორობას.



ნახ. 7.

სფერომეტრის მთავარ ნაწილს წარმოადგენს მიკრომეტრული ხრახნი (M) რომელიც მიდგმულია სამფეხა სადგარის (A) ქანჩზე (ნახ. 7) მიკრომეტრულ ხრახნის ქვედა ბოლო წაწვეტილია, ზედა ბოლოზე გაკეთებულია E დისკო, რომელიც დაყოფილია 50 ტოლ ნაწილად.

მიკრომეტრული ხრახნის ბიჯი უდრის 0,5 მმ-ს, ე. ი. ერთი სრული ბრუნვისას ხრახნის ბოლო გადაინაცვლებს 0,5 მმ-ით. სამფეხზე

მიმაგრებულია „D" სახაზავი დანაყოფით. მიკრომეტრული ხრახნის ბრუნვისას დისკო გადაინაცვლებს (აიწევს ან დაიწევს) სახაზავის გასწვრივ. სახაზავზე აითვლება მილიმეტრების მთელი რიცხვი, ხოლო დისკოს სკალაზე მილიმეტრების მეასედი ნაწილები.

ცთომილებათა შესახებ

ექსპერიმენტალურ მეცნიერებათა შორის ფიზიკას ერთ-ერთი პირველი ადგილთაგანი უკავია. აქედან კი ის გამომდინარეობს, რომ ფიზიკაში ექსპერიმენტს (ცდას) დიდი მნიშვნელობა აქვს. ფიზიკის კანონების დიდი უმრავლესობა მიღებულია ცდების საშუალებით. რაიმე ფიზიკური კანონის გამოკვლევა ნიშნავს იმას, რომ უნდა ვიპოვოთ დამოკიდებულება იმ სიდიდეთა შორის, რომლებიც მონაწილეობას იღებენ მოცემულ კანონზომიერებაში. ამ მიზანს გაზომვით აღწევენ. რაიმე სიდიდის გაზომვა იმას ნიშნავს, რომ საჭიროა ამ სიდიდის შედარება ისეთ სიდიდესთან, რომელიც პირობით მიღებულია ერთეულად. აშკარაა, რომ გაზომვის დროს დიდ როლს თამაშობს ჩვენი გრძნობათა ორგანოები. გაზომვის დროს მივმართავთ ჩვენი გრძნობის რომელიმე ორგანოს, უფრო ხშირად კი—თვალსა და ყურს. აღნიშნული ორგანოები კი ისე არ არის განვითარებული, რომ ზუსტად შეაფასონ მოვლენის რაოდენობითი მხარე. ხშირად ორ სიდიდეს ერთმანეთის ტოლად ვთვლით, თუ მათ შორის სხვაობა მეტად მცირეა. მაშასადამე, შესაძლებლობა არა გვაქვს ვიპოვოთ ზუსტი ფარდობა ერთი სიდიდისა მეორესთან (ერთეულთან), არამედ ყოველთვის და ყოველ გაზომვის შედეგად მიღებული ფარდობანი მიახლოებითია, ე. ი. გარკვეულ ცთომილებას შეიცავს. ფიზიკა კი, როგორც ცნობილია, ზუსტ მეცნიერებათა კატეგორიას ეკუთვნის. მეცნიერების სიზუსტე მკვლევარისაგან მოითხოვს, რომ შეფასებული იყოს გაზომვის შედეგად მიღებული რიცხვების სიზუსტის ხარისხი. ზემოთ ნათქვამის ჩამოყალიბება ასეც შეიძლება: რადგან ყოველი გაზომვა შეიცავს ჩვენი გრძნობათა ორგანოების ან გასაზომი ხელსაწყოს მიერ დაშვებულ ცთომილებას, ამიტომ სავალდებულოა ამ ცთომილებათა გამოთვლა. ჩვენი გრძნობათა ორგანოების გარდა, ცთომილებებზე გავლენას ახდენს კიდევ სხვა ფაქტორებიც: მაგ., ხელსაწყოს დაყენების სისწორე, მისი ჩვენების სიზუსტე, ლაბორატორიის სინესტე, ტემპერატურა და ა. შ. ამიტომ რაიმე სიდიდის გაზომვისას სიდიდის რიცხვითი მნიშვნელობის გარდა საჭიროა აგრეთვე ამ პასუხის სიზუსტის გამოკვლევაც, ე. ი. რომელი ათწილადი ნიშნის მიახლოებით არის გაზომილი ესა თუ ის სიდიდე.

ფიზიკის ლაბორატორიაში პრაქტიკულ მეცადინეობის მიზანს შეადგენს ის, რომ სტუდენტს გააცნოს ბუნების მოვლენები და კანონები უფრო ახლოვ; ვიდრე ეს შესაძლებელია სალექციო დემონსტრაციების საშუალებით. ამას გარდა ლაბორატორიის მიზანია ხელსაწყოების გაცნობა და ფიზიკურ გაზომვათა ძირითადი მეთოდების ათვისება.

1. ცთომილებათა თეორია. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ცთომილებანი შეიძლება გამოწვეული იქნეს: ან ხელსაწყოების უწესივრობით, მათი არასწორი დადგმით, თვით გაზომვის მეთოდის უვარგისობით, ან ჩვენი გრძნობათა ორგანოების არასიზუსტით და ა. შ. ამ მიზეზების მიხედვით ცთომილებანი სისტემატიურ და შემთხვევით ცთომილებად დაიყოფიან.

სისტემატიური ცთომილება გამომდინარეობს ან გაზომვის მეთოდის უვარგისობით, ან ხელსაწყოს რაიმე დეფექტით და ამიტომ მათი აცილების შესაძლებლობა ყოველთვის არის. ამ მიზნისათვის კი საჭიროა, რაც შეიძლება დაწვრილებით იქნეს შესწავლილი ხელსაწყოს და ექსპერიმენტის ყველა პირობები. თუ, მაგალითად, ხელსაწყოს შესწავლის დროს გამოირკვა, რომ იგი იძლევა არა სწორ ჩვენებას, მაშინ გაზომვის წარმოების დროს ეს მდგომარეობა უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში სათანადო შესწორების შეტანით.

შემთხვევითი ცთომილებათა მიზეზად შეიძლება დავასახელოთ ჩვენი გრძნობათა ორგანოები. შემთხვევითი ცთომილებათა კატეგორიას მიეკუთვნებიან აგრეთვე ის განსხვავებანი, რომლებსაც ვღებულობთ ჩვენ არა ერთგვაროვანი სხეულის გაზომვის დროს; მაგალითად, მავთულის დიამეტრის გაზომვის დროს მავთულის სხვადასხვა ადგილას ჩვენ მივიღებთ ერთმანეთისაგან განსხვავებულ შედეგებს იმიტომ, რომ მავთულის დიამეტრი სხვადასხვა ადგილას მართლაც სხვადასხვანაირია.

შემთხვევითი ცთომილებანი არავითარ მუდმივ კანონებს არ ემორჩილება. თუ ერთი გაზომვის დროს მიღებული შედეგი ჭეშმარიტ მნიშვნელობაზე ნაკლები აღმოჩნდება, მაშინ ერთერთ შემდეგ გაზომვას შეუძლია მოგვცეს ჭეშმარიტ მნიშვნელობაზე მეტი შედეგი. შემთხვევითი ცთომილებათა საკითხი დაწვრილებით განხილულია უმაღლეს მათემატიკაში—ალბათობათა თეორიაში.

ალბათობათა თეორიის საშუალებით შესაძლებელია, როგორც გასაზომი სიდიდის რიცხვითი მნიშვნელობის შეფასება, აგრეთვე წარმოებული გაზომვის სიზუსტის ხარისხის გამოთვლაც.

თუ ერთიდაიგივე სიდიდის რამდენიმე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი გაზომვაც იყო წარმოებული და ამ გაზომვის შედეგად მი-

ღებულია ერთმანეთისაგან განსხვავებული რიცხვითი მნიშვნელობანი, მაშინ ალბათობათა თეორიის ერთ-ერთი დებულების თანახმად მიღებულ შედეგების საშუალო არითმეტიკული უნდა წარმოადგენდეს ისეთ რიცხვს, რომელიც თავის მნიშვნელობით ყველაზე უფრო მიახლოებულია საძიებელ სიდიდის ჭეშმარიტ მნიშვნელობასთან.

საშუალო არითმეტიკულს ასე ვიპოვით:

დავუშვათ, რომ ვაწარმოეთ საკვლევი სხეულის n გაზომვა და ამ გაზომვის დროს მივიღეთ ასეთი რიცხვები: $K_1, K_2, K_3 \ldots K_n$

$$K_{საშ}=\frac{K_1+K_2+\cdots+K_n}{n}=\frac{\Sigma K_i}{n}$$

პირველი გაზომვის შედეგად მიღებული K_1 რიცხვი $K_{საშ}$-საგან ΔK-ით განსხვავდება

$$K_{საშ}-K_1=\pm\Delta K,$$

ანალოგიურად

$$K_{საშ}-K_2=\pm\Delta K_2$$

და ა. შ.

$$K_{საშ}-K_n=\pm\Delta K_n$$

რომელიმე გაზომვით მიღებულ რიცხვს (Ki) და საშუალო არითმეტიკულს ($K_{საშ}$) შორის სხვაობით მიღებულ შედეგს გაზომვის აბსოლუტური ცთომილება ეწოდება. როგორც ჩანს, აბსოლუტური ცთომილება შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი, რადგან გადახრა საშუალო შედეგიდან შესაძლებელია როგორც მეტობით აგრეთვე ნაკლებობით. აბსოლუტურ ცთომილებათა რიცხვითი მნიშვნელობის საშუალო არითმეტიკულს, საშუალო აბსოლუტური ცთომილება ეწოდება ($\Delta K_{საშ}$). განმარტების თანახმად:

$$\Delta K_{საშ}=\frac{(\Delta K_1)+(\Delta K_2)+\cdots+(\Delta K_n)}{n}$$

საშუალო აბსოლუტური ცთომილების შეფარდებას საზომი სიდიდის საშუალო მნიშვნელობასთან საშუალო ფართობითი ცთომილება (E) ეწოდება.

ნათქვამის თანახმად

$$E=\pm\frac{\Delta K_{საშ}}{K_{საშ}}$$

ჩვეულებრივად E-ს გამოსახავენ პროცენტებში. ამიტომ

$$E=\pm\frac{\Delta K_{საშ}}{K_{საშ}}\cdot 100\%$$

კვადრატული ფესვი წილადიდან, რომლის მრიცხველია აბსოლუტურ ცთომალებათა კვადრატების ჯამი, მნიშვნელი კი დაკვირვებათა რიცხვი ერთის გამოკლებით, თითოეული დაკვირვების საშუალო კვადრატულ ცთომილებს (f) წარმოადგენს

$$f=\pm\sqrt{\frac{\Delta K_1^2+\Delta K_2^2+\cdots+\Delta K_n^2}{n-1}}$$

მთელი შედეგის საშუალო კვადრატული ცთომილებისათვის ალბათობის თეორია ასეთ ფორმულას იძლევა:

$$F=\pm\sqrt{\frac{\Delta K_1^2+\Delta K_2^2+\cdots+\Delta K_n^2}{n(n-1)}}$$

ალბათობის თეორიის კანონების თანახმად, თუ საშუალო კვადრატულ ცთომილებას (როგორც ყოველ დაკვირვების, აგრეთვე მთელი შედეგის) გავამრავლებთ 0,6745-ზე ალბათობით ცთომილებას მივიღებთ.

მაშასადამე, თითოეული დაკვირვების ალბათობითი ცთომილება (W)

$$W=0{,}6745f=\pm0{,}6745\sqrt{\frac{\Delta K_1^2+\Delta K_2^2+\cdots+\Delta K_n}{n-1}}$$

და მთელი შედეგის ალბათობითი ცთომილება (W)

$$W=0{,}6745\sqrt{\frac{\Delta K_1^2+\Delta K_2^2+\cdots+\Delta K_n^2}{n(n-1)}}$$

მაგალითი: [1]) მიკრომეტრის საშუალებით გაზომილი იყო მავთულის D დიამეტრი 5-ჯერ. მიღებულია ასეთი რიცხვები:

$=0{,}53$ მმ
$=\ ,52$ მმ
$=0{,}53$ მმ
$=0{,}54$ მმ
$=0{,}51$ მმ

$$D_{\text{საშ}}=\frac{0{,}53+\ ,52+0{,}53+0{,}54+0{,}51}{5}=0{,}526 \text{ მმ}$$

---

[1]) აღებულია კულაკოვის სახელმძღვანელოდან.

გამოვთვალოთ ეხლა აბსოლუტური ცთომილებანი:

$$\Delta D_1 = D_{საშ} - D_1 \quad = 0{,}526 - 0{,}53 = +0{,}004$$
$$\Delta D_2 = D_{საშ} - D_2 \quad = 0{,}526 - 0{,}52 = +0{,}006$$
$$\Delta D_3 = D_{საშ} - D_3 \quad = 0{,}526 - 0{,}53 = +0{,}004$$
$$\Delta D_4 = D_{საშ} - D_4 \quad = 0{,}526 - 0{,}54 = +0{,}014$$
$$\Delta D_5 = D_{საშ} - D_5 \quad = 0{,}526 - 0{,}51 = +0{,}016$$

საშუალო აბსოლუტური ცთომილება ($\Delta D_{საშ}$)

$$\Delta D_{საშ} = \frac{+0{,}004 + 0{,}006 + 0{,}004 + 0{,}014 + 0{,}016}{5} = \frac{0{,}044}{5}$$

მაშ $\Delta D_{საშ} = 0{,}0088 \quad = 0{,}009$ მმ

საბოლოო შედეგი იქნება:

$$D = 0{,}526 \pm 0{,}009 \text{ მმ.}$$

ჩვენ ვიპოვეთ ის ზღვრები, რომელთა შორისაც მოთავსებულია საძიებელი სიდიდის რიცხვითი მნიშვნელობა. ეს ზღვრებია $+0{,}009$ მმ და $-0{,}009$ მმ; ამიტომ შეგვიძლია დავწეროთ:

$$0{,}526 - 0{,}009 < D < 0{,}526 + 0{,}009$$

ანუ

$$0{,}517 < D < 0{,}535$$

საშუალო ფარდობითი ცთომილება

$$E = \pm \frac{0{,}009}{0{,}526} = 0{,}017 = 1{,}7\%.$$

ლაბორატორიაში მუშაობის დროს ხშირად ისმება კითხვა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იყოს გაზომილი აბსოლუტური ცთომილება იმ შემთხვევაში, როდესაც რამდენიმე გაზომვის შედეგად ვღებულობთ ერთსა და იმავე რიცხვებს. მაგალითად, თუ მავთულის დიამეტრის რამდენიმე ადგილას გაზომვისას მივიღეთ ერთი და იგივე რიცხვი, სახელდობრ—0,55 მმ., ეს იმის მაჩვენებელია, რომ მავთულის დიამეტრის შესაძლებელი გადახრები საშუალოდან არ აღემატება მიკრომეტრის ერთი დანაყოფის ნახევარს. რადგან მიკრომეტრის ერთი დანაყოფი ესაბამება მმ-ის 0,01, ამიტომ დანაყოფის ნახევარია 0,005 მმ და შესაძლებელი აბსოლუტური ცთომილებაა (გადახრა) ($0{,}55 \pm 0{,}005$) მმ.

ხშირად გასაზომი სიდიდე წარმოადგენს ერთი ან რამდენი მესიდიდის ფუნქციას, მაგალითად, (S) ფართი არის ზედაპირის სიგრძის (a) და სიგანის (b) ფუნქცია. როგორ უნდა გამოვთვალოთ ცთომილება? შევთხვდეთ და საშუალო ცთომილების ნაცვლად მაქსიმალური ცთომილება გამოვთვალოთ, რადგან

$$S=a\cdot b,$$

ამიტომ დავუშვათ, რომ a სიგრძის გამოთვლისას მაქსიმალური აბსოლუტური ცთომილება $\pm\Delta a$ ტოლი იყო და სიგანის გაზომვისას კი $\pm\Delta b$. აშკარაა, რომ ფართის გაზომვისას დაშვებული ცთომილება იქნება $\pm\Delta S$. მაშასადამე,

$$S\pm\Delta S=(a\pm\Delta a)(b\pm\Delta b)$$

რადგან გვაინტერესებს არა მინიმალური, არამედ მაქსიმალური ცთომილება, ამიტომ განტოლებაში დავტოვებთ $+$ ნიშანს და მივიღებთ:

$$S+\Delta S=(a+\Delta a)(b+\Delta b)=ab+b\Delta a+a\Delta b+\Delta a\cdot\Delta b.$$

ახლა ვიპოვოთ მაქსიმალური ფარდობითი ცთომილება.

$$S+\Delta s=ab+b\Delta a+a\Delta b+\Delta a\cdot\Delta b;\quad S=ab$$

$$\text{ამიტომ}\ \Delta S=b\cdot\Delta a+a\cdot\Delta b+\Delta a\cdot\Delta b$$

რადგან $\Delta a\cdot\Delta b$ მცირე სიდიდეებია, ამიტომ ნამრავლი უფრო მცირე იქნება და შეიძლება ამ ნამრავლის უგულებელყოფა;
ამიტომ

$$\Delta S=b\Delta a+a\Delta b$$

$$E=\frac{\Delta s}{s}=\frac{b\Delta a}{ab}+\frac{a\Delta b}{ab},$$

საბოლოოდ:

$$\frac{\Delta s}{s}=\frac{\Delta a}{a}+\frac{\Delta b}{b}$$

ანალოგიურად შეგვიძლია გამოვთვალოთ მოცულობის (V) ფარდობითი ცთომილება:

$$\frac{\Delta V}{V}=\frac{\Delta a}{a}+\frac{\Delta b}{b}+\frac{\Delta c}{c}$$

და საერთოდ, თუ

$$N=a\cdot b\cdot c\cdot d\cdot\cdots\cdot m,$$

მაშინ ფარდობითი ცთომილება

$$\frac{\Delta N}{N}=\frac{\Delta a}{a}+\frac{\Delta b}{b}+\frac{\Delta c}{c}+\frac{\Delta d}{d}+\cdots+\frac{\Delta m}{m},$$

ე. ი. მივიღებთ წესს, რომლის თანახმადაც ნამრავლის ფარდობითი ცთომილება თანამრავლების ფარდობითი ცთომილებების ჯამის ტოლია. თუ გვექნებოდა ხარისხიანი ფუნქცია, ე. ი. $a=b=c=d=\cdots m$ (სულ n ტოლი თანამრავლი), ე. ი. $N=a^n$, მაშინ

$$\frac{\Delta N}{N}=\frac{\Delta a}{a}+\frac{\Delta a}{a}+\cdots+\frac{\Delta a}{a},$$

$$\frac{\Delta N}{N}=\pm n\frac{\Delta a}{a}.$$

გამოვთვალოთ ამ შემთხვევისათვის აბსოლუტური ცთომილება (ΔN)

$$\Delta N=\pm n\frac{\Delta a}{a}\cdot N=\pm n\,\frac{\Delta a}{a}\cdot a^n \text{ ანუ } \Delta N=\pm n\cdot a^{n-1}\cdot\Delta a$$

ხარისხის აბსოლუტური ცთომილება უდრის ხარისხის მაჩვენებელს (n) გამრავლებულს არგუმენტზე, რომლის ხარისხის მაჩვენებელია ($n-1$) და გამრავლებულს არგუმენტის აბსულუტურ ცთომილებაზე.

თუ გვაქვს წილადი მაგ., d სიმკვრივე, რომელიც როგორც ცნობილია, წარმოადგენს მასის (m) ფარდობას (V) მოცულობასთან, მაშინ ფარდობითი ცთომილების საპოვნელად ასე ვიქცევით. დავწეროთ სიმკვრივის ფორმულა $d=\frac{m}{V}$ და ვიპოვოთ ფარდობითი ცთომილება, ე. ი. $\frac{\Delta d}{d}$.

დავუშვათ, რომ მასის გაზომვისას დაშვებული ცთომილება იყო $\pm\Delta m$, და მოცულობის გაზომვისას $\pm\Delta V$, და სიმკვრივის გაზომვისას $\pm\Delta d$.

ასეთ შემთხვევაში

$$d\pm\Delta d=\frac{m\pm\Delta m}{V\pm\Delta V}$$

რადგან ჩვენ გვაინტერესებს მაქსიმალური ფარდობითი ცთომილება, ამიტომ მრიცხველში ვტოვებთ $+$ ნიშანს, მნიშვნელში კი $-$.

მაშასადამე, გვაქვს $d\pm\Delta d=\dfrac{m+\Delta m}{V-\Delta V}$

$$\mp d = \mp \frac{m}{V}$$

$$\Delta d = \frac{m+\Delta m}{V-\Delta V} - \frac{m}{V} =$$

$$= \frac{mV + V \cdot \Delta m - mV - m\Delta V}{V(V-\Delta V)} = \frac{V\Delta m + m\Delta v}{V^2\left(1-\frac{\Delta V}{V}\right)}.$$

რადგან ΔV-მცირეა, ამიტომ $\frac{\Delta V}{V}$ შეიძლება უკუვაგდოთ, მივიღებთ:

$$\Delta d = \frac{V\Delta m + m\Delta V}{V^2} \ldots\ldots \quad (ა)$$

d-ზე გაყოფით გვექნება:

$$\frac{\Delta d}{d} = \frac{V \cdot \Delta m + m\Delta V}{V^2} : \frac{m}{V} = \frac{V\Delta m}{Vm} + \frac{\Delta V \cdot m}{Vm}$$

საბოლოოდ მივიღებთ:

$$\frac{\Delta d}{d} = \frac{\Delta m}{m} + \frac{\Delta v}{v},$$

ე. ი. წილადის ფარდობითი ცთომილება მრიცხველის და მნიშვნელის ფარდობით ცთომილებათა ჯამის ტოლია.

აბსოლუტური ცთომილება კი იქნება [იხ. (ა) ფორმულა]:

$$\Delta d = \frac{m\Delta v + v\Delta m}{m^2}.$$

რადგან რაიმე სიდიდის ფესვი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც წილადიანი ხარისხი, ამიტომ შეგვიძლია დავწეროთ:

$$x = \sqrt[n]{a} = a^{1/n}.$$

მაშინ ფარდობითი ცთომილება

$$\frac{\Delta x}{x} = \pm \frac{1}{n} \quad \frac{\Delta a}{a}.$$

დიფერენციალური აღრიცხვის მეთოდებით ცთომილებათა გამოთვლა იოლია.

დავუშვათ, რომ საძიებელი N სიდიდე, ფუნქციონალურ დამოკიდებულებაშია მეორე სიდიდესთან (x-თან), რომლის გაზომვასაც ვაწარმოებდით, ე. ი.

$$N=f(x).$$

დავუშვათ შემდეგ, რომ x-ის გაზომვისას მიღებული მაქსიმალური ცთომილება უდრის $\pm dx$, მაშინ ეს შეცთომა გამოიწვევს სათანადო შეცთომას $\pm \Delta N$ შედეგში, ამიტომ

$$N\pm dN=f(x\pm dx) \qquad (1)$$

ამ განტოლების მარჯვენა მხარე დავშალოთ ტაილონის წკრივად, მივიღებთ:

$$N\pm dN=f(x)\pm dx\frac{df(x)}{dx}\pm\frac{(dx)^2}{2!}\cdot\frac{d^2f(x)}{dx^2}\pm\ldots$$

dx-ის სიმცირის გამო ამ წკრივის ყველა წევრი, რომლებიც შეიცავენ ერთზე მეტ ხარისხის მაჩვენებელს, შეიძლება უკუვაგდოთ და დაგვრჩება:

$$N\pm dN=f(x)\pm\frac{df(x)}{dx}dx$$

ორთავე მხარეს გამოვაკლოთ $N=f(x)$ და მივიღებთ

$$dN=\pm dx\frac{df(x)}{dx}.$$

წესი: ფუნქციის აბსოლუტური ცთომილება არგუმენტის აბსოლუტური ცთომილების და ამ ფუნქციის წარმოებულის ნამრავლის ტოლია:

ამ შემთხვევაში ფარდობითი E ცთომილება

$$E=\pm\frac{\Delta N}{N}$$

მიიღებს ასეთ სახეს.

$$E=\pm\frac{dx}{f(x)}\quad\frac{df(x)}{dx}.$$

რიგი	მოქმედება	აბსოლუტური ცთომილება	ფარდობითი ცთომილება
1	$x=a+b$	$\Delta x=\pm(\Delta a+\Delta b)$	$\frac{\Delta x}{x}=\pm\frac{\Delta a+\Delta b}{a+b}$
2	$x=a-b$	$\Delta x=\pm(\Delta a+\Delta b)$	$\frac{\Delta x}{x}=\pm\frac{\Delta a+\Delta b}{a-b}$
3	$x=ab$	$\Delta x=\pm(b\Delta a+a\Delta b)$	$\frac{\Delta x}{x}=\pm\left(\frac{\Delta a}{a}+\frac{\Delta b}{b}\right)$
4	$x=a^n$	$\Delta x=\pm na^{n-1}\Delta a$	$\frac{\Delta x}{x}=\pm n\frac{\Delta a}{a}$
5	$x=\frac{a}{b}$	$\Delta x=\pm\frac{b\Delta a+a\Delta b}{b^2}$	$\frac{\Delta x}{x}=\pm\left(\frac{\Delta a}{a}+\frac{\Delta b}{b}\right)$
6	$x=\sqrt[n]{a}$	$\Delta x=\pm\frac{1}{n}\,\frac{\Delta a}{\sqrt[n]{a^{n-1}}}$	$\frac{\Delta x}{x}=\pm\frac{1}{n}\,\frac{\Delta a}{a}$
7	$x=\sin\alpha$	$\Delta x=\pm\cos\alpha$	$\frac{\Delta x}{x}=\pm\operatorname{ctg}\alpha\ d\alpha.$
8	$x=\cos\alpha$	$\Delta x=\pm\sin\alpha$	$\frac{\Delta x}{x}=\pm\operatorname{tg}\alpha\ d\alpha$

გავეცნოთ კერძო მაგალითზე ცთომილებათა გამოთვლის წესს. ვთქვათ გამოსათვლელია იმ ლითონის სიმკვრივე, რომლიდანაც გაკეთებულია ცილინდრი. ცნობილია, რომ d სიკვრივე $d=\frac{m}{v}$

სადაც:

m არის მასა და v მოცულობა.

ცილინდრის მოცულობა

$$v=\frac{\pi D^2}{4}\cdot h,$$

სადაც D დიამეტრია და h ცილინდრის სიმაღლე.

d სიმკვრივის ფორმულაში ჩასმით მივიღებთ:

$$d=\frac{m}{\frac{\pi D^2 h}{4}}=\frac{4m}{\pi D^2 h}.$$

რადგან d წილადია, ამიტომ

$$\frac{\Delta d}{d}=\frac{\Delta(4m)}{4m}+\frac{\Delta(\pi D^2 h)}{\pi D^2 h}$$

რადგან მუდმივ რიცხვებს (4 და π) არ ვზომავთ, ამიტომ

$$\frac{\Delta d}{d}=\frac{\Delta m}{m}+\frac{\Delta(D^2 h)}{D^2 h}, \text{ მაგრამ}$$

$$\frac{\Delta(D^2 h)}{D^2 h}=2\frac{\Delta D}{D}+\frac{\Delta h}{h}, \text{ ამიტომ}$$

$$\frac{\Delta d}{d}=\frac{\Delta m}{m}+2\frac{\Delta D}{D}+\frac{\Delta h}{h}.$$

ვთქვათ გვესაჭიროება ცილინდრის სიმკვრივის გამოთვლა მოცემული სიზუსტით, მაგ., 1%-ის მიახლოებით. რადგან $1\%=0{,}01$ და $\frac{\Delta d}{d}$ შეიცავს ოთხ შესაკრებს $\left(\frac{\Delta D}{D}\text{ შედის ორჯერ}\right)$, ამიტომ 0,01 უნდა განაწილდეს ოთხ შესაკრებზე. თითოეულ შესაკრებს საშუალოდ ხვდება $1/4\%$ ანუ 0,0025 და ამიტომ

$$\frac{\Delta m}{m}=0{,}0025;\quad 2\frac{\Delta D}{D}=0{,}005 \text{ და } \frac{\Delta h}{h}=0{,}0025$$

აქედან კი შეგვიძლია აბსოლუტურ ცთომილებათა გამოთვლა

$$\Delta m=0{,}0025\,m;\ 2\Delta D=0{,}005D \text{ და } \Delta h=0{,}0025\,h.$$

ვთქვათ, სიზუსტის დაუცველად გავზომეთ m, D და h და ასეთი გაზომვით მივიღეთ:

$m=400$ გ; $D=4$ მმ და $h=4$ მმ. ახლა შეიძლება გამოვთვალოთ Δm, $2\Delta D$ და Δh.

$\Delta m=0{,}0025\cdot 400=1$ გ; $2\Delta D=0{,}005\cdot 4=0{,}02$ და $\Delta h=0{,}0025\cdot 4=0{,}01$

ამგვარად, სხეულის მასის გაზომვის აბსოლუტური ცთომილება არ უნდა აღემატებოდეს 1 გ. ამისათვის კი სავსებით დამაკმაყოფილებელია ჩვეულებრივი ტექნიკური სასწორი. რაც შეეხება დიამეტრის და სიმაღლის აბსოლუტურ ცთომილებებს, როგორც ჩანს, მათი სიზუსტის 1 მმ-ის მეასედებით იზომება. მაშასადამე, სავსებით გამოსადეგი იქნება შტანგენფარგალი. გამოთვლათა წარმოებისას ხშირად

უშვებენ დიდ შეცთომას იმის გამო, რომ არითმეტიკულ მოქმედებას აწარმოებენ რიცხვის ზედმეტ ნიშნებზე. მაგალითად, თუ სიგრძეს ვზომავთ შტანგენფარგალით, მაშინ აშკარაა, რომ მეათასედებს არავითარი ფასი არ აქვთ, რადგან შტანგენფარგალით შეუძლებელია სანტიმეტრის მეათასედის გაზომვა. ამიტომ, თუ ორი მიახლოებითი რიცხვის შეკრებას ვახდენთ და თუ ერთი შესაკრები აღებულია მეათედის სიზუსტით, მაშინ მეორე შესაკრების მეასედ და მეათასედ ნიშნებს არა აქვს არავითარი ფასი, რადგან ჯამის აბსოლუტური ცთომილება სულ ერთია, არ იქნება 0,1-ზე ნაკლები.

აქედან გამომდინარეობს, რომ მიახლოებითი რიცხვების გამრავლების და გაყოფისას უკანასკნელნი აღებულნი უნდა იყოს ერთნაირი სიზუსტით, რადგან ცთომილება როგორც ნამრავლის, აგრეთვე წილადისა თითოეული წევრის ცთომილებაზე მეტია.

ზოგიერთი მითითებანი ლაბორატორიაში მუშაობის წესის შესახებ

1. ყოველი მუშაობის შედეგი წერილობით უნდა იყოს გაფორმებული ოქმის სახით.

2. ყოველი ოქმის პირველ გვერდზე უნდა იყოს:

ა) სამუშაოს სახელწოდება:

ბ) სამუშაოს მიზანი და გამოკვლევის ობიექტის დასახელება;

გ) ხელსაწყოთა სქემა მათი მოკლე აღწერით.

მეორე გვერდზე:

ა) დაკვირვებათა ცხრილი;

ბ) საძიებელ სიდიდის გამოსათვლელი ფორმულა;

გ) საძიებელი სიდიდის გამოთვლა;

დ) აბსოლუტური და ფარდობითი ცთომილების გამოსათვლელი ფორმულა;

ე) აბსოლუტური და ფარდობითა ცთომილებათა გამოთვლა.

მესამე გვერდზე:

ა) გრაფიკები და დიაგრამები, თუ კი ეს საჭიროებას მოითხოვს;

მეოთხე გვერდზე:

მუშაობის მსვლელობა (საკუთარი სიტყვებით).

ლაბორატორიიდან გასვლისას სტუდენტმა უნდა მიიღოს მითითება იმის შესახებ, თუ რა სამუშაოს შეასრულებს იგი შემდეგ მოსვლაზე, რათა სათანადოთ მოამზადოს მორიგი ამოცანის თეორია.

ამოცანა № 1.

დაუტვირთავი სასწორის ნულოვანი წერტილის პოვნა და ზუსტი აწონვა.

ზუსტი ანუ ანალიზური სასწორი ჩვეულებრივი ტექნიკური სასწორისაგან განსხვავდება, როგორც *AB* უღლის კონსტრუქციით, ისე შუა საყრდენში და ჯამების დაკიდვის წერტილებში ხახუნის სიმცირით.



ნახ. 8.

ანალიზური სასწორი შესდგება ტოლმხრიანი *AB* ბერკეტისაგან, რომელსაც უღელი ეწოდება. ეს უღელი დაყრდნობილია ფოლადის პრიზმის (*D*) წიბოზე. რადგან უღლის სიმძიმის ცენტრი მდებარეობს საყრდნობ წერტილის დაბლა, ამიტომ მისი წონასწორობა მდგრადია, ე. ი. ის ყოველთვის დაუბრუნდება ჰორიზონტალურ მდებარეობას. უღლის ორივე ბოლოზე ჯამების დასაკიდად გვაქვს სპეციალური მოწყობილობა პრიზმების სახით. ზუსტ სასწორებში საშუალო და განაპირა პრიზმების წიბოები პარალელურნი უნდა იყვნენ. დაუტვირთავი სასწორის შემთხვევაში უღელი ჰორიზონტალურად უნდა მდებარეობდეს. ამის გამოსარკვევად კი უღელს შუაში აქვს მიმაგრებული გრძელი ისარი (*DE*). ამ ისრის ბოლო ირყევა *S* სკალის გასწვრივ. უღლის ჰორიზონტალური მდებარეობისას ეს ისარი უნდა გვაჩვენებდეს სკალის შუა დანაყოფს.

ამას გარდა აღსანიშნავია კიდევ ლითონის სახელური—*K*, რომელიც აქვს ყოველ ზუსტ სასწორს და რომლის მოტრიალებითაც შესაძლებელია უღლისა და ჯამების აწევა ზევით. ამის გამო უღლისა და ჯამების პრიზმები აღარ აწვებიან საყრდენ სიბრტყეს და ამით თავიდან ვიცილებთ ამ პრიზმების წიბოების ნაადრევ გაცვეთას. ასეთ პირობებში სასწორით სარგებლობა არ შეიძლება და ამბობენ,

რომ სასწორი არეტირებულია. სასწორის რეარეტერებისათვის საჭიროა სახელურის მოტრიალება და ამით უღელი და ჯამები განთავისუფლებულნი იქნებიან.

რადგან აბრები 1 მილიგრამიდან 10 მილიგრამამდე თავისი სიმცირის გამო ხმარებისათვის დიდ უხერხულობას წარმოადგენენ, ამიტომ ასეთი აბრების ნაცვლად იხმარება მავთულის მარყუჟი, რომელსაც რეიტერი ეწოდება (ნახ. 10). რადგან უღელი შუა (0) წერტილიდან (ნახ. 9) მარცხნივ და მარჯვნივ ათ ტოლ ნაწილადაა დაყოფილი, ამიტომ ბერკეტის კანონის თანახმად, რეიტერი აიწონის იმდენ მგ-ს, რომელ დანაყოფზედაც იგი იქნება დაკიდული. მაგალითად, თუ რეიტერი დაკიდულია მე-3 დანაყოფზე იგი ზემოდ ნათქვამის თანახმად მოგვცემს დამატებით წონას 3 მგ-ს, ანუ 0,003 გ.



ნახ. 9.


ნახ. 10. რეიტერი.

მტვერისა და ჰაერის მოძრაობისაგან დასაფარავად სასწორს ათავსებენ შუშაბანდიან ხის კოლოფში, რომლის წინა კედელი ასახდელია და გვერდებში აქვს კარები.

სასწორი წარმოადგენს მეტად ზუსტ ფიზიკურ ხელსაწყოს. ამჟამად ისეთი ანალიზური სასწორები არსებობს, რომლებიც 1 მგ დატვირთვის დროს შესამჩნევ გადახრას იძლევიან, თუ ჯამებზე დაწყობილი ტვირთები განსხვავდებიან 0,001 მგ-ით.

სასწორის მაღალი გრძნობიერობა მოითხოვს ყოველი დამკვირვებელისაგან ყურადღებით და გულდასმით იქნეს შესწავლილი აწონვის შემდეგი წესები:

აწონვის წესები:

1. არ შეეხოთ ხელით სასწორის უღელსა და ჯამებს, რადგან სასწორის ყოველ გაჭუჭყიანებას მოჰყვება ცთომილება აწონვაში.

2. არ შეიძლება სასწორის ჯამებზე ჭუჭყიანი, სველი ან ცხელი სხეულების დადება.

3. ასაწონი სხეული მოათავსეთ სასწორის მარცხენა ჯამზე, აბრები კი — მარჯვენაზე.

4. ყოველ სასწორს აქვს თავისი ზღვრული დატვირთვა. აკრძალუ-

ლია ისეთი სხეულების აწონვა, რომელთა წონაც აღემატება სასწორის ზღვრულ დატვირთვას.

5. აბრების ამოწყობა ყუთიდან და სასწორზე დალაგება აწარმოეთ პინცეტით (მაშით).

6. აწონვისას არ აჩქარდეთ. დამკვირვებელი უნდა იჯდეს სასწორის პირდაპირ და არა გვერდით.

7. სასწორის ჯამიდან აღებული აბრების მაგიდაზე დალაგება აკრძალულია. აბრები უნდა ჩააწყოთ ყუთის სათანადო უჯრებში.

8. თუ სასწორით მუშაობას არ აწარმოებთ, ასეთი სასწორი არეტირებული უნდა იყოს. არეტირის ჩამოშვება ხდება ანათვლების აღებისას.

9. არეტირება უნდა აწარმოოთ იმ მომენტში, როდესაც ისარი გადის ქვედა სკალის ნულოვან დანაყოფზე.

I.

დაუტვირთავი სასწორის ნულოვანი (n_0) წერტილის პოვნა

დაუტვირთავი სასწორის ნულოვანი (n_0) წერტილი სკალის იმ დანაყოფს ეწოდება, რომელზედაც გაჩერდება სასწორის ისარი მას შემდეგ, როგორც კი შეწყდება საწორის რყევა. n_0-ის საპოვნელად არ არის სავალდებულო და საჭირო, რომ არეტირებიდან განთავისუფლებული ისარი მრავალი რყევის შესრულების შემდეგ შეჩერდეს. არსებობს შესაძლებლობა, რომლითაც ისრის რყევებით შეიძლება საძიებელი ნულოვანი (n_0) წერტილის პოვნა. სამი, ხუთი, შვიდი და საერთოდ კენტი რიცხვების მარჯვნივ და მარცხნივ გადახრათა საშუალო არითმეტიკულების ნახევარი ჯამი იძლევა ნულოვან წერტილს.

n_0 წერტილის გამოთვლისას უარყოფითი რიცხვების თავიდან ასაცილებლად მიღებულია პირობით, რომ ქვედა სკალის მარცხენა განაპირა დანაყოფი ჩაითვალოს ნულად, შუა დანაყოფი ათად და განაპირა მარჯვენა დანაყოფი კი—ოცად. შუა (მეათე) დანაყოფი რომ

აგვეღო ნულად, მაშინ მარცხნივ და მარჯვნივ დაგვჭირდებოდა უარყოფითი და დადებითი რიცხვების შემოღება, რაც გაართულებდა გამოთვლებს.

ნულოვანი წერტილის მოსაძებნად და ჩაწერის წესის გასაცნობად გავარჩიოთ კერძო მაგალითი.

დაუტვირთავი სასწორის ნულოვანი (n_o) წერტილის მოძებნა

რიგი	გადახრები — მარცხნივ	გადახრები — მარჯვნივ	შენიშვნა
1	$a_1=6,4$	$a_2=19,8$	ეს რიცხვები მოყვანილია ნიმუშად. სტუდენტმა დაკვირვებათა წარმოების დროს a_1, a_2... და ა. შ. მაგიერ უნდა ჩაწეროს ცდის დროს მიღებული რიცხვები.
2	$a_3=6,5$	$a_4=19,2$	
3	$a_5=6,6$		
საშუალო	$K_1=6,5$	$K_2=19,5$	

$$n_o=\frac{6,5+19,5}{2}=13$$

ზოგადი n_o-ის გამოსათვლელად გვაქვს მარცხენა გადახრების საშუალო

$$K_1=\frac{a_1+a_3+a_5}{3},$$

მარჯვენა გადახრების საშუალო

$$K_2=\frac{a_2+a_4}{2};$$

$$n_o=\frac{K_1+K_2}{2}.$$

შენიშვნა: 1. სკალის დანაყოფის მეათედ ნაწილებს თვალ-ოვალად აიღებენ.
2. სასწორს ფრთხილად უნდა მოვეპყრათ, რადგან ყოველი მცირე ბიძგიც კი სცვლის მის ნულოვან წერტილს

II.

აწონვა

n_o-ის პოვნის შემდეგ შევუდგებით სხეულის აწონვას: სასწორის მარცხენა ფიალაზე ვათავსებთ ასაწონ სხეულს, მარჯვენაზე კი— აბრებს. აბრების დაწყობა ფიალაზე უნდა ხდებოდეს მიმდევრობით— დიდი წონის აბრიდან მცირესაკენ ისე, რომ უღლის განთავისუფლების შემდეგ ისარი არ გამოდიოდეს ქვედა სკალის (S) ფარგლიდან. რადგან სასწორის საშუალებით სხეულის ზუსტი წონის გამორკვევა ერთბაშად დიდ სიძნელეს წარმოადგენს, ამიტომ ჯერ ავიღებთ სხეულის წონას ნაკლებობით, ე. ი. ისე, რომ აბრების წონა რეიტერით იყოს ნაკლები სხეულის წონაზე და ისრის რყევის ამპლიტუდა არა

სცილდებოდეს სკალას. ავიღებთ, როგორც დაუტვირთავი სასწორის შემთხვევაში (სამი მარცხენა და ორი მარჯვენა გადახრის საშუალებით) სასწორის ნულოვანი მდგომარეობის წერტილს, რომელიც n_1-ის ტოლი უნდა იყოს. შემდეგ უღელზე მარჯვნივ რეიტერის რამდენიმე დანაყოფზე გადანაცვლებით ავიღებთ სხეულის წონას სიჭარბით, ე. ი. ამ შემთხვევაში აბრების წონა სჭარბობს სხეულის წონას და ისრის რყევის ამპლიტუდა არა სცილდება სკალის ფარგლებს. ამ შემთხვევისათვისაც ვიღებთ სასწორის ნულოვანი მდგომარეობის წერტილს, რომელსაც აღვნიშნავთ n_2-ით.

ზემოთ აღნიშნული რომ უფრო ნათელი შეიქნეს, მოვიყვანოთ რიცხვითი მაგალითი: სასწორის მარცხენა მხარეზე ასაწონი სხეულია, მარჯვენა მხარეზე კი—აბრები. $50+20+10+5+2+0{,}5+0{,}1+$ $+0{,}02=87{,}62$ გ. ამის გარდა, რეიტერი მდებარეობს უღლის მარჯვენა მხრის მესამე დანაყოფზე (0,003 გ). მაშასადამე, სხეულის დაახლოებითი წონა (ნაკლებობით) იქნება 87,623 გ.

სასწორის ასეთი მდებარეობისას ისრის რყევებიდან მიღებულია $n_1=15$.

როდესაც უღელზე რეიტერი გადავანაცვლეთ მარჯვნივ ორი დანაყოფით, ცხადია, შეიცვლებოდა სასწორის ნულოვანი წერტილიც და ამიტომ გვესაჭიროება მისი კვლავ მოძებნა. დავუშვათ რომ მისი სიდიდეა $n_2=10$. მაშასადამე, გვაქვს სხეულის წონა ნაკლებობით—87,623 გ და სათანადო ნულოვანი წერტილები: $n_0=13$, $n_1=15$, $n_2=10$. რეიტერის მარჯვნივ ორ დანაყოფზე გადაწევით მივიღეთ ნულოვანი წერტილის შეცვლა n_1-იდან n_2-მდე (15-დან 10-მდე), ე. ი. 5 ერთეულით, რაც ესაბამება 0,002 გ. ცხადია, რომ თუ სკალის დანაყოფის 5 ერთეული ეთანადება 0,002 გ,—ერთი დანაყოფისათვის მივიღებთ $\frac{0{,}002}{5}$; ჩვენ კი გვესაჭიროება n_1-დან n_0-ზე გადასასვლელად არა ერთი დანაყოფი, არამედ – ორი ($n_1-n_2=2$).

თუ სკალის ყოველი დანაყოფისათვის ჩვენ გვქონდა $\frac{0{,}002}{5}$, აშკარაა, რომ ორი დანაყოფისათვის გვექნება ორჯერ მეტი, ე. ი.

$$\frac{0{,}002}{5}\cdot 2=0{,}0008 \text{ გ}.$$

მაშასადამე, სხეულის წონის ზუსტი მნიშვნელობა უნდა იყოს 87,6238 გ.

თუ ამ წონას P-თი აღვნიშნავთ, წონის ნაკლებობით P_1-ით (ჩვენს შემთხვევაში $P_1=87{,}623$ გ) დამატებითი აბრას—ΔP-თი ჩვენს შემთხვევაში დამატებით აბრის როლში იყო რეიტერის გადანაცვლება უღელზე

მარჯვნივ ორი დანაყოფით და ამიტომ $\Delta P=0{,}002$ გ), მაშინ ჩვენ კერძო შემთხვევისათვის ამ რიცხვების მაგიერ მათი აღნიშვნების ჩასმის შემდეგ მივიღებთ ზოგად ფორმულას:

$$\boxed{P=P_1+\Delta P\frac{n_1-n_0}{n_1-n_2}}$$

სიზუსტისათვის აწონვა რამდენჯერმე უნდა ჩატარდეს და მხოლოდ ის ათწილადი ნიშნებია მისაღები, რომლებიც თანხვდენილნი იქნებიან თითოეული აწონვის შემდეგ.

ამოცანა № 2

მყარი სხეულის წონაკუთრის განსაზღვრა ჰიდროსტატიკური აწონვით

საჭირო ხელსაწყოები: 1. სასწორი 2. საცდელი მყარი სხეული. 3. აზრები, 4. ჭიქა წყლით და 5. სკამი (სასწორის ფიალაზე გადასადგამი).



ნახ. 11.

ცნობილია, რომ სხეულის წონაკუთრი ეწოდება ამ სხეულის ერთი კუბური სანტიმეტრის მოცულობის წონას, გამოხატულს გრამებში. ამიტომ, სხეულის წონაკუთრი რომ გავიგოთ, საჭიროა ამ სხეულის წონა (გრამებში) გავყოთ მოცულობაზე (სმ³-ში).

თუ წონაკუთრს აღვნიშნავთ d ასოთი, წონას P-თი და მოცულობას V-თი, მაშინ მივიღებთ შემდეგ ფორმულას:

$$d=\frac{P}{V} \qquad \text{(I)}$$

მაშასადამე, წონაკუთრის გამოსაანგარიშებლად უნდა ვიცოდეთ: 1) სხეულის წონა გრამებში და 2) მოცულობა სმ³-ში.

წონას გავიგებთ აწონვით სიზუსტით 1 მგ-დე.

მოცულობის გასაგებად კი მოვიქცეთ ასე: არქიმედის კანონის თანახმად, **სითხეში ჩაძირული სხეული თითქოს ჰკარგავს წონაში იმდენს, რამდენსაც იწონის ამ სხეულის მოცულობის ტოლი სითხე.**

ვთქვათ სხეულის წონა ჰაერში არის P გრამი, ხოლო იმავე სხეულის წონა წყალში P_1 გრამი; მაშინ სხვაობა $(P-P_1)$ იმდენი გრამი იქნება, რამდენი კუბური სანტიმეტრიც არის წყალში ჩაძირული სხეულის მოცულობა. (ვგულისხმობთ რომ წყლის წონაკუთრი $d=1\frac{\text{გრამი}}{\text{სმ}^3}$).

ამგვარად, მოცულობა კუბიკურ სანტიმეტრებში უდრის წონის დანაკარგს გრამებში:

$$V=P-P$$



ნახ. 12.

თუ ჩავსვამთ V-ს მიღებულ მნიშვნელობას (I) ფორმულაში, მივიღებთ წონაკუთრის გამოსაანგარიშებელ საბოლოო ფორმულას:

$$d=\frac{P}{P-P_1} \qquad \text{(II)}$$

ცდის მსვლელობა:

1. აწონეთ სხეული ჰაერში სიზუსტით 1 მგ-დე—P;
2. აწონეთ იგივე სხეული წყალში—P_1;

ამისათვის სასწორის ფიალაზე (ნახ. 12) გადასწიეთ სკამი, ზედ დადგით ჭიქა წყლით. ასაწონი სხეული ჩამოჰკიდეთ სასწორის მარ-

ცხენა მხარეზე, აწონეთ სიზუსტით 1 მგ-დე და შემდეგ ჩაუშვით წყლიან ჭიქაში ისე, რომ სხეული არ ეხებოდეს ჭიქის არც ფსკერს, არც კედლებს და არც სითხის ზედაპირს.

წონასწორობის აღსადგენად მარჯვენა ჯამიდან მოვაკლოთ აბრები; ჯამზე დარჩენილი აბრების წონა გამოხატავს სხეულის წონას წყალში—P_1.

P-სა და P_1-ის მნიშვნელობანი შეიტანეთ (I) ფორმულაში და მიიღებთ წონაკუთრის რიცხვით მნიშვნელობას.

დაკვირვება აწარმოეთ 5-ჯერ, შედეგები შეიტანეთ ცხრილში და გამოიანგარიშეთ. როგორც ფარდობითი, ისე აბსოლუტური ცთომილება.

დაკვირვებათა ცხრილი

რიგი	სხეულის წონა ჰაერში—P	სხეულის წონა წყალში—P_1	$P-P_1$	d	Δd
1					
2					
3					
4					
5					

$$d=$$

ფარდობითი ცთომილება $E_d=$

შენიშვნა: ჩვენ მიერ მიღებული ფორმულა:

$$d=\frac{P}{P-P_1}$$

არ მოგვცემს სხეულის წონაკუთრის ზუსტ მნიშვნელობას შემდეგი მიზეზის გამო:

1. აწონვის დროს ჩვენ მხედველობაში არ მიგვიღია სხეულისა და აბრების წონის დანაკარგი ჰაერში.

2. წყლის წონაკუთრი მოცემულ ტემპერატურის დროს განსხვავდება 1-საგან.

თუ შევიტანთ შესწორებას ჰაერში წონის დანაკარგზე, მივიღებთ:

$$d=\left[\frac{P}{P-P_1}(\delta-\gamma)+\gamma\right],$$

სადაც: δ არის წყლის წონაკუთრი მოცემულ ტემპერატურის დროს და γ ჰაერის წონაკუთრი. თუ შევიტანთ შესწორებას ტემპერატუ-

რაზე, მაშინ სხეულის წონაკუთრი $O°C$ ტემპერატურის დროს გამოიანგარიშება ფორმულით:

$$d_0=\left[\frac{P}{P-P_1}(\delta-\gamma)+\gamma\right](1+\beta t),$$

სადაც β არის მოცემული სხეულის გაფართოების თერმული კოეფიციენტი, ხოლო t ოთახის ტემპერატურა.

II შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა

ისეთი სხეულის წონაკუთრის განსაზღვრა, რომელიც წყალში არ იძირება.

თუ სხეული წყალში არ იძირება, მაშინ მისი წონაკუთრის გამოსაანგარიშებლად უნდა მოვიქცეთ ასე:

1. ავწონოთ საცდელი სხეული ჰაერში, მისი წონა იყოს P_1 გრამი.

2. ავიღოთ ისეთი დამხმარე სხეული, რომელიც იძირება წყალში. ავწონოთ იგი წყალში—P_2 გრამი.

შევკრათ დამხმარე და საცდელი სხეული ერთად და ავწონოთ წყალში—P_3 გრამი.

4. საცდელი სხეულის წონა წყალში იქნება: (P_3-P_2) გრამი

5. საცდელი სხეულის წონის დანაკარგი წყალში იქნება: $(P_1-P_3+P_2)$ გრამი.

მაშასადამე, საცდელი სხეულის წონაკუთრი

$$d=\frac{P_1}{P_1-P_3+P_2}\cdots \quad (I)$$

სადაც,

P_1 არის საცდელი სხეულის წონა ჰაერში,
P_2 „ დამხმარე სხეულის წონა წყალში,
P_3 „ დამხმარე და საცდელი სხეულების წონა წყალში.

შენიშვნა: (I) ფორმულა არ მოგვცემს სხეულის წონაკუთრის ზუსტ მნიშვნელობას. საჭიროა შესწორების შეტანა, როგორც ჰაერში წონის დანაკარგზე, ისე ტემპერატურაზე.

თუ აღვნიშნავთ: წყლის წონაკუთრს მოცემულ ტემპერატურის დროს δ-ასოთი, ჰაერის წონაკუთრს γ-თი, სხეულის გაფართოების კოეფიციენტს β-თი, ხოლო ოთახის ტემპერატურას t-თი, მაშინ მივიღებთ წონაკუთრის გამოსაანგარიშებელ შესწორებულ ფორმულას:

$$d_0=\left[\frac{P_1}{P_1-P_3+P_2}(\delta-\gamma)+\gamma\right](1+\beta t).$$

დაკვირვებათა ცხრილი

№№	P_1	P_2	P_3	$P_1-P_3+P_2$	d	Δd
1						
2						
3						
4						
5						

$d=$

ფარდობითი ცთომილება $E_d=$

III შემთხვევა

სითხის წონაკუთრის განსაზღვრა ჰიდროსტატიკური აწონვით.

უნდა ავიღოთ დამხმარე სხეული, რომელიც იძირება როგორც საცდელ სითხეში, ისე წყალში:

1. ავწონოთ ეს სხეული ჰაერში—P;

2. ავწონოთ იგივე სხეული წყალში—P_1;

მაშინ სხვაობა $(P-P_1)$ გრამი მოგვცემს იმ წყლის წონას, რომლის მოცულობა უდრის დამხმარე სხეულის მოცულობას.

3. ავწონოთ დამხმარე სხეული საცდელ სითხეში—P_2,

მაშინ სხვაობა $(P-P_2)$ გრამი იქნება იმ საცდელი სითხის წონა, რომლის მოცულობა უდრის დამხმარე სხეულის მოცულობას.

4. ამგვარად აღებული სხეულის მოცულობის საცდელი სითხის წონა არის $(P-P_2)$ გრამი, ხოლო იმავე მოცულობის წყლის წონა არის $(P-P_1)$ გრამი.

5. დამხმარე სხეულის, მაშასადამე, საცდელი სითხის მოცულობა იქნება: $\frac{P-P_1}{\delta}$ სმ³.

მაშინ საცდელი სითხის წონაკუთრი მოცემულ ტემპერატურაზე იქნება:

$$d=\frac{P-P_2}{P-P_1}\,\delta,$$

სადაც δ არის წყლის წონაკუთრი მოცემულ ტემპერატურის დროს.

მაშასადამე, სითხის წონაკუთრის გამოსაანგარიშებლად, დამხმარე სხეული უნდა აიწონოს სამჯერ:

1) ჰაერში (P_1), 2) წყალში (P_2) და საცდელ სითხეში (P_3).

დაკვირვებათა ცხრილი

№№	P	P_1	P_2	d	Δd
1					
2					
3					
4					
5					

$d=$

ფარდობ. ცთ-ბა $E_d=$

ამოცანა № 3

სხეულის წონაკუთრის განსაზღვრა მისი წონით და გეომეტრიულ განზომილებათა მიხედვით

საჭირო ხელსაწყოები და მასალა: 1) გეომეტრიულად წესიერი სხეულები (ერთი და იგივე ნივთიერებისა): ცილინდრი და პარალელეპიპედი; 2) შტანგენფარგალი და 3) აწონები ყუთით.

სხეულის წონაკუთრი უდრის ამ სხეულის წონას (გრამებში) გაყოფილს მის მოცულობაზე (სმ³-ში) ე. ი.

$$d=\frac{P}{V}\cdot\cdot\cdot\cdot \qquad \text{(I)}$$

წონას (P) გამოიანგარიშებთ აწონვით სიზუსტით 1 მილიგრამამდე. მოცულობას გამოიანგარიშებთ გეომეტრიული წესებით:

1. ცილინდრის მოცულობა

$$V=\pi R^2 H \quad \text{ან}$$

$$V=\frac{1}{4}\pi D^2 H,$$

სადაც:

R არის ცილინდრის რადიუსი (სმ-ში),

H „ „ სიმაღლე (სმ-ში),

და D „ „ დიამეტრი (სმ-ში).

2) პარალელეპიპედის მოცულობა $V=abc$, სადაც a, b და c არის პარალელეპიპედის განზომილებანი (სიგრძე, სიგანე და სიმაღლე).

ცდის მსვლელობა

1. აწონეთ ცილინდრი სიზუსტით 0,001 გრამამდე; გაიგებთ P-ს.

2. გაზომეთ შტანგენფარგალით ცილინდრის H სიმაღლე და D დიამეტრი. მიღებული შედეგები ჩასვით ცილინდრის მოცულობის ფორმულაში და გაიგებთ V-ს.

3. P და V-ს მნიშვნელობანი შეიტანეთ წონაკუთრის ფორმულაში $\left(d=\frac{P}{V}\right)$ და მიიღებთ იმ ნივთიერების წონაკუთრს, რომლისაგანაც დამზბდებულია ცილინდრი.

4. შტანგენფარგალით გაზომეთ პარალელეპიპედის სიგრძე (a), სიგანე (b) და სიმაღლე (c).

მიღებული შედეგები შეიტანეთ პარალელეპიპედის მოცულობის ფორმულაში და გაიგებთ პარალელეპიპედის V მოცულობას.

5. აწონეთ პარალელეპიპედი სიზუსტით 1 მგ-დე და გაიგებთ P-ს.

6. P და V-ს მნიშვნელობანი შეიტანეთ წონაკუთრის ფორმულაში $\left(d=\frac{P}{V}\right)$ და გაიგებთ d-ს.

რადგან ცილინდრი და პარალელეპიპედი ერთ და იგივე ნივთიერებისაგან არის დამზადებული, ამიტომ გამოიყვანეთ წონაკუთრის საშუალო მნიშვნელობა.

დაკვირვებათა ცხრილი

№№	ცილინდრის სიმაღლე H	ცილინდრის დიამეტრი D	V	P	d	Δd
1						
2						
3						

პარალელეპიპედის:

სიგრძე a	სიგანე b	სიმაღლე c	V	P	d	Δd
1						
2						
3						

ამოცანა № 4

სითხის წონაკუთრის განსაზღვრა ჟოლის სასწორით

ჩამოვკიდოთ სასწორის ზამბარაზე (ნახ. 13) რაიმე მყარი სხეული და გავიგოთ მისი წონით გამოწვეული წაგრძელება, რომელიც ვთქვათ, უდრის h_1-დანაყოფს.

თუ Q ტვირთის დაკიდება იწვევს სასწორის ზამბარის ერთი დანაყოფით წაგრძელებას, მაშინ ზამბარაზე დაკიდებული სხეულის წონა (ჰაერში) იქნება Qh_1 გრამი. შევუდგათ ამ სხეულს ქვევიდან წყალი და გავიგოთ წყალში ჩაძირული სხეულის მიერ გამოწვეული წაგრძე-



ნახ. 13.

ლება—h_2; მაშინ წყალში ჩაძირული სხეულის წონა იქნება Qh_2 გრამი, ხოლო წონის დანაკარგი წყალში ჩაძირვის დროს $Q(h_1-h_2)$ გ. წყალში ჩაძირული სხეულის მოცულობაა $\frac{Q(h_1-h_2)}{\delta}$ სმ³, სადაც δ არის წყლის წონაკუთრი.

როცა ცნობილია სხეულის წონა (გრამებში) და მოცულობა (სმ³-ში), მაშინ ამ სხეულის წონაკუთრი გამოიხატება შემდეგი ფორმულით:

$$d=\frac{Q h_1}{\frac{Q(h_1-h_2)}{\delta}}$$

ანუ:

$$d=\frac{h_1}{h_1-h_2}\delta \cdots \quad (1),$$

სადაც δ არის წყლის წონაკუთრი.

თუ იგივე სხეულს ეხლა ჩავძირავთ არა წყალში, არამედ საკვლევ სითხეში, მაშინ იმავე მყარი სხეულის წონაკუთრისათვის საკვლევი სითხის მიმართ მივიღებთ ფორმულას:

$$d=\frac{h_1}{h_1-h^1_2}\delta^1 \cdots \quad (2),$$

სადაც h^1_2 არის საკვლევ სითხეში ჩაძირული მყარი სხეულის მიერ გამოწვეული ზამბარის წაგრძელება, ხოლო δ საკვლევი სითხის წონაკუთრი.

(1) და (2) ფორმულებიდან მივიღებთ საკვლევი სითხის წონაკუთრის გამოსაანგარიშებელ საბოლოო ფორმულას:

$$\delta'=\frac{h_1-h'_2}{h_1-h_2}\delta \cdots \quad (3).$$

როგორც ვხედავთ, ამ ხერხით სითხის წონაკუთრის გამოსაანგარიშებლად საჭიროა გავზომოთ:

1) დამხმარე სხეულის დაკიდვით გამოწვეული წაგრძელება ჰაერში—h_1;

2) წყალში ჩაძირული იმავე სხეულის დაკიდვით გამოწვეული წაგრძელება—h_2;

3) საკვლევ სითხეში ჩაძირული იმავე სხეულით გამოწვეული წაგრძელება—h'_2.

და 4) წყლის წონაკუთრი მოცემული ტემპერატურის დროს.

ცდის მსვლელობა

ათვალეთ სკალაზე ფიალას საწყისი მდებარეობა—N_0.

ჩამოჰკიდეთ სასწორის ფიალაზე დამხმარე მყარი სხეული და ათვალეთ ფიალას ახალი მდებარეობა—N_1. ჩაძირეთ დამხმარე სხეული წყალში ისე, რომ იგი არ ეხებოდეს ჭურჭლის ფსკერს, კედლებს და სითხის ზედაპირს და აითვალეთ ფიალას მდებარეობა—N_2.

ჩაძირეთ სხეული საკვლევ სითხეში და ათვალეთ ფიალას მდებარეობა—N'_2.

გამოთვალეთ წაგრძელებანი:

$$h_1 = N_1 - N_0$$
$$h_2 = N_2 - N_0$$
$$h'_2 = N'_2 - N_0$$

მიღებული შედეგები ჩასვით მე-(3) ფორმულაში და გაიგებთ საკვლევი სითხის წონაკუთრს.

ცდა განიმეორეთ სამჯერ, მხოლოდ ყოველი ცდისათვის დამხმარე სხეული სხვადასხვა იყოს.

გამოითვალეთ აბსოლუტური და ფარდობითი ცთომილებანი.

დაკვირვებათა ცხრილი

დაკვირვე-ბათა რიგი	ჰ ა ე რ შ ი			წყალში		საკვლევ სითხეში		საკვლ. სით-ხის წონაკუთ	აბს. ცდო-მილება
	N_0	N_1	h_1	N_2	h_2	N'_2	h'_2	δ'	$\Delta\delta'$
1									
2									
3									

$\delta' =$

ფარდ. ცდომილება $E_\delta =$

ამოცანა № 5

სითხის ზედაპირული დაჭიმულობის პოვნა ისდარის მეთოდით



ნახ. 14.

საჭირო იარაღები: მიკრომეტრი—კაპილარის (k) რადიუსის გასაგებად და თერმომეტრი—წყლის ტემპერატურის გასაგებად.

ხელსაწყოს აღწერა. ხელსაწყო (ნახ. 14) შედგება მინის ჭურჭლისაგან (B), რომელსაც აქვს ორი საცობი: F და D. (ნახ. 14). F საცობში გაყრილია მინის მილაკი, რომელიც რეზინის მილით შეერთებულია C ძაბრთან. D საცობში კი გაყრილია მინის მილაკი, რომელიც შეერთებულია M მანომეტრთან. ამ მილაკის გაგრძელება ბოლოვდება k კაპილარით, რომელიც ჩაშვებულია A ჭიქაში. ამ ჭიქის ვერტიკალურ კედელზე მიმაგრებულია S სკალა იმისათვის, რომ გაგებულ იქნეს k კაპილარის A ჭიქაში ჩაშვების სიღრმე.

თუ კაპილარში, რომლის ერთი ბოლო ჩაშვებულია საკვლევ სითხეში, გავატარებთ მცირე წნევის ქვეშ ჰაერს, მაშინ ამ კაპილარის ბოლოზე, რომელიც ჩაშვებულია სითხეში, წარმოიქმნება ჰაერის ბუშტები. ამ ბუშტებში წნევა ატმოსფერულ წნევაზე მეტია შემდეგი სიდიდით:

$$\left(gDh+\frac{2\alpha}{R}\right) \qquad (1).$$

(1) გამოთქმაში g—სიმძიმის ძალით გამოწვეული აჩქარებაა (981 სმ/სეკ^2); D—საკვლევი სითხის სიმკვრივე; h—სიღრმე, რომელზედაც ჩაშვებულია კაპილარი სითხეში; R—კაპილარის გარეგანი რადიუსია და α—საძიებელი ზედაპირული დაჭიმულობა.

აღნიშნული წნევა წონასწორდება ბუშტის შიგნით არსებული ჰარბი წნევით

$$gD'H \qquad (2),$$

სადაც D' მანომეტრული სითხის სიმკვრივეა. g—სიმძიმის ძალით გამოწვეული აჩქარება და H—მანომეტრის მუხლებს შორის სითხის დონეთა სხვაობა.

რადგან მე-(2) გამოთქმა (1)-ის ტოლია, ამიტომ

$$gD'H=gDh+\frac{2\alpha}{R},$$

საიდანაც მივიღებთ

$$\alpha=\frac{Rg(D'H-Dh)}{2} \qquad (3)$$

მე-(3) განტოლებაში უნდა შევიტანოთ შესწორება R-ზე. რადგან R-ით აღნიშნულია ბუშტის რადიუსი, რომლის გამოთვლაც სიძნელეს წარმოადგენს და ჩვენ კი ბუშტის რადიუსის ნაცვლად ვზომავთ

კაპილარის რადიუსს, ამიტომ ბუშტის რადიუსის გამოსათვლელად საჭიროა კაპილარის რადიუსის (R-ის) გამრავლება 0,62-ზე, რაც გამოხატავს წვეთის ყელის დავიწროების კოეფიციენტს.

ამ შესწორების შეტანის შემდეგ α-სათვის საბოლოოდ შემდეგ გამოსათვლელ ფორმულას მივიღებთ:

$$\alpha = \frac{0{,}62\, Rg\,(D'H - Dh)}{2}.$$

ცდა შემდეგი მიმდევრობით შევასრულოთ:

1. შევადგინოთ დაკვირვებათა ცხრილი, რომელშიაც შევიტანოთ გაზომვის შედეგად მიღებული რიცხვები.
2. გავზომოთ K კაპილარის რადიუსი (R-სმ).
3. გავზომოთ ის სიმაღლე (h-სმ), რომელზედაც ჩაშვებულია (k) კაპილარი A ჭიქაში.
4. N მომჭერის საშუალებით წვეთების დინება B ჭურჭელში მოვაწესრიგოთ ისე, რომ A ბუშტების რაოდენობა არ აღემატებოდეს 3 ან 4 წვეთს წამში.
5. გავზომოთ მანომეტრის მუხლებს შორის სითხის დონეთა სხვაობა (H სმ) იმ მომენტში, როდესაც ბუშტი სწყდება კაპილარს.
6. გავზომოთ სითხის ტემპერატურა $t^\circ C$-ში.
7. ცდა განვიმეოროთ რამდენიმეჯერ და α-სათვის ავიღოთ საშუალო მნიშვნელობა.
8. გამოვთვალოთ ფარდობითი ცთომილება.

დაკვირვებათა ცხრილი

რიგის №	კაპილარის რადიუსი R-სმ	კაპილარის ჩაშვების სიღრმე h სმ	სითხის დონეთა შორის სხვაობა მანომეტრში H სმ	სითხის ტემპერატურა $t^\circ C$	ზედაპირული დაჭიმულობა α

ამოცანა № 6

სითხის ზედაპირული დაჭიმულობის ძალის გამოთვლა წვეთის მოწყვეტის საშუალებით

საჭირო ხელსაწყოები და მასალა: 1. სასწორი აბრებით; 2. სადგამზე მოთავსებული მინის ჭურჭელი გამოსაკვლევი სითხით; ამ ჭურჭელს გაკეთებული აქვს მოხრილი სიფონიანი მილი, რომელსაც ბოლოში ჩამოცმული აქვს კაუჩუკის მილი მოსაჭერით და მინის მილი წვეთების მისაღებად (ნახ. 15); 3. შტანგენფარგალი ან მიკრომეტრი და 4. ჭიქა სახურავით წვეთების ასაწონად.

სითხის ზედაპირული დაჭიმულობა გაიზომება იმ ძალით, რომელიც მოქმედებს სითხის ზედაპირზე ნებისმიერად აღებულ სიგრძის ერთეულზე, ამ სიგრძის პერპენდიკულარულად და სითხის ზედაპირის მხებად.

თუ l სიგრძეზე მოქმედებს F ძალა, მაშინ ზედაპირული დაჭიმულობის ძალა

$$\alpha = \frac{F}{l} \quad \frac{\text{მილიგრამი}}{\text{მმ}} \quad \ldots\ldots \quad (1)$$

ხელსაწყოს აღწერილობა: (ნახ. 16).



ნახ. 15.

ნახ. 16.

თუ სითხის წვეთი ჩამოდის ვიწრო მილიდან, მაშინ მოწყვეტის მომენტში წვეთი ღებულობს მე-16 ნახაზზე მოცემულ „ა—ბ“ ფორმას.

ამ მომენტში წვეთის წონა ტოლია მოწყვეტის კონტურზე მოქმედი დაჭიმულობის ძალისა.

მინის მილის გარეგანი დიამეტრი იყოს $D=2r$ (მმ-ში), მაშინ წვეთის შევიწროებული ნაწილის რადიუსი $0,62r$ ტოლი იქნება, სადაც 0,62 მილის შევიწროების კოეფიციენტია.

მოწყვეტის მომენტში კონტურის სიგრძე

$$l=2\pi\cdot 0,62r$$

ანუ

$$l=0,62\pi D \qquad (2)$$

ამ ფორმულით გავიგებთ იმ კონტურის სიგრძეს, რომელზედაც მოქმედობს F ძალა. F-ის გამოსაანგარიშებლად ასე უნდა მოვიქცეთ:

1. ავწონოთ ცარიელი ჭიქა, რომლის წონა იყოს P_1 მილიგრამი.
2. ჩაუშვათ ამ ჭიქაში 30-დან 50-დე წვეთი და ავწონოთ წვეთებიანი ჭიქა—P_2 მილიგრამი.

თუ წვეთების რაოდენობა n უდრის, მაშინ ერთი წვეთის წონა იქნება:

$$\frac{P_2-P_1}{n} \text{ მილიგრამი.}$$

მაგრამ ერთი წვეთის წონა სწორედ l სიგრძის კონტურზე მოქმედ ძალას უდრის, ე. ი.

$$F=\frac{P_2-P_1}{n} \text{ მგ} \qquad (3)$$

(1) ფორმულაში ჩავსვათ F-ისა და l-ის მნიშვნელობანი მე-(3) და მე-(2) ფორმულებიდან და მივიღებთ ზედაპირული დაჭიმულობის ძალის გამოსაანგარიშებელ საბოლოო ფორმულას:

$$\alpha=\frac{P_2-P_1}{0,62\pi nD} \qquad (4)$$

ცდის მსვლელობა:

1. აწონეთ ცარიელი ჭიქა და მისი (P_1) წონა შეიტანეთ დაკვირვებათა ცხრილში.
2. ჩაუშვით ჭიქაში 30-დან 50-დე წვეთი ისე, რომ წამში ჩადიოდეს არა უმეტეს 5—6 წვეთისა.
3. აწონეთ წვეთებიანი ჭიქა და მისი წონა P_2 და წვეთების n რაოდენობა შეიტანეთ დაკვირვებათა ცხრილში.
4. სხვადასხვა ადგილას მიკრომეტრით ორჯერ გაზომეთ მილის დიამეტრი და მისი საშუალო მნიშვნელობა (D) შეიტანეთ დაკვირვებათა ცხრილში.
5. მიღებული შედეგები ჩასვით მე-(4) ფორმულაში და გაიგებთ α-ს.

ცდა განიმეორეთ 3-ჯერ და გამოიყვანეთ α-ს საშუალო მნიშვნელობა. გამოთვალეთ აბსოლუტური და ფარდობითი ცთომილებანი.

დაკვირვებათა ცხრილი

რიგის №	ცარიელი პიქის წონა P_1	წვეთების რიცხვი n	წვეთებიანი პიქის წონა P_2	მილის გარეგანი დიამეტრი D	ზედაპირ. დაჭიმულობა $\alpha \frac{\text{მგრ}}{\text{მმ}}$	$\Delta\alpha$
1						
2						
3						

$\alpha =$

ფარდ. ცთომილება $E_a =$

ამოცანა № 7

ლინზის სიმრუდის რადიუსის განსაზღვრა სფერომეტრის საშუალებით

საჭირო ხელსაწყოები და მასალა: 1) სფერომეტრი; 2) სარკისებური მინა და 3) ლინზა, რომლის სიმრუდის რადიუსი უნდა განვსაზღვროთ.

ხელსაწყოს აღწერა: სფერომეტრი ხელსაწყოა, რომლითაც ზომავენ სფერული მინების (ლინზების) სიმრუდის რადიუსს, ბრტყელი ფირფიტების სისქესა და ზედაპირის უსწორმასწორობას.

სფერომეტრის მთავარ ნაწილს წარმოადგენს მიკრომეტრული ხრახნი M, რომელიც ჩადგმულია სამფეხა სადგარის (A) ქანჩში (ნახ. 17). მიკრომეტრული ხრახნის ქვედა ბოლო წაწვეტილია, ზედა ბოლოზე გაკეთებულია E დისკო, რომელიც დაყოფილია 50 თანასწორ ნაწილად. მიკრომეტრული ხრახნის ბიჯი უდრის 0,5 მმ-ს (ე. ი. ერთი სრული ბრუნვის დროს ხრახნის ბოლო გადაინაცვლებს 0,5 მმ-ით).

სამფეხზე მიმაგრებულია (D) სახაზავი დანაყოფებით.

მიკრომეტრული ხრახნის ბრუნვისას დისკო გადაინაცვლებს (აიწევს ან დაიწევს) სახაზავის გასწვრივ.



ნახ. 17.

ფორმულის გამოყვანა

სფერომეტრს ფრთხილად დადგამთ სარკისებურ მინაზე და მიკრომეტრულ ხრახნს დაუშვებთ მანამდე, სანამ იგი არ შეეხება მინას (როცა მიკროხრახნი მეტად დაშვებულია, მაშინ მის ზედაბოლოზე მოთავსებული ბერკეტი მაღლა აიწევს).

ვერტიკალურ სკალაზე დანიშნავთ დისკოს მდებარეობის დანაყოფს და დისკოს სკალაზე იმ დანაყოფს, რომლითაც დისკო ეხება სახაზავის პირს.

ვერტიკალურ სკალაზე დანაყოფთა რიცხვი იყოს N, დისკოს დანაყოფი კი—n.

სფერომეტრს ლინზაზე დგამთ და ხრახნს მანამდე აბრუნებთ, სანამ მისი ქვედა ბოლო არ შეეხება ლინზას. ახალი ანათვალი ვერტიკალურ სკალაზე იყოს—N_1, დისკოზე კი—n_1.

ვერტიკალური სკალის ანათვალით სხვაობა—$(N-N_1)$ გვიჩვენებს ლინზის სეგმენტის სისქეს მილიმეტრებში.

რადგან დისკო დაყოფილია 50 თანასწორ ნაწილად და დისკოს ერთი სრული ბრუნვის დროს მიკრომეტრული ხრახნი გადაინაცვლებს 0,5 მმ-ით, ამიტომ დისკოზე ანათვალთა სხვაობა გამრავლებული 0,5-ზე და გაყოფილი 50-ზე გვიჩვენებს მილიმეტრის ნაწი-

ლებს, რომელიც უნდა დაემატოს მილიმეტრების მთელ რიცხვს, რომ მივიღოთ სეგმენტის სისქე.

მილიმეტრების მთელი რიცხვია: (N_1-N) მილიმეტრების ნაწილებია:

$$\frac{(n_1-n)\cdot 0{,}5}{50}=\frac{n_1-n}{100}$$

სეგმენტის სისქე იქნება:

$$h=\left(N_1-N+\frac{n_1-n}{100}\right)\text{მმ} \qquad (1)$$

სფერომეტრს დადგამთ სუფთა ქაღალდზე და აღნიშნავთ მისი სამი ფეხის მდებარეობას.

სახაზავით გაზომავთ მანძილებს ფეხებს შორის (მილიმეტრებში) და გაიგებთ საშუალო მანძილს:

$$b=\frac{b_1+b_2+b_3}{3} \qquad (2).$$



ნახ. 18.



ნახ. 19.

განვიხილოთ მე-18 ნახაზი.

$CB=h$ სეგმენტის სისქეა.

$AO=R$ სეგმენტის (ლინზის) სიმრუდის რადიუსია.

პითაგორის თეორემის თანახმად:

$$R^2=AB^2+OB^2,$$
$$R^2=a^2+(R-h)^2,$$
$$R^2=a^2+R^2-2Rh+h^2,$$
$$2Rh=a^2+h^2,$$

$$R=\frac{a^2+h^2}{2h} \qquad (3).$$

a გამოსაანგარიშებლად, განვიხილოთ ის წესიერი სამკუთხედი რომელიც შეიქმნება მიკრომეტრის სამივე ფეხების საყრდენ წერტილების შეერთებით (ნახ. 19).

ამ სამკუთხედისათვის a შემოხაზული წრის რადიუსია, ამიტომ:

$$b=a\sqrt{3}$$

აქედან

$$a=\frac{b}{\sqrt{3}},$$

ხოლო

$$a^2=\frac{b^2}{3} \qquad (4)$$

a^2 მიღებული მნიშვნელობა შევიტანოთ მე-(3) ფორმულაში და ლინზის სიმრუდის რადიუსის გამოსაანგარიშებელ ფორმულას მივიღებთ:

$$R=\frac{\frac{b^2}{3}+h^2}{2h}.$$

ანუ

$$R=\frac{b^2+3h^2}{6h} \qquad (5).$$

მაშასადამე, ლინზის სიმრუდის რადიუსის მოსაძებნად უნდა გავიგოთ:

1) სეგმენტის სიმაღლე $=h$—(1) ფორმულიდან.

2) ფეხებს შორის საშუალო მანძილი $=b$—(2) ფორმულიდან და შემდეგ ჩავსვათ საბოლოო (5) ფორმულაში.

ცდა გავიმეოროთ სამჯერ და გამოვიყვანოთ R-ის საშუალო მნიშვნელობა.

დაკვირვებათა ცხრილი

რიგის №	N	n	N_1	n_1	h	b_1	b_2	b_3	b	R
1										
2										
3										

ამოცანა № 8

სიმძიმის ძალის აჩქარების განსაზღვრა მარტივი საქანით

საჭირო ხელსაწყოები: ძაფზე დაკიდებული მძიმე ბირთვი (ნახ. 20); წამმზომი ან საათი წამიანი ისრით; მასშტაბი, მიკრომეტრი ან შტანგენფარგალი.

ამოცანის მიზანია სიმძიმის ძალის აჩქარების განსაზღვრა მარტივი საქანით.

თეორიიდან ცნობილია, რომ მარტივი საქანის რხევის პერიოდსა (T), სიგრძესა (L) და სიმძიმის ძალის აჩქარებას (g) შორის მცირე ამპლიტუდების დროს შემდეგი დამოკიდებულება არსებობს:

$$T=2\pi\sqrt{\frac{L}{g}}\left(1+\frac{1}{4}\sin^2\frac{\alpha}{2}\right) \qquad (1),$$

სადაც α ვერტიკალური მდგომარეობიდან გადახრის კუთხეა.



ნახ. 20.

თუ ცდის წარმოებისას ვეცდებით, რომ საქანის გადახრის კუთხე მცირე იყოს (არ აღემატებოდეს 4° ან 5°), მაშინ შეგვიძლია კუთხის სიმცირის გამო მხედველობაში არ მივიღოთ განტოლების უკანასკნელი წევრი და (1) განტოლება შემდეგ სახეს მიიღებს.

$$T=2\pi\sqrt{\frac{L}{g}},$$

საიდანაც

$$\boxed{g=\frac{4\pi^2L}{T^2}} \qquad (2)$$

როგორც მე-(2) განტოლება გვიჩვენებს g-ს გამოსათვლელად საჭირო ყოფილა: საქანის სიგრძე (L) და მისი რხევის პერიოდი (T).

გაზომვა. საქანის L სიგრძედ ჩაითვლება მანძილი მისი დაკიდების წერტილიდან ბირთვის სიმძიმის ცენტრამდე. ამისათვის ძაფის მთე-

ლი სიგრძე უნდა გაიზომოს დაკიდების წერტილიდან (A-დან) ბირთვამდე და მას დაემატოს ბირთვის რადიუსის (r) მნიშვნელობა. ამ რადიუსის საპოვნელად შტანგენფარგალით ან მიკრომეტრით გავზომავთ ბირთვის დიამეტრს (d-ს) და მას შუაზე გავყოფთ. მაშასადამე,

$$L=l+\frac{d}{2}.$$

პერიოდის (T-ს) გასაზომად ასე მოვიქცეთ: როგორც ზემოთ იყო აღნიშნული T ერთი სრული რყევის პერიოდია, ე. ი. ერთ სრულ რყევაზე დახარჯული დრო. პერიოდის გამოსათვლელად საჭიროა შევთანხმდეთ იმაში, თუ საქანის რა მდებარეობა ჩაითვალოს რყევის დასაწყისად. რყევის დასაწყისად ის მომენტი ჩავთვალოთ, როდესაც საქანი გაივლის განაპირა მარცხენა წერტილს (A-ს) (ნახ. 21) და ამ მომენტში გავუშვათ წამმზომი. ამის შემდეგ უნდა ვთვალოთ სრული რყევების რიცხვი (ამ შემთხვევაში სრული რყევა იქნება



ნახ. 21.

$(AB+BA)$ და როდესაც დავთვლით n სრულ რყევას (n იყოს 50-დან 100-მდე), შევაჩერებთ წამმზომს. წამმზომის ჩვენება გვაძლევს n რყევაზე დახარჯულ დროს (t-ს); ერთ რყევაზე დახარჯული დრო, კი იქნება:

$$T=\frac{t}{n} \text{ წამი.}$$

ამგვარად ვიპოვით L და T; მათი რიცხვითი მნიშვნელობების ჩასმის შემდეგ (2) განტოლებაში მივიღებთ g-ს რიცხვით მნიშვნელობას.

g-ს გამოსათვლელად არსებობს ხერხი, რომელიც არ მოითხოვს საქანის სიგრძის გაზომვის აუცილებლობას. ამ ხერხის თანახმად საქანის პირვანდელი სიგრძე (L_1) რამდენიმე სმ-ით (15-დან 25 სმ-დე) უნდა დამოკლდეს და აგრეთვე უნდა ვიცოდეთ ის პერიოდები (T_1 და T_2) რომლებიც ესაბამებიან პირვანდელ და დამოკლებულ საქანის სიგრძეებს.

ფორმულის გამოყვანა: დავუშვათ, რომ L_1 სიგრძეს ესაბამება T_1 პერიოდი, L_2-ს კი—T_2. მაშინ მე-(2) განტოლების მიხედვით გვაქვს:

$$T^2_1 = 4\pi^2 \frac{L_1}{g} \qquad (a)$$

და

$$T^2_2 = 4\pi^2 \frac{L_2}{g} \qquad (b)$$

(a)-ს გამოვაკლოთ—(b); მივიღებთ:

$$T^2_1 - T^2_2 = \frac{4\pi^2}{g} (L_1 - L_2).$$

საიდანაც

$$g = \frac{4\pi^2 (L_1 - L_2)}{T^2_1 - T^2_2}$$

ანუ, რაც იგივეა

$$\boxed{g = \frac{4\pi^2 (L_1 - L_2)}{(T_1 + T_2)(T_1 - T_2)}}$$

პირველი ხერხის მიხედვით ცდა შემდეგი მიმდევრობით ჩავატაროთ:

1. შევადგინოთ პირველი ხერხის შესაბამისი დაკვირვებათა ცხრილი და მასში შევიტანოთ გაზომვის შედეგად მიღებული რიცხვები.

2. გავზომოთ ძაფის სიგრძე საკიდი წერტილიდან ბირთვამდე (l სმ).

3. გავზომოთ ბირთვის დიამეტრი (d·სმ) და გამოვთვალოთ საქანის სიგრძე $\left(L = l + \frac{d}{2} \right)$.

4. გამოვიყვანოთ საქანი წონასწორობიდან, რამდენიმე რყევის შემდეგ ავამუშავოთ წამმზომი და დავიწყოთ რყევათა რიცხვის თვლა.

5. პირველი ცდის დროს ავითვალოთ 50 სრული რყევა და ამ მომენტში შევაჩეროთ წამმზომი და მისი ჩვენება შევიტანოთ დაკვირვებათა ცხრილში. შემდეგი ცდების დროს სრულ რყევათა რაოდენობას თანდათან უმატოთ (60, 70, 80 და ა. შ.) რყევები.

6. განვიმეოროთ ცდა რამდენიმეჯერ.

7. გამოვთვალოთ ცთომილებანი.

II ხ ე რ ხ ი

ამ შემთხვევაში ცდა ჩავატაროთ შემდეგი მიმდევრობით:

1. შევადგინოთ ამ ხერხის შესაბამისად დაკვირვებათა ცხრილი და მასში შევიტანოთ გაზომვის შედეგად მიღებული რიცხვები.
2. გავზომოთ წინა ხერხის თანახმად საქანის პირვანდელი სიგრძის (დაახლოებით 1 მ-ია) ერთი სრული რხევის პერიოდი—T_1-წამი.
3. დავამოკლოთ ჩვენი საქანი ჯერ 15 სმ-ით, შემდეგ 20 და 25-ით. ზემოაღნიშნული წესების მიხედვით ხელმეორედ ვიპოვოთ მათი პერიოდები—T_2-წამი.
4. ცდა განვიმეოროთ რამდენიმეჯერ.
5. გამოვთვალოთ ცთომილებანი.

პირველი ხერხით მიღებული ანათვლები შევიტანოთ შემდეგ ცხრილში.

დ ა კ ვ ი რ ვ ე ბ ა თ ა ც ხ რ ი ლ ი

რიგის №	ძაფის სიგრძე l სმ	ბირთვის დიამეტრი d-სმ	ბირთვის რადიუსი $r=\frac{d}{2}$	საქანის სიგრძე $L=l+r$	რხევათა რიცხვი n	n რხევის ხანგრძლივობა t	სრული რხევის პერიოდი $T=\frac{t}{n}$	g სმ/სეკ²

მე-II ხერხით მიღებული ანათვლები შევიტანოთ დაკვირვებათა ცხრილში.

რიგის №	სრული რხევათა პერიოდი		რამდენი სმ-ით დამოკლდა საქანი (L_1-L_2) სმ	$g=\frac{4\pi^2(L_1-L_2)}{(T_1-T_2)(T_1+T_2)}$ $\frac{\text{სმ}}{\text{წამ}^2}$
	რომელიც შეესაბამება დაუმოკლებელ საქანს T_1-წამ.	რომელიც შეესაბამება დამოკლებულ საქანს T_2-წამ.		

ამოცანა № 9

იუნგის მოდულის პოვნა მავთულის გაჭიმვით

საჭირო ხელსაწყოები: საცდელი მავთული (AA_1) ცილინდრით ($KBEF$), რომელიც მიმაგრებულია მავთულის ბოლოზე; ბერკეტი (RS) სარკით (M) ჭოგრი (G) განათებული სკალით (n); აბრები (p), მიკრომეტრი მავთულის დიამეტრის გასაზომად და მასშტაბი.

თეორია. თუ ერთი ბოლოთი დამაგრებული მავთულის (ნახ. 22) თავისუფალ ბოლოზე ვიმოქმედებთ მექანიკური ძალით, მაგალითად, რაიმე ტვირთის დაკიდვით, მაშინ მავთულის პირვანდელი სიგრძე (L_1) L_2-ით შეიცვლება. სხვაობას

$$L_2 - L_1 = \Delta L$$

აბსოლუტური წაგრძელება ეწოდება. თანახმად ჰუკის ცნობილი კანონისა, ეს აბსოლუტური წაგრძელება (ΔL), პირდაპირ პროპორციულია საწყისი სიგრძის (L_1), მოქმედი ძალის (P) და უკუპროპორციულია მავთულის განივკვეთის ფართისა (S):

$$\Delta L = k\frac{PL_1}{S} \qquad (1)$$

ამ ფორმულაში k აღნიშნავს პროპორციულობის კოეფიციენტს, რომლის სიდიდეც დამოკიდებულია მავთულის ნივთიერების გვარობაზე[1]). ტექნიკაში k-ს ნაცვლად მისი შებრუნებულ $E=\frac{1}{k}$ სიდიდეს იყენებენ, რომელსაც იუნგის მოდული[2]) ეწოდება. მისი განზომილებაა კგ/მმ^2.

k-ს მაგიერ (1) განტოლებაში შევიტანოთ $\frac{1}{E}$, მივიღებთ:

$$\Delta L = \frac{PL_1}{ES}$$

და აქედან კი საძიებელი

$$E = \frac{PL_1}{\Delta L \cdot S} \qquad (2)$$

---

[1]) თუ $L=1$, $R=1$ და $S=1$, მაშინ $\Delta L = k$.

მაშასადამე, k რიცხობრივ უდრის ისეთი მავთულის წაგრძელებას, რომლის სიგრძე და განივი კვეთის ფართობი ერთეულების ტოლია და მასზე მოქმედი ძალაც უდრის ერთეულს.

[2]) იუნგის მოდული რიცხობრივად იმ ძალის ტოლია, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ერთის ტოლი დეფორმაცია, ე. ი. ჩვენი შემთხვევისათვის გააორკეცოს მავთულის სიგრძე.

ცდის წარმოებისას მთავარ სიძნელეს წარმოადგენს აბსოლუტური წაგრძელების ΔL პოვნა (მისი სიმცირის გამო). ამიტომ ამ სიდიდის საპოვნელად ჩვენ ვისარგებლებთ მეტად მგრძნობიარე მეთოდით, ე. წ. პოგრისა და სკალის მეთოდით.

ხელსაწყოს აღწერა. AA_1 მავთული, რომლის სიგრძეა L_1 მმ და განივი კვეთის ფართი S მმ², დაკიდებულია კრონშტეინზე (ACD-ზე). მის მეორე თავისუფალ ბოლოზე ჰკიდია ცილინდრი



ნახ. 22.

($KBEF$). ამ ცილინდრის ზედა ფუძეზე დაყრდნობილია (RS) ბერკეტის თავისუფალი ბოლო (S). ამ ბერკეტის მეორე ბოლოზე (R) მიმაგრებულია ბრტყელი სარკე (M). როდესაც საკვლევ მავთულს დავტვირთავთ გარკვეული აზრით, მაშინ მავთული წაგრძელდება, მასზე დაყრდნობილი ბერკეტი დაიწევს და მოატრიალებს სარკეს გარკვეულ კუთხეზე. ცდამდე პოგრს დავაყენებთ ისე, რომ მისი ძაფების გადაკვეთის წერტილში მივიღოთ სკალის რომელიმე დანაყოფი. ნახაზიდან ჩანს, რომ დატვირთვის გამო მავთული ქვემოთ და-

იწევს და მასთან ერთად დაიწევს აგრეთვე ბერკეტიც, რომელიც მოატრიალებს M სარკეს α კუთხით. როგორც ცნობილია თეორიიდან, თუ სარკე მოტრიალდება α კუთხით, მაშინ მისგან არეკლვილი სხივი უნდა მოტრიალდეს 2α-თი.

2α კუთხეს ვღებულობთ იმიტომ, რომ სარკის α კუთხით მობრუნების გამო სხივის დაცემის კუთხე გაიზრდება α კუთხით, აგრეთვე α კუთხით გაიზრდება არეკლვის კუთხეც. აქედან ვღებულობთ, რომ სხივის ახალი მიმართულება 2α-თი განსხვავდება ძველი მიმართულებისაგან.

ΔRSS_1-დან გვაქვს:

$$SS_1 = RS \cdot \sin\alpha,$$

მაგრამ SS_1 არის მავთულის აბსოლუტური წაგრძელება, ე. ი. ΔL RS კი ბერკეტის სიგრძე (r), ე. ი.

$$\Delta L = r \cdot \sin\alpha$$

რადგან α მცირეა, შეიძლება მივიღოთ: $\sin\alpha = \alpha$ და ამიტომ

$$\Delta L = r \cdot \alpha \qquad (3)$$

მეორეს მხრივ ΔTOT_1-დან გვაქვს:

$$TT_1 = OT \cdot \operatorname{tg} 2\alpha \qquad (4)$$

რადგან TT_1 სკალაზე ანათვალთა სხვაობაა (a), OT მანძილი სარკესა და სკალას შორის, რომელსაც აღვნიშნავთ l-ით და α სიმცირის გამო $\operatorname{tg} 2\alpha = 2\alpha$, ამიტომ მე-(4) განტოლება ასეთ სახეს მიიღებს:

$$a = l \cdot 2\alpha,$$

საიდანაც

$$\alpha = \frac{a}{2l} \qquad (5)$$

α მიღებული მნიშვნელობა ჩავსვათ მე-(3) განტოლებაში, მივიღებთ:

$$\Delta L = \frac{ar}{2l} \qquad (6)$$

აქ a, როგორც ნახაზიდან ჩანს, სკალაზე ანათვალთა სხვაობაა, r — ბერკეტის სიგრძე და l — მანძილი სარკესა და სკალას შორის [1]).

---

[1] უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა ხაზოვანი სიდიდეები გაზომილ უნდა იქნას მმ-ებში.

ΔL-ის მიღებული მნიშვნელობა შევიტანოთ მე-(2) განტოლებაში:

$$E=\frac{PL_1}{\frac{ar}{2l}\cdot S}=\frac{2lPL_1}{arS} \tag{7}$$

აქ S მავთულის განივკვეთის ფართია

$$S=\frac{\pi d^2}{4},$$

სადაც d მავთულის დიამეტრია.

თუ მე-(7) ფორმულაში შევიტანთ S-ის მნიშვნელობას იუნგის მოდულისათვის შემდეგი სახის გამოსათვლელ ფორმულას მივიღებთ:

$$\boxed{E=\frac{8PlL_1}{\pi d^2\,ar}}\ \frac{\text{კგ}}{\text{მმ}^2}\,. \tag{8}$$

ცდის შესრულებისათვის დავიცვათ შემდეგი მიმდევრობა:

1. შევადგინოთ დაკვირვებათა ცხრილი და თანდათანობით შევიტანოთ გაზომვის შედეგები.

2. გავზომოთ მასშტაბით მავთულის სიგრძე (L_1) დაკიდვის წერტილიდან მის თავისუფალ ბოლომდე.

3. რამდენიმე ადგილას მიკრომეტრით გავზომოთ მავთულის დიამეტრი (d) და ავიღოთ მათი საშუალო.

4. სახაზავით გავზომოთ ბერკეტის სიგრძე (r-მმ) რამდენჯერმე და ცხრილში შევიტანოთ მათი საშუალო მნიშვნელობა.

5. დავაყენოთ ჭოგრი ვერტიკალურ სკალის გარკვეულ მანძილზე (1-დან—2 მეტრამდე) სარკიდან ისე, რომ ჭოგრის ძაფების გადაკვეთის წერტილში ჩანდეს ვერტიკალური სკალის რომელიმე დანაყოფი.

6. გავზომოთ მანძილი სარკესა და ჭოგრს შორის (l მმ).

7. a-ს შემდეგნაირად გამოვითვლით: ვთქვათ დავაყენეთ ჭოგრი ისე, რომ მისი ძაფების გადაკვეთის წერტილში მოსჩანს ვერტიკალური სკალის რომელიმე დანაყოფი, მაგ. a_0. ეს იყოს ჭოგრის საწყისი ანათვალი. P_1 კგ-ით დატვირთვის შემდეგ მავთულის წაგრძელების გამო ჭოგრის ძაფების გადაკვეთის წერტილში მივიღებთ სკალის ახალ დანაყოფს a_1-ს:

$$a_1-a_0=\Delta a_1$$

Δa_1 წაგრძელება გამოწვეულია P_1 კგ—მიერ.

წონის ერთეულით გამოწვეული წაგრძელება კი იქნება:

$$n_1=\frac{\Delta a_1}{P_1}$$

P_2 კგ დატვირთვის შემდეგ ჭოგრში მივიღებთ a_2 ანათვალს და ამიტომ

$$\Delta a_2=a_2-a_1.$$

წონის ერთეული კი გამოიწვევს წაგრძელებას

$$n_2=\frac{\Delta a_2}{P_2}$$

და ა. შ.

n საშუალო არითმეტიკული წარმოადგენს a-ს მნიშვნელობას.

8. ცდა განვიმეოროთ რამდენჯერმე და გამოვთვალოთ ცთომილებანი.

დაკვირვებათა ცხრილი

რიგის №	დატვირთუ-ლობა	ანათვლები სკალაზე			მავთულის		ბერკეტის სიგრძე r მმ	მანძილი სარკე-სა და სკალის შორის l მმ	იუნგის მოდული E კგ/მმ-ს
		საწყისი a_0	დატვირთვის დროს a_1	სხვაობა a_1-a_0	სიგრძე L მმ	დიამეტრი d მმ			

ამოცანა № 10

ბრეხვის მოდულის პოვნა

(სტატიკური მეთოდი)

საჭირო ხელსაწყოები: სპეციალურად დამზადებულ ხის ჩარჩოში (ნახ. 23) ($ABCD$) მოთავსებულია მავთული (MN); რომლის ქვედა ნაწილზე დამაგრებულია დისკო რადიუსით—R; მასშტაბი მაჩვენებლით (SS_1); კაუჭიანი აბრები; მიკრომეტრი და დისკოს წრეხაზის გასაზომად საჭირო ქაღალდის ზოლი.

თეორია. წარმოვიდგინოთ, რომ მავთულის ერთი ბოლო დამაგრებულია M წერტილში და თავისუფალ ბოლოზე მოქმედებს ძალთა წყვილი, რომლის მომენტია

$$M=2RP=DP, \qquad (1)$$

სადაც P მოქმედი ძალაა და $D=2R$ დიამეტრი.



ნახ. 23.

როგორც ცნობილია ფიზიკის ელემენტარული კურსიდან, სხეულზე მოქმედი ძალთა წყვილი იწვევს უკანასკნელის გრეხვას და ამიტომ მავთული დაიგრიხება რაიმე φ კუთხით. ამ კუთხეს (φ) გრეხის კუთხე ეწოდება და ჰუკის კანონის თანახმად (φ) პროპორციულია მოქმედ ძალთა წყვილის მომენტისა.

$$\varphi=CM \qquad (2)$$

ამ განტოლებაში C-თი აღნიშნულია გრეხის კოეფიციენტი, რომელიც რიცხვობრივად უდრის გრეხვის კუთხეს იმ შემთხვევაში, თუ მბრუნავი ძალის მომენტი უდრის ერთს. მართლაც, თუ $M=1$, მაშინ

$$\varphi=C \qquad (3)$$

ტექნიკაში გრეხვის C კოეფიციენტის ნაცვლად მიღებულია მისი

შებრუნებული სიდიდე $\frac{1}{C}=f$, რომელსაც გრეხის მოდული ეწოდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს გრეხვის ორი მოდული (f და F). პირველი (f) გამოსახავს სიდიდეს, რომელიც ახასიათებს მოცემულ სხეულს (მის გეომეტრიულ ფორმას), მეორე (F) კი—სიდიდეს, რომელიც ახასიათებს ნივთიერების გვარობას. ვიპოვოთ დამოკიდებულობა ამ ორ მოდულს შორის.

ვისარგებლოთ კულონის კანონით[1]), რომლის თანახმადაც გრეხვის კუთხე (φ) პირდაპირ პროპორციულია მბრუნავი ძალის მომენტის (M) და მავთულის სიგრძის (L) ნამრავლის უკუპროპორციულია მავთულის რადიუსის (r-ის) მეოთხე ხარისხისა, ე. ი.

$$\varphi=\frac{1}{F}\,\frac{ML}{r^4} \tag{4}$$

ამ განტოლებაში F-ით აღნიშნულია ის მოდული, რომელიც ახასიათებს სხეულის არა გეომეტრიულ ფორმას, არამედ ნივთიერების გვარობას. მე-(4) ფორმულიდან გამოვთვალოთ F. მივიღებთ:

$$F=\frac{ML}{\varphi r^4} \tag{5}$$

რადგან $\frac{M}{\varphi}=f$, ამიტომ

$$F=f\frac{L}{r^4}\cdot$$

ხელსაწყოს აღწერა: ხელსაწყო (ნახ. 23) შედგება ხის ჩარჩოში ($ABCD$) დაკიდებული მავთულისაგან (MN), რომლის ქვედა ნაწილზე მიმაგრებულია ლითონის დისკო (R რადიუსით). ეს დისკო დაყოფილია 360°. დისკოს დიამეტრულად საწინააღმდეგო ნაპირებზე დამაგრებულია ორი ზონარი, რომელთა მეორე ბოლოებიც გადაკიდულნი არიან უძრავ ჭალებზე (k და k_1). ზონრის ამ ბოლოებზე დაიკიდება ტვირთები.

ცდა შევასრულოთ შემდეგი მიმდევრობით:

1. შევადგინოთ ქვემოთ აღნიშნული წესის მიხედვით დაკვირვებათა ცხრილი, რომელშიაც შევიტანოთ ყველა გაზომილი სიდიდეების მნიშვნელობანი.

2. მასშტაბით გავზომოთ მავთულის სიგრძე (L მმ) დაკიდვის ზედა წერტილიდან დისკოს დამაგრების წერტილამდე.

---

[1]) იგულისხმება, რომ მავთული ცილინდრულია.

3. მიკრომეტრით გავზომოთ საკვლევი მავთულის დიამეტრი (d-მმ) რამდენიმე ადგილას და დაკვირვებათა ცხრილში შევიტანოთ მათი მნიშვნელობა.

4. გავზომოთ დისკოს დიამეტრი: შემოვავლოთ მას ქაღალდის ზოლი, და მასშტაბით გავიგოთ მისი სიგრძე. ეს იქნება დისკოს წრეხაზის სიგრძე $C=\pi D$, საიდანაც $D=\frac{C}{\pi}$ მმ.

5. მასშტაბის (SS_1) წვეტიანი მაჩვენებელი დისკოს რომელიმე დანაყოფთან (გრადუსთან) დავაყენოთ, რომელიც ჩვენი ცდისათვის წარმოადგენს საწყის ანათვალს $(a_0)^{\circ}$.

6. დისკოზე დამაგრებული ზონარი ჰალებზე (k და k_1) გადავკიდოთ ისე, რომ ეს ზონარი დისკოსადმი მხები იყოს. ამის შემდეგ ზონარზე დავკიდოთ ტოლ-ტოლი აბრები (ძალთა წყვილი).

7. ძალთა წყვილის მოქმედების გამო მავთული დაიგრიხება (გრეხვის კუთხეს დისკო მოგვცემს). მავთულის დაგრეხის გამო მავთულთან ერთად მოტრიალდება დისკოც და მაჩვენებელთან გაჩერდება მისი ახალი დანაყოფი (a_1°). სხვაობა ამ დანაყოფსა და საწყის ანათვალს შორის ($a_1^{\circ}-a_0^{\circ}$) გრეხის φ კუთხეს მოგვცემს, რომელიც რადიანებში გადაყვანის შემდეგ შეგვაქვს დაკვირვებათა ცხრილში. (ერთი გრადუსი რადიანებში გადაყვანილი იძლევა 0,01745 რადიანს).

8. ამის მსგავსად დაკიდული აბრების კაუჭებს დავუმატოთ ახალ-ახალი აბრები და შედეგები შევიტანოთ ცხრილში.

9. φ კუთხის გამოსათვლელად ვიქცევით ასე: ვთქათ, რომ დისკოს საწყისი ანათვალია [1] a_0°, P_1 ტვირთის დაკიდვის შემდეგ კი—a_1°, მაშინ $a_1^{\circ}-a_0^{\circ}=\Delta\varphi$, (გრეხვა გამოწვეულია p_1 ტვირთის მიერ). წონის ერთეულით გამოწვეული გრეხვა იქნება:

$$\varphi_1=\frac{\Delta\varphi_1}{P_1}.$$

ამის მსგავსად, ვმსჯელობთ ტვირთების მეორე წყვილის მიმართაც: P_2 ტვირთის დაკიდვამდე დისკოს ჩვენება იყო—a_1°, მისი დაკიდვის შემდეგ დისკო გვიჩვენებს a_2°—დანაყოფს:

$$a_2^{\circ}-a_1^{\circ}=\Delta\varphi_2$$

გრეხვა გამოწვეულია P_2 კგ-ის მიერ და წონის ერთეული კი გამოიწვევდა

---

[1] არ დაგვავიწყდეს, რომ ყოველთვის დისკოს ჩვენება უნდა გამოისახოს რადიანებში.

$$\varphi_2=\frac{\Delta\varphi_2}{P_2};$$

ცხადია, რომ φ_1 და φ_2 და ა. შ. უნდა გადავიყვანოთ რადიანებში. φ კუთხე წარმოადგენს საშუალო არითმეტიკულს

$$\varphi=\frac{\varphi_1+\varphi_2+\varphi_3+\varphi_4}{4}.$$

10. ახლა გამოვთვალოთ $F=\frac{ML}{\varphi r^4}$ ან რადგან $M=DP$

ამიტომ
$$\boxed{F=\frac{DPL}{\varphi r^4}}$$

11. განვიმეორროთ ცდა რამდენიმეჯერ და გამოვთვალოთ ცთომილებანი.

დაკვირვებათა ცხრილი

ცდის №	მავთულის			დისკოს დიამეტრი D მმ	აბრის წონა P	გრეხის კუთხე	გრეხის მოდული F
	სიგრძე L მმ	დიამეტრი d მმ	რადიუსი $r=\frac{d}{2}$ მმ				
						$\varphi_1=$ $\varphi_2=$ $\varphi_3=$ $\varphi_4=$	

ამოცანა № 11

იუნგის მოდულის პოვნა დინამიკური ხერხით

ხელსაწყოს აღწერა. საცდელი მავთული (AB) (ნახ 24) დაკიდებულია კრონშტეინზე (O). მავთულის (AB) ბოლოზე დამაგრებულია ცილინდრი—$CDEF$, რომელშიაც მავთულის პერპენდიკულარულად გაყრილია ღერო MN. ღეროზე (MN) ჩამოცმულია ერთნაირი მასის სხეულები (m), რომლებიც ტოლი მანძილებით არიან დაშორებულნი მავთულიდან; ამას გარდა ამოცანას ეკუთვნის წამმზომი ან საათი სეკუნდიანი ისრით და მიკრომეტრი.

თეორია. ფიზიკის კურსიდან ცნობილია, რომ ერთი ბოლოთი დამაგრებული და დაგრეხილი მავთული შინაგანი ძალების გავლენით იწყებს რყევითი ძრაობას T პერიოდით.



ნახ. 24.

მექანიკიდან ცნობილია, რომ ამ შემთხვევაში პერიოდი (T) გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$T=2\pi\sqrt{\frac{J}{f}} \qquad (1)$$

ამ განტოლებაში J ინერციის მომენტია [მასისა (m) და ბრუნვის ღერძიდან (AB) დაშორების მანძილის (l) კვადრატის ნამრავლი, ე. ი. $J=ml^2$], f—კი მოცემული სხეულის გრეხვის მოდულია:

$$f=\frac{P}{\varphi} \qquad (2)$$

სადაც P არის მგრეხავი ძალის მომენტი [1]) და φ კი—გრეხის კუთხე.

რადგან ინერციის მომენტი დამოკიდებულია მანძილზე (l), ამიტომ ამ უკანასკნელის შეცვლით შეიცვლება საქანის პერიოდიც (T). ამიტომ პერიოდს (T) ასეთ საქანისათვის განვსაზღვრავთ ორჯერ: ერთხელ, როდესაც მასები (m) დაცილებულნი არიან l_1 მანძილით; პერიოდი ამ შემთხვევისათვის იყოს T_1—იგივე მასები დავაცილოთ AB მავთულს l_2 მანძილით; შესაბამი პერიოდი იყოს—T_2 წამი. თუ ტვირთების (m) ინერციის მომენტს საკუთარ ღერძის მიმართ აღვნიშნავთ J_0-ით, მაშინ საქანის ინერციის მომენტისათვის გვექნება საერთო ფორმულა:

[1]) როგორც ცნობილია, ძალის მომენტი ეწოდება ძალის და მხარის (უმოკლესი მანძილია ძალის მიყენების წერტილსა და ბრუნვის ღერძს შორის) ნამრავლს.

$$J = J_0 + 2ml^2,$$

l_1 და l_2 მანძილებისათვის ინერციის მომენტებია:

$$J_1 = J_0 + 2ml_1^2,$$
$$J_2 = J_0 + 2ml_2^2.$$

დავწეროთ რყევათა პერიოდების მნიშვნელობანი ორთავე შემთხვევისათვის:

$$T_1 = 2\pi \sqrt{\frac{J_0 + 2ml_1^2}{f}},$$
$$T_2 = 2\pi \sqrt{\frac{J_0 + 2ml_2^2}{f}}.$$

ავამაღლოთ ორივე განტოლება კვადრატში და გამოვაკლოთ ერთი მეორეს, მივიღებთ:

$$T_1^2 = 4\pi^2 \frac{J_0 + 2ml_1^2}{f};$$
$$T_2^2 = 4\pi^2 \frac{J_0 + 2ml_2^2}{f}.$$
$$T_1^2 - T_2^2 = 4\pi^2 \left[\frac{J_0 + 2ml_1^2 - J_0 - 2ml_2^2}{f} \right];$$
$$T_1^2 - T_2^2 = 4\pi^2 \frac{2m(l_1^2 - l_2^2)}{f} = \frac{8\pi^2 m (l_1^2 - l_2^2)}{f}$$

აქედან

$$f = \frac{8\pi^2 m (l^2 - l_2^2)}{T_1^2 - T_2^2} \qquad (3)$$

ასე გამოითვლება გრეხვის მოდული (f) მოცემული სხეულისათვის. მაგრამ, როგორც ცნობილია გრეხვის მოდული ორნაირია: ერთი — სხეულის დამახასიათებელი (f) და მეორე კი — ნივთიერების დამახასიათებელი (F). გამოვთვალოთ ეხლა ნივთიერების დამახასიათებელი გრეხვის მოდული (F). კულონის კანონის თანახმად ნივთიერების დამახასიათებელი გრეხვის მოდული (F) პირდაპირ პროპორციულია მგრეხავი ძალის მომენტისა (P) და მავთულის სიგრძის (L) ნამრავლისა და უკუპროპორციულია მავთულის რადიუსის მე-4 ხარისხისა და გრეხვის კუთხის (რადიანებში გამოსახულს) ნამრავლისა, ე. ი.

$$F = \frac{PL}{r^4 \varphi}, \qquad (4)$$

მაგრამ, რადგან მე-(2) განტოლებიდან: $f=\frac{P}{\varphi}$,
ამიტომ

$$F=\frac{fL}{r^4} \tag{5}$$

ამ განტოლებაში ჩავსვათ f-ის მნიშვნელობა მე-(3) განტოლებიდან.

$$\boxed{F=\frac{8\pi^2 m\,(l_1^2-l_2^2)\,L}{(T_1^2-T_2^2)\,r^4}} \tag{6}$$

ამოცანას შევასრულებთ შემდეგი თანმიმდევრობით:

1. ქვემოთ აღნიშნული სქემის მიხედვით შევადგინოთ დაკვირვებათა ცხრილი, რომელშიაც თანდათანობით შევიტანთ დაკვირვებით მიღებულ რიცხვებს.

2. MN მავთულზე გავზომოთ ჩამოცმული სხეულის მასა (m). რადგან $m=\frac{p}{g}$, ამიტომ ამ სხეულის წონა გამოსახული კგ-ში უნდა გავყოთ $g=9810$ მმ/წ²-ზე

3. გავზომოთ მმ-ებში (l_1) მანძილი m სხეულის ცენტრიდან AB მავთულამდე.

4. მასშტაბით გავზომოთ მმ-ებში მავთულის სიგრძე (L).

5. მიკრომეტრით გავზომოთ მმ-ებში მავთულის (AB-ს) დიამეტრი (d) რამდენიმე ადგილას. დაკვირვებათა ცხრილში შევიტანოთ $\frac{d}{2}=r$ რადიუსის საშუალო მნიშვნელობა).

6. ავამოძრაოთ საქანი და გამოვთვალოთ პერიოდი (T_1—წ). ამისათვის ავიღოთ რამდენიმე რყევა, მაგ. n და წამმზომით გამოთვლილი დრო t_1, გავყოთ n-ზე

$$T_1=\frac{t_1}{n}$$

7. (m) სხეულების მანძილები AB მავთულის მიმართ შევცვალოთ—l_2 მმ-ით. (გავზომოთ l_2 მანძილიც AB-დან m-მდე).

8. მე-6 შემთხვევის მსგავსად გამოვთვალოთ პერიოდი T_2, რომელიც ესაბამება l_2 მანძილს.

9. რამდენიმეჯერ გამოვთვალოთ F.

10. გამოვთვალოთ ცთომილებანი.

დაკვირვებათა ცრილი

№ რიგზე	მავთულის		სხეულის (m) მასა $\frac{კგ \cdot სეკ^2}{მმ}$	პირველი შემთხვევა				მეორე შემთხვევა				F
	სიგრძე L მმ	რადიუსი $\frac{d}{2}=r$ მმ		მანძილი სხეულს და მავთულ შორის l_1-მმ	რყევათა რიცხვი nR	n რყევის ხანგრძლივობა t_1-სეკ	პერიოდი $T_1=\frac{t_1}{n}$	მანძილი სხეულს და მავთულ შორის l_2-მმ.	რყევათა რიცხვი n	n რყევის ხანგრძლივობა t_1-სეკ.	პერიოდი $T_2=\frac{t_2}{n}$ სეკ.	

ამოცანა № 12

იუნგის მოდულის გამოთვლა ღეროს ჩაღუნვით

საჭირო ხელსაწყოები: სადგამი (*A* და *B*) პრიზმებით; ლითონის რამდენიმე ღერო; ლითონის ჩარჩო კაუჭით (*a*) (ნახ. 26), რომელზედაც ვკიდებთ ფიალას აბრებისათვის; აბრები—(თვითეულის წონაა 50 გ); შტანგენფარგალი, მიკრომეტრი და მასშტაბი.

თეორია: თუ *a* და *b* პრიზმებზე მდებარე *AB* ღეროს შუა *O* წერტილზე მოქმედებს რაიმე ძალა (*P*) (ნახ. 25), მაშინ ამ ძალის ქმედებით ღერო ჩაიღუნება, ე. ი. ღეროს შეეცვლება ფორმა. ამ მოვლენას ღუნვის დეფორმაცია ეწოდება.



ნახ. 25.

მოქმედი ძალის (*P*) მიყენების წერტილის გადაადგილებას (*S*) ღუნვის ისარი ეწოდება. ღუნვის დეფორმაციის დროს ღეროს დამაგრების სამი საშუალება არსებობს (ნახ. 26 და 27).



ნახ. 26.

1) ღერო დამაგრებულია ერთი ბოლოთი და მის მეორე თავისუფალ ბოლოზე მოქმედებს *P* ძალა (ნახ. 27ა).

2) ღეროს ორივე ბოლო თავისუფლად ეყრდნობა პრიზმის წიბოებს. ძალა მოქმედებს ღეროს შუა წერტილზე (ნახ. ბ).

3) ღერო ორივე ბოლოთია დამაგრებული. ძალა მოქმედებს მის შუა წერტილზე ნახ. გ).

ღუნვის დროს ხდება ღეროს ერთი ფენების გაჭიმვა და მეორე ფენების კუმშვა. რადგან გაჭიმვა და კუმშვა დამოკიდებულია იუნგის მოდულზე, ამიტომ თეორიულად შესაძლებელია ღუნვის დეფორმაციის დაკავშირება იუნგის მოდულთან. თეორია ღუნვის ისრისათვის (S) შემდეგ ფორმულას იძლევა:

$$S = \frac{1}{E}\, k\, \frac{PL^3}{ab^3} \qquad (1)$$



ნახ. 27.

ამ ფორმულაში S-ით აღნიშნულია ღუნვის ისარი მმ-ებში, რომელსაც ავითვლით დაკვირვებისას. k პროპორციულობის კოეფიციენტია, რომელიც დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახით არის დამაგრებული ღერო:

1) თუ ღეროს ერთი ბოლოა დამაგრებული, მაშინ $k=4$;

2) თუ ღერო არც ერთი ბოლოთი არაა დამაგრებული მაშინ $k=\frac{1}{4}$;

3) თუ ღერო ორივე ბოლოთია დამაგრებული, მაშინ $k=\frac{1}{16}$.

P-თი აღნიშნულია (კგ-ებში გამოსახული) ღეროზე მოქმედი ძალა, L არის მმ-ებში გამოსახული ღეროს სიგრძე, a—ღეროს სიგანე და b კი—სიმაღლე (სისქე)—მმ-ებში. E საკვლევი სხეულის დამახასიათებელი სიდიდეა, რომელიც ჩვენთვის საძიებელია და რომელსაც ი უ ნ გ ი ს მ ო დ უ ლ ი ეწოდება.

(1) განტოლებიდან იუნგის მოდულის გამოსათვლელად შემდეგ ფორმულას მივიღებთ:

$$\boxed{E=K\frac{PL^3}{Sab^3}}\ \text{კგ/მმ}^2 \qquad (2)$$

ხელსაწყოს აღწერა: ხელსაწყო შედგება (ნახ. 26) ორი სადგარისაგან (A და B), რომლებზედაც ხრახნებით დამაგრებულია ორი პრიზმა. გამოსაკვლევი ღეროს ბოლოებს ვათავსებთ—ან ამ პრიზმებზე, ან პრიზმების ქვეშ (იმისდამიხედვით, თუ რომელი ხერხით ვაწარმოებთ ცდას). ღეროზე ჩამოცმულია ლითონის ჩარჩო (c) კაუჭით, ტვირთების დასაწყობად დაიკიდება მავთული ფიალათი. ღეროს უკან ათავსებენ ვერტიკალურ სკალას, ღუნვის ისრის (S-ის) გასაგებად.

ცდის წარმოებისას შემდეგი მიმდევრობა დავიცვათ:

1. თანახნად ქვემოთ აღნიშნულისა შევადგინოთ დაკვირვებათა ცხრილი და მასში შევიტანოთ გაზომვის შედეგად მიღებული რიცხვები.

2. გავზომოთ ღეროს სიგრძე (L-მმ). ღეროს სიგრძედ ითვლება მანძილი პირველი შემთხვევისათვის იმ წერტილიდან, სადაც ღერო შორდება საყრდენს, ღეროს ბოლო წერტილამდე; მეორე და მესამე შემთხვევებში კი L სიგრძედ ითვლება მანძილი საყრდენებს შორის.

3. მიკრომეტრით გავზომოთ ღეროს a სიგანე და b სისქე (გამოისახოს მმ-ებში).

4. ლითონის ჩარჩოს მაჩვენებლის წინ დავაყენოთ ვერტიკალური სკალა. ამ სკალაზე ავიღოთ საწყისი ანათვალი.

5. ფიალაზე დავდოთ რამდენიმე ტვირთი და ვიპოვოთ ღუნვის ისარი, ე. ი. მმ-ების ის რიცხვი, რამდენზედაც გადინაცვლებს ვერტიკალურ სკალაზე ჩარჩოს მაჩვენებელი; შემდეგ ფიალაზე დავდოთ ახალი ტვირთი და კვლავ ვიპოვოთ ღუნვის ისარი და ა. შ.

6. ღუნვის ისარს ვიპოვით ასე: დავუშვათ, რომ საწყისი ანათვალი ვერტიკალურ სკალაზეა a_0 მმ. როდესაც დავკიდებთ პირველ აზრას (P_1 კგ-ს), მაშინ ცხადია ღეროს ჩაღუნვის მაჩვენებელი მოგვცემს ახალ ანათვალს და ყოველ სხვა ახალი დატვირთვის შემდეგ მივიღებთ სხვადასხვა ანათვალებს. დავუშვათ, რომ:

P_1 კგ დატვირთვას ესაბამება ვერტიკალური სკალის ჩვენება—a_1
P_2 კგ " —a_2
P_3 კგ " —a_3

და ა. შ., მაშინ

$a_1-a_0=\Delta S_1$ არის ღუნვა გამოწვეული P_1 კგ-ის მიერ
$a_2-a_1=\Delta S_2$ P_2 კგ-ის მიერ
$a_3-a_2=\Delta S_3$ P_3 კგ-ის მიერ

და ა. შ.

რადგან P_1 კგ-მა ღერო ჩაღუნა ΔS_1 მმ-ით, ამიტომ ტვირთის ერთეული (1 კგ) ჩაღუნავდა ამ ღეროს

$$S_1=\frac{\Delta S_1}{P_1} \text{ მმ-ით.}$$

ამის მსგავსად, თუ P_2 კგ-მა ღერო ჩაღუნა ΔS_2 მმ-ით, ტვირთის ერთეული კი ჩაღუნავდა ამ ღეროს

$$S_2=\frac{\Delta S_2}{P_2} \text{ მმ-ით.}$$

ამის ანალოგიურად

$$S_3=\frac{\Delta S_3}{P_3} \text{ და ა. შ.}$$

ღუნვის ისრისათვის ჩვენ უნდა ავიღოთ S_1, S_2, S_3 და ა. შ. საშუალო არითმეტიკული

$$S=\frac{S_1+S_2+\cdots+S_n}{n}$$

დაკვირვებათა ცხრილი

რიგი	ღეროს სიგრძე L მმ	ღეროს სიგანე a მმ	ღეროს სიმაღლე (სისქე) b მმ	ტაფაზე დაკიდული ტვირთის წონა P კგ.	ვერტიკალური სკალის საწყისი ანათვალი a_0 = მმ		წონის ერთეულით გამოწვეული ღუნვა $S_i = \frac{\Delta S_i}{P_i}$	იუნგის მოდული $E = K\frac{PL^3}{ab^3} - \frac{კგ}{მმ^2}$	შენიშვნა
					მისი ჩვენება შესაბამ ტვირთზე	სხვაობა Δs			
				$P_1 =$	$a_1 =$	$a_1 - a_0 =$	$\frac{\Delta S_1}{P_1} =$		
				$P_2 =$	$a_2 =$	$a_2 - a_1 =$	$\frac{\Delta S_2}{P_2} =$		
				$P_3 =$	$a_3 =$	$a_3 - a_2 =$	$\frac{\Delta S_3}{P_3} =$		
							საშ. $S =$		

ამოცანა № 13

მყარი სხეულის ხაზობრივი გაფართოების კოეფიციენტის განსაზღვრა

საჭირო ხელსაწყოები და მასალა: 1) თითბრის მილი. 2) ჭოგრი სკალით, 3) მასშტაბი, 4) მადუღებელი, 5) სითბოს წყარო (ელექტრო-ქურა ან პრიმუსი).

ხაზობრივი გაფართოების კოეფიციენტი α ის რიცხვია, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა ნაწილს იმატებს სხეულის ხაზობრივი ზომა (სიგრძე, სიგანე ან სიმაღლე), როცა მას ვათბობთ 1°-ით.

ვთქვათ t_1° ტემპერატურაზე სხეულის სიგრძეა l_1;
„ t_2° „ „ l_2,
მაშინ სიგრძის ნამატი იქნება: (l_2-l_1);

ამდენი მოიმატა სხეულმა t_2-t_1) გრადუსით გათბობის დროს; ხოლო 1°-ით გათბობისას მოიმატებდა: $\frac{l_2-l_1}{t_2-t_1}$; თუ გვინდა გავიგოთ α, ე. ი. თუ რა ნაწილი მოიმატა სხეულის სიგრძემ 1°-ით გათბობისას, ამისათვის საჭიროა სიგრძის ნამატი გავყოთ საწყის სიგრძეზე, მივიღებთ:

$$\alpha=\frac{l_2-l_1}{l_1(t_2-t_1)}.$$

აღვნიშნოთ სიგრძის ნამატი: $l_2-l_1=\Delta l$, ამიტომ

$$\alpha=\frac{\Delta l}{l_1(t_2-t_1)}. \qquad (1)$$

ამ შემთხვევაში α იქნება ხაზობრივი გაფართოების საშუალო კოეფიციენტი t_1 და t_2 ტემპერატურათა შორის.

როგორც ვხედავთ α-ს გამოსაანგარიშებლად საჭიროა: სხეულის სიგრძის გაზომვა ორჯერ t_1 და t_2 ტემპერატურის დროს.

მაგრამ ჩვეულებრივად ასე იქცევიან: გაზომავენ სიგრძეს (l_1)-ს ოთახის ტემპერატურის (t_1°) დროს. ხოლო სიგრძის ნამატს Δl გამოთვლიან მეტად მგრძნობიარე, ე. წ. ოპტიკური მეთოდით (ჭოგრისა და სარკის მეთოდით).

ხელსაწყოს აღწერა (ნახ. 28): ხელსაწყო შესდგება თითბრის AB მილისაგან, რომელიც თავის ერთი a ბოლოთი დამაგრებულია b ხრახნზე; მეორე თავისუფალ ბოლოზე მიმაგრებულია რგოლი C, რომელსაც ებჯინება r ბერკეტის წვერი. ამ ბერკეტზე ვერტიკალურად მიმაგრებულია m სარკე ზამბარით. მილის უმნიშვნელო წაგრძელებაც კი იწვევს სარკის მიტრიალებას მცირე φ კუთხით. ხელსაწყო მიმაგრებულია ხის დაფაზე, რომელიც მილურსმულია კედელზე.

ფორმულის გამოყვანა: მასშტაბით გაზომავენ თითბრის მილის სიგრძეს მარჯვენა b ხრახნის შუა ვერტიკალურ ხაზიდან C რგოლის გარეგან ნაპირამდე. ეს იქნება მილის საწყისი სიგრძე (l_1) ლაბორატორიის ტემპერატურის დროს (უნდა აითვალოს ლაბორატორიაში ჩამოკიდებულ თერმომეტრზე ოთახის ტემპერატურა ($t_1°$) და შეტანილ იქნას ცხრილში).

ჭოგრს დააყენებენ სარკიდან 1,5—2 მეტრის მანძილზე ისე, რომ სარკეში გამოჩნდეს ჭოგრზე მიმაგრებული სკალის შუა დანაყოფები. ჭოგრი ისე უნდა იყოს დაყენებული, რომ ოკულარის ვერტიკალური ძაფი ხვდებოდეს სკალის შუა ნაწილის რომელიმე დანაყოფს. წყალს ადუღებენ და როცა რეზინის მილიდან ორთქლი იწყებს დენას, მაშინ ამ მილს გოფმანის (K) მომჭერით დაკეტავენ; ორთქლი შევა თითბრის მილში; მილი გახურდება, დაგრძელდება, მიაწვება ბერკეტს და გამოიწვევს ბერკეტისა და სარკის შებრუნებას. ამიტომ ეხლა ჭოგრში გამოჩნდება სხვა დანაყოფები. ორთქლი მილში უნდა



ნახ. 28.

გადიოდეს მანამდე, სანამ ჭოგრში დანაყოფების გადანაცვლება ვერტიკალური ძაფის მიმართ არ შეწყდება. ავითვალოთ ეხლა ჭოგრში ეს დანაყოფი, რომელიც გამოჩნდება ვერტიკალური ძაფის პირდაპირ. ეს ახალი ანათვალი შევიტანოთ ცხრილში. ანათვალთა სხვაობა ჭოგრში იყოს d (ახალ ანათვალს ვაკლებთ საწყის ანათვალს).

განვიხილოთ $\triangle mpn$ (ნახ. 28). კატეტი pn არის მილის წაგრძელება, რომელიც აღვნიშნოთ Δl-ით. მაშინ:

$$Pn = mp \cdot \sin\varphi$$

ანუ

$$\Delta l = r \sin\varphi;$$

აქ r არის ბერკეტის სიგრძე და უდრის 50 მმ-ს.

φ არის რადიანებში გაზომილი ის კუთხე, რომლითაც მიბრუნდა ბერკეტი.

რადგანაც φ ძლიერ მცირეა, ამიტომ შეიძლება $\sin\varphi$ შევცვალოთ φ-ით.

მივიღებთ

$$\Delta l = r\varphi \qquad (2)$$

განვიხილოთ 29 ნახაზი, აქ φ არის MN სარკის შებრუნების კუთხე. რადგანაც სხივის არეკვლის კუთხე უდრის დაცემის კუთხეს, ამიტომ როცა სარკე მოტრიალდება φ კუთხით, მაშინ სხივი OD მოტრიალდება 2φ კუთხით და მიიღებს OK მიმართულებას: $DO=S$



ნახ. 29.

არის მანძილი სარკიდან (O) ჰოგრზე მიმაგრებულ სკალამდე (D).
$KD=d$ არის ანათვალთა სხვაობა სკალაზე.

$\triangle KOD$-დან:

$$KD = OD \cdot \operatorname{tg} 2\varphi,$$

ე. ი.

$$d = S \cdot \operatorname{tg} 2\varphi.$$

ვინაიდან φ კუთხე მცირეა, ამიტომ $\operatorname{tg} 2\varphi$ შეიძლება შევცვალოთ 2φ კუთხით; მივიღებთ:

$$d = 2S\varphi$$

აქედან:

$$\varphi = \frac{d}{2S};$$

φ-ის მიღებული მნიშვნელობა ჩავსვათ (2) ფორმულაში; მივიღებთ:

$$\Delta l = \frac{rd}{2S};$$

Δl-ის მნიშვნელობა ჩავსვათ (1) ფორმულაში და მივიღებთ საბოლოო ფორმულას:

$$\alpha = \frac{rd}{2Sl_1(t_2 - t_1)} \qquad (3)$$

როგორც ამ ფორმულიდან ჩანს α-ს გამოსაანგარიშებლად უნდა ვიცოდეთ:

1) ბერკეტის სიგრძე (ცნობილია $r = 50$ მმ-ს);

2) d ანუ ანათვალთა სხვა (საბოლოო ანათვალს გამოვაკლებთ საწყის ანათვალს);

3) S—მანძილი ჰოგრიდან სარკემდე (გავზომავთ რულეტით).

4) t_1 ანუ საწყისი ტემპერატურა (აითვალეთ ოთახის თერმომეტრი).

5) t_2 ანუ ორთქლის ტემპერატურა გამოთვალეთ ბარომეტრით და ცხრილის საშუალებით, რომელიც გვიჩვენებს, თუ მოცემულ წნევის დროს რას უდრის წყლის დუღილის ტემპერატურა.

ყველა ამ გაზომვის შედეგებს შეიტანთ ცხრილში და შემდეგ მე-(3) ფორმულის საშუალებით გაიგებთ α-ს.

ცდას განიმეორებთ 5-ჯერ და გამოთვლით, როგორც აბსოლუტურ, ისე ფარდობით ცთომილებებს.

დაკვირვებათა ცხრილი

№№ დაკვირვ. რიგი	თითბერის მილის საწყისი სიგრძე	ოთახის ტემპერატ. (მილის საწყ. ტემპ.)	ბერკეტის სიგრძე	საწყისი ანათვალი ჰოგრში	ჰოგრში ანათვალი ორთქლის გატარების შემდეგ	შკალაზე ანათვალთა სხვაობა	მანძილი სარკესა და შკალას შორის	ბარომეტრის ჩვენება	ორთქლის ტემპერა-ტურა	ხაზოვანი გაფართ. კოეფიციენტი	აბსოლ. ცთომილება
	l_1	t_1	$r = 50$ *mm*			d	S	H	t_2	α	$\Delta\alpha$
1											
2											
3											
4											
5											

პასუხი: $\alpha =$

სადაც ფარდ. ცთომილება $\varepsilon_\alpha =$

ამოცანა № 14.

მყარი სხეულის კუთრი სითბოტევადობის განსაზღვრა შერევის ხერხით

საჭირო ხელსაწყოები და მასალა: 1) გამთბობი (B) თერმომეტრით, 2) რენიოს კალორიმეტრი თერმომეტრით (A), 3) სარევი (n), 4) გამოსაკვლევი მყარი სხეული, 5) წყალი და 6) სასწორი აბრებით.

ნივთიერების კუთრი სითბოტევადობა იზომება სითბოს იმ რაოდენობით, რომელიც საჭიროა 1 გრამი ნივთიერების 1°-ით გასათბობათ, ან სითბოს იმ რაოდენობით, რომელსაც გამოჰყოფს 1 გრამი ნივთიერება 1°-ით გაციების დროს.



ნახ. 30.

ფორმულის გამოყვანა: საკვლევი ნივთიერების m გრამს გაახურებენ T გრადუსამდე და შემდეგ ჩააგდებენ კალორიმეტრში მოთავსებულ წყალში.

იქ ადგილი ექნება შემდეგ პროცესებს:

1) გახურებული ნივთიერების m გრამი გაცივდება საშუალო ტემპერატურამდე და ამ დროს გამოჰყოფს სითბოს (სითბოს შემოსავალი).

2) ეს სითბო დაიხარჯება: ა) კალორიმეტრისა და სარევის გათბობაზე, ბ) წყლის გათბობაზე და გ) თერმომეტრის გათბობაზე (სითბოს გასავალი).

რადგან სითბოს შემოსავალი უნდა უდრიდეს გასავალს, ამიტომ

შეიძლება სითბური ბალანსის განტოლების შედგენა, საიდანაც გავიგებთ საკვლევ ნივთიერების კუთრ სითბოტევადობას.

შემოვიღოთ აღნიშვნები:

საკვლევი სხეულის მასა . . . m გრამი
„ „ კუთრი სითბოტევადობა . $C=?$
„ „ ტემპერატურა T°
კალორიმეტრის და სარევის მასა . . m_1
„ „ კუთრისითბოტევადობა $C=0,094$
კალორიმეტრში ჩასხმული წყლის მასა . . . M
კალორიმეტრისა და წყლის საწყისი ტემპერატურა . . t_0°
თერმომეტრის წყლის ექვივალენტი . . . k
საბოლოო ტემპერატურა, რომელიც დამყარდა
კალორიმეტრში ცდის ბოლოს . . . t°

სითბოს შემოსავალი	სითბოს გასავალი
1. საკვლევი m გრამი სხეულის მიერ გამოყოფილი სითბო, როცა იგი გაცივდა T°-დან t°-დე: $q_1=cm(T-t)$	1) კალორიმეტრისა და სარევის გათბობაზე დახარჯული სითბო: $q_2=c_1m_1(t-t_0)$; 2) წყლის გათბობაზე დახარჯული სითბო: $q_3=M(t-t_0)$. 3) თერმომეტრის გათბობაზე დახარჯული სითბო: $q_4=K(t-t_0)$.

თუ შევადგენთ სითბურ ბალანსს, მივიღებთ შემდეგ განტოლებას:

$$Cm(T-t)=c_1m_1(t-t_0)+M(t-t_0)+k(t-t_0).$$

აქედან უცნობი კუთრი სითბოტევადობა:

$$C=\frac{(c_1m_1+M+k)(t-t_0)}{m(T-t)} \qquad \text{(I)}$$

შენიშვნა: ამ ფორმულაში k არის თერმომეტრის ექვივალენტი, მისი წყალში ჩაძირვის დროს განსაზღვრულ დანაყოფამდე.

თერმომეტრის წყლის ექვივალენტი არის სითბოს ის რაოდენობა, რომელიც იხარჯება თერმომეტრის წყალში ჩაძირული ნაწილის გასათბობად 1°-ით. ლაბორატორიებში წინასწარ გამოანგარიშებულია თერმომეტრის წყლის ექვივალენტი და შედგენილია ცხრილი სხვადასხვა დანაყოფამდე ჩაძირვის შემთხვევისათვის. ამ ცხრილიდან გაიგებთ K-ს იმ დანაყოფის შესაბამისად, სანამდისაც იქნება თერმომეტრი ჩაძირული წყალში ცდის დროს.

ხელსაწყოს აღწერა: (ნახ. 30). რენიოს კალორიმეტრი (A) შედგება თითბრის თხელკედლებიან ჭურჭლისაგან; სითბოს კარგვის თავიდან ასაცილებლად ეს ჭურჭელი ჩადგმულია მეორე განიერ ჭურჭელში ისე, რომ შიგნითა ჭურჭელი დგას სითბოს ცუდ გამტარებზე (ხე, ქეჩა, კორპი ან სხვა). კალორიმეტრში მოთავსებულია თითბერის n სარევი. კალორიმეტრი დგას ხის პატარა ბორბლებზე, რომელთა დახმარებით შეგვიძლია კალორიმეტრი შევასრიალოთ გამთბობის ქვეშ.

გამთბობში ათავსებენ იმ სხეულს, რომლის კუთრი სითბოტევადობასაც ვეძებთ. გამთბობი წარმოადგენს ლითონის ცილინდრულ ჭურჭელს ორმაგი კედლებით; იგი, როგორც ზევიდან, ისე ქვევიდან დახურულია: ზევიდან კორპის საცობით, რომელშიაც გაყრილია გამთბობის შიგნით ტემპერატურის გასაზომად თერმომეტრები, ხოლო ქვევიდან დახურულია ან ფარით და ან ისევ კორპის საცობით. გამოსაკვლევ სხეულს ათავსებენ გამთბობში და ზემოდან მოთავსებული მილის საშუალებით გამთბობის კედლებს შუა წყლის ორთქლს შეუშვებენ; ქვევიდან მოთავსებული მილის საშუალებით გამოდის სითხედ ქცეული ორთქლი.

ცდის მსვლელობა: 1) ავწონოთ გამოსაკვლევი სხეული და მისი წონის მნიშვნელობა, m გრამი შევიტანოთ დაკვირვებათა ცხრილში.

2) მოვათავსოთ საკვლევი სხეული გამთბობში და შევუნთოთ ცეცხლი.

3) ავწონოთ კალორიმეტრის შიდა ჭურჭელი სარევით და მათი მასა m_1 შევიტანოთ დაკვირვებათა ცხრილში.

4) ჩავასხათ კალორიმეტრის შიდა ჭურჭელში წყალი ისეთი ვარაუდით, რომ შიგ დაიფაროს საკვლევი სხეული. ავწონოთ წყლიანი კალორიმეტრის შიდა ჭურჭელი სარევით, გამოვაკლოთ მას ცარიელი კალორიმეტრისა და სარევის წონა და მივიღებთ წყლის სუფთა მასას (M).

5) გავზომოთ და შევიტანოთ ცხრილში წყლის საწყისი ტემპერატურა—$t_0°$.

6) თვალი ვადევნოთ გამთბობში მოთავსებულ თერმომეტრს და იმ მომენტიდან, როცა ქვედა მილიდან იწყებს გამოსვლას მშრალი ორთქლი, დავიცადოთ 10—15 წუთი, რომ საკვლევ სხეულმა მიიღოს გამთბობის ტემპერატურა, ავთვალოთ და შევიტანოთ ცხრილში გამთბობის (ე. ი. საკვლევი სხეულის) ტემპერატურა $T°$.

7) შევასრიალოთ კალორიმეტრი გამთბობის ქვეშ, ამ უკანასკნელს მოვხსნათ ქვედა საცობი და საკვლევი სხეული ჩავაგდოთ კალორიმეტრში.

8) სწრაფად გამოვწიოთ კალორიმეტრი, მოვურიოთ წყალს და თვალი ვადევნოთ შიგ მოთავსებულ თერმომეტრს.

პირველად ტემპერატურა მაღლა იწევს და როცა დასრულდება სითბოს გადაცემა, მაშინ ტემპერატურა იქნება უმაღლესი. აი, ეს უმაღლესი ტემპერატურა არის საშუალო ტემპერატურა—t°, რომელიც უნდა ავთვალოთ და შევიტანოთ ცხრილში.

ამის შემდეგ ვისარგებლოთ (I) ფორმულით: ჩავსვათ ასოების მაგივრათ მათი მნიშვნელობანი და გავიგოთ უცნობი—C.

ცდა უნდა განიმეოროთ 3-ჯერ და გამოიანგარიშოთ C-ს საშუალო მნიშვნელობა.

ცალკე ცდები ერთმანეთისაგან უნდა განსხვავდებოდეს კალორიმეტრში ჩასხმული წყლის მასით, საწყისი ტემპერატურით და თუ შესაძლებელია საკვლევი სხეულის მასითაც.

დაკვირვებათა ცხრილი

ცდის №	საკვლევი სხეულის მასა	კალორიმეტრის და სარევის მასა	წყლის მასა	წყლის საწყისი ტემპერატურა	თერმომეტრის წყლის ეკვივალენტი	კალორიმეტრის კუთრი სითბოტევადობა	საკვლევი სხეულის ტემპერატურა	საშუალო ტემპერატურა	საკვლევი სხეულის კუთრი სითბოტევადობა
	m	m_1	M	t_0°	K	$C_1=0{,}094$	T°	t°	C
1									
2									
3									

ამოცანა № 15

წყლის დუღილის სითბოს განსაზღვრა შერევის მეთოდით

საჭირო ხელსაწყოები და მასალა: 1) კალორიმეტრი სარევით, 2) თერმომეტრი, 3) ორთქლსაშრობი (დეფლექტორი), 4) მადუღებელი და 5) პრიმუსი.

წყლის დუღილის სითბო სითბოს იმ რაოდენობას ეწოდება, რომელიც უნდა მივცეთ 1 გრამ წყალს დუღილის წერტილზე, რომ მი-

ვიღოთ იმავე ტემპერატურის ორთქლი, ანუ სითბოს იმ რაოდენობას, რომელსაც გამოჰყოფს 1 გრამი ორთქლი დუღილის წერტილზე, წყლად ქცევისას.

ფორმულის გამოყვანა. m გრამ ორთქლს გაატარებენ კალორიმეტრში მოთავსებულ წყალში. ორთქლი ცივდება და წყლად იქცევა. აქ ადგილი ექნება შემდეგ პროცესებს: 1) წყლად ქცევისას m გრამი ორთქლი გამოყოფს ე. წ. დუღილის სითბოს. 2) წყლად ქცეული ორთქლი შემდეგ ცივდება ორთქლად ქცევის (დუღილის) ტემპერატურიდან საშუალო ტემპერატურამდე. ამ პროცესში გამოყოფილი სითბო იხარჯება: 1) კალორიმეტრის და სარევის, 2) წყლის და 3) თერმომეტრის გათბობაზე.

შემოვიღოთ აღნიშვნები: 1. კალორიმეტრში გატარებული წყლის ორთქლის რაოდენობა . . . . m გრამი

2. კალორიმეტრში ჩასხმული წყლის წონა . M გ
3. კალორიმეტრისა და სარევის წონა . . . M_1 გ
4. კალორიმეტრის კუთრი სითბოტევადობა . . . . $C_1=0{,}094$
5. წყლისა და კალორიმეტრის საწყისი ტემპერატურა . t_0
6. ორთქლის ტემპერატურა . . . T
7. დუღილის ფარული სითბო . $\lambda=?$
8. თერმომეტრის წყლის ექვივალენტი . . . . K
9. ცდის ბოლოს დამყარებული საშუალო ტემპერატურა t.

სითბოს შემოსავალი	სითბოს გასავალი
1. m გრამ ორთქლის მიერ წყლად გადაქცევის დროს გამოყოფილი სითბო: $q_1=m\lambda$;	1. კალორიმეტრის გათბობაზე დახარჯული სითბო: $q'_1=C_1M_1\,(t-t_0)$
2. m გრამ წყალმა T-დან საშუალო ტემპერატურამდე (t) გაცივების დროს გამოჰყო სითბო: $q_2=m\,(T-t)$.	2. წყლის გათბობაზე დახარჯული სითბო: $q'_2=M\,(t-t_0)$.
	3. თერმომეტრის გათბობაზე დახარჯული სითბო: $q'_3=K\,(t-t_0)$.

თუ შევადგენთ სითბურ ბალანსს (შემოსავალ გასავალს), შემდეგ განტოლებას მივიღებთ:

$$m\lambda+m\,(T-t)=C_1M_1\,(t-t_0)+M\,(t-t_0)+K\,(t-t_0);$$

$$m\lambda = C_1M_1(t-t_0)+(M+K)(t-t_0)-m(T-t)$$

$$\lambda = \frac{(C_1M_1+M+K)(t-t_0)-m(T-t)}{m}; \qquad (I)$$

შენიშვნა: ამ ფორმულაში K თერმომეტრის წყლის ექვივალენტია წყალში განსაზღვრულ დანაყოფამდე ჩაძირვისას.

თერმომეტრის წყლის ექვივალენტი სითბოს ის რაოდენობაა, რომელიც იხარჯება თერმომეტრის წყალში ჩაძირული ნაწილის გასათბობად 1°-ზე.

თუ თერმომეტრის ჩაძირული ნაწილის გასათბობად 1°-ზე იხარჯება K გრამ-კალორია სითბო, მაშინ მის გათბობაზე t_0°-დან t°-დე დაიხარჯება სითბო:

$$q'_3 = k(t-t_0).$$

ლაბორატორიებში წინასწარ გამოანგარიშებულია თერმომეტრის წყლის ექვივალენტი. სხვადასხვა დანაყოფისათვის შესაფერისი ცხრილია შედგენილი. ამ ცხრილიდან გაიგებთ K-ს იმ დანაყოფის შესაბამად, სადამდისაც იქნება ჩაძირული თერმომეტრი წყალში ცდის დროს.

ცდის შესრულება: 1) აწონეთ კალორიმეტრის შიდა ჭურჭელი სარევით და შეიტანეთ დაკვირვებათა ცხრილში (M_1) (ნახ. 31).



ნახ. 31.

2) ჩაასხით კალორიმეტრში წყალი $\left(\text{დაახლოებით } \frac{2}{3}\text{-ზე}\right)$ და აწონეთ. გაიგეთ წყლის წმინდა წონა (M).

3) გაიგეთ კალორიმეტრში ჩასხმული წყლის საწყისი ტემპერატურა (t_0).

4) შეუნთეთ A მადუღებელს ცეცხლი. როცა წყლის ადუღების შემდეგ გამაშრობელიდან დაიწყებს მშრალი ორთქლი დენას, დაჰკეტეთ K ონკანი და N მილი ჩაუშვით წყლიან კალორიმეტრში.

5) როცა კალორიმეტრში წყლის ტემპერატურა აიწევს 20—30 გრადუსზე, მაშინ გამოაცალეთ N მილი, მოურიეთ წყალს და გაიგებთ წყლის საშუალო t ტემპერატურას.

6. ცდის დასასრულს აწონეთ კალორიმეტრი და გამოაკელით მას კალორიმეტრის წონა ორთქლის გატარებამდე; მიიღებთ იმ ორთქლის წონას (m), რომელიც გადაიქცა წყლად. მიღებული შედეგები ჩასვით (I) ფორმულაში და გაიგებთ λ-ს.

ცდა განიმეორეთ 3-ჯერ.

დაკვირვებათა ცხრილი

ცდის №	კალორიმეტრის და სარევის წონა M_1	წყლის წონა M	თერმომეტრის წყლის ექვივალენტი K	კალორიმეტრის კუთრი სითბოტევადობა $C_1=0,094$	კალორიმეტრის საწყისი ტემპერატურა t_0	ორთქლის ტემპერატურა T	ორთქლის წონა m	საშუალო ტემპერატურა t	ფარული სითბო λ
1									
2									
3									

ამოცანა № 16

წყლის ორთქლის დრეკადობის განსაზღვრა სხვადასხვა ტემპერატურის დროს

საჭირო ხელსაწყოები: ვერცხლის წყლის მანომეტრი (M) (ნახ. 32); შტატივი დამჭერით და ბადით (K და S); კოლბა (300—400 სმ³) A; სითბოს წყარო (D); ორი მომჭერი (B და C); ორთქლსაშრობი (Q); თერმომეტრი (T).

ამ ამოცანის მიზანია წყლის ორთქლის დრეკადობის განსაზღვრა სხვადასხვა ტემპერატურის დროს.

ხელსაწყოს აღწერა: ხელსაწყო შედგება მინის კოლბისაგან (A), რომელიც დახურულია რეზინის საცობით; რეზინის მილში გაყრი-

ლია (T) თერმომეტრი. (N) კოლბა მილით შეერთებულია ორთქლსაშრობთან (Q). აქედან გამოდის რეზინის B და C მილები მომჭერებით. ერთი მილი შეერთებულია ვერცხლის წყლის მანომეტრთან (M); მეორე მილის დანიშნულება კი იმაში მდგომარეობს, რომ



ნახ. 32.

ორთქლსაშრობში (Q) დაგროვილი წყლის წვეთები გამოუშვას ჭიქაში (O). ცდის დასაწყისში C მომჭერი დაკეტილია, B კი—ღიაა.

ცდა შემდეგი მიმდევრობით შევასრულოთ. 1. A კოლბას სითბოს (D) წყარო შევუდგათ და დავიწყოთ წყლის გათბობა.

2. რადგან B მომჭერი ღიაა, ამიტომ წყლის ადუღების შემდეგ ჭიქაში (O) დაიწყებს დინებას ჯერ წყალი და შემდეგ ორთქლი. ვადუღებთ წყალს დაახლოებით კიდევ 5 წუთს, რის შემდეგაც ერთდროულად ვკეტავთ B მომჭერს და ვაღებთ C მომჭერს. ამავე მომენტში A კოლბას ვაცლით სითბოს (D) წყაროს.

3. თვალყურს ვადევნებთ მანომეტრს, ჩვენ ვამჩნევთ, რომ მანომეტრის მუხლებს შორის დონეთა სხვაობა იწყებს ზრდას.

4. რადგან მანომეტრის მუხლებს შორის დონეთა სხვაობა სწრაფად იცვლება, ამიტომ უმჯობესია, რომ ეს ცდა ერთდროულად აწარმოოს სამმა დამკვირვებელმა შემდეგი წ ე ს ი თ: იმ დროს, როდესაც პირველი დამკვირვებელი თვალყურს ადევნებს თერმომეტრს და ხმამაღლა აღნიშნავს თერმომეტრის ჩვენებებს: 98°, 96°, 94°, 92°,... და ა. შ., იგივე პირი სწრაფად იწერს ვერცხლის წყლის დონეებს მანომეტრის ორივე მუხლში (h_1 და h_2), რომელსაც უკარნახებენ მას მეორე და მესამე დამკვირვებლები.

7. საჭიროა დიაგრამის აგება. აბსცისათა ღერძზე გადავზომავთ ტემპერატურის პროპორციულ მონაკვეთებს (მასშტაბი 2°—1 სმ), ორდინატთა ღერძზე კი—ორთქლის წნევის პროპორციულ მონაკვეთებს (მასშტაბი 1 სმ წნევა—0,5 სმ).

დაკვირვებათა ცხრილი

ტემპერატურა	მანომეტრის ჩვენებები		ატმოსფეროს წნევა H სმ	ორთქლის წნევა H—h
	მარცხენა მუხლის h_1	მარჯვენა მუხლის h_2 სმ.		

ამოცანა № 17

$\frac{C_p}{C_v}$ ფარდობის განსაზღვრა Clement და Desormes-ის—მეთოდით აირისათვის

აირის სითბოტევადობას ვარჩევთ ორ შემთხვევაში: სითბოტევადობას მუდმივი წნევის დროს—C_p და სითბოტევადობას მუდმივი მოცულობის დროს—C_v.

C_p ანუ სითბოტევადობა მუდმივი წნევის დროს, იზომება სითბოს იმ რაოდენობით, რომელიც იხარჯება 1 გრამი აირის 1°-ზე გასათბობად, როცა წნევა რჩება უცვლელი.

C_v ანუ სითბოტევადობა მუდმივი მოცულობის დროს იზომება სითბოს იმ რაოდენობით, რომელიც იხარჯება 1 გრამი აირის 1°-ზე გასათბობად, როცა აირის მოცულობა რჩება უცვლელი.

C_p—ადვილად შეიძლება ვიპოვოთ უშუალო ცდით. რაც შეეხება C_v-ს, მისი პოვნა უშუალო ცდით საკმაო სიძნელეს წარმოადგენს.

მაგრამ არსებობს საშუალება ვიპოვოთ ფარდობა $\frac{C_p}{C_v}$. თუ გვეცოდინება $\frac{C_p}{C_v}$ ფარდობა და C_p, ცხადია ადვილად გამოვთვლით C_v-ს.

ამ ამოცანის მიზანია ვიპოვოთ ფარდობა $\frac{C_p}{C_v}$.

საჭირო ხელსაწყოები: 1) მინის ჭურჭელი (A), 2) მანომეტრი (C) და რეზინის ბალონი (B). (ნახ. 33, იხ. გვ. 80).

ფორმულის გამოყვანა: $\frac{C_p}{C_v}$ ფარდობის განსაზღვრის დროს ჩვენ საქმე გვექნება აირის ადიაბატურ და იზოთერმულ პროცესებთან. ადიაბატური პროცესი ისეთ პროცესს ეწოდება, რომლის დროს აირის მდგომარეობა ისე შეიცვლება, რომ აირი არც იღებს გარედან სითბოს და არც ჰკარგავს.

ცხადია თუ აირი ადიაბატურად იკუმშება, იგი გათბება, ხოლო თუ ადიაბატურად ფართოვდება, მაშინ აირი გაცივდება. თუ შეკუმშულ აირს მივცემთ სწრაფად გაფართოების საშუალებას, მაშინ იგი ადიაბატურად გაფართოვდება და ამიტომ გაცივდება. ხოლო თუ აირს სწრაფად შევკუმშავთ, მაშინ იგი ადიაბატურად შეიკუმშება და ამიტომ გათბება.

იზოთერმიული პროცესი ისეთ პროცესს ეწოდება, რომლის დროს აირის მოცულობის ან წნევის შეცვლა ტემპერატურის შეუცვლელად წარმოებს.

თუ აირი ფართოვდება, მაშინ იგი ასრულებს მუშაობას და ამიტომ უნდა გაცივდეს; ტემპერატურა რომ არ შეიცვალოს, ამისათვის გარედან უნდა მივაწოდოთ სითბო. ამგვარ გაფართოებას აირის იზოთერმიული გაფართოება ეწოდება.



ნახ. 33.

თუ აირი იკუმშება, მაშინ გარეგანი შემკუმშავი ძალა ასრულებს მუშაობას; ეს მუშაობა სითბოდ იქცევა და ამიტომ აირი უნდა გათბეს; მაგრამ თუ ამ დროს აირს ვაცივებთ, მაშინ მისი ტემპერატურა შეკუმშვის დროს არ შეიცვლება, ასეთი პროცესი აირის იზოთერმიული შეკუმშვაა.

თუ აირის მდგომარეობა ადიაბატურად იცვლება, მაშინ აირი ემორჩილება პუასონის განტოლებას:

$$P_1V^k_1=P_0V_0^k;$$

სადაც

P_0 არის საწყისი წნევა;

V_0 " საწყისი მოცულობა;

P_1 " ადიაბატურად შეცვლილი წნევა;

V_1 " ადიაბატურად შეცვლილი მოცულობა;

ხოლო,

$$K=\frac{C_p}{C_v}.$$

თუ აირის მდგომარეობა იზოთერმიულად იცვლება, მაშინ იგი ემორჩილება ბოილ-მარიოტის კანონს

$$P_0V_0=P_1V_1,$$

სადაც:

P_1 საწყისი წნევაა,

V_0 " მოცულობა,

P_1 იზოთერმიულად შეცვლილი წნევა,

V_1 " " მოცულობა

Clement და Desormes-ის მეთოდით $\frac{C_p}{C_v}$ ფარდობის განსაზღვრა შემდეგი ხელსაწყოთი წარმოებს:

მინის (A) ჭურჭელი (ნახ. 33) შეერთებულია ერთის მხრივ აირის დამტენ და B რეზინის ბალონთან და მეორეს მხრივ ღია C მანომეტრთან. D ონკანის საშუალებით ჭურჭელი შეიძლება ჩავკეტოთ, როცა ეს საჭირო იქნება.

ვთქვათ აირის საწყისი მოცულობაა V_0 (ერთეული მასის მოცულობა), წნევა — P_0 და ტემპერატურა t_0. დავკეტოთ ონკანი D და B და ბალონის საშუალებით დავტენოთ ჰაერი A ჭურჭელში. მაშინ ერთეული მასის მოცულობა იკლებს და ხდება V_1; წნევა იზრდება და აირი თბება შეკუმშვის გამო. აირი თანდათან ცივდება, მიიღებს ოთახის ტემპერატურას და ამიტომ წნევა ნელ-ნელა იკლებს. როდესაც შეკუმშული აირის ტემპერატურა გაუტოლდება ოთახის ტემპერატურას, მაშინ მისი წნევა მეტი იქნება. ატმოსფეროს წნევაზე რაიმე h_1 სიდიდით (მანომეტრის მარცხენა მილში სითხე უფრო ზევით იქნება h_1 დანაყოფით).

თუ ატმოსფეროს წნევას აღვნიშნავთ b-თი და ახალ წნევას P_1-ით, მაშინ:

$$P_1=b+h_1.$$

ცოტა ხნით გავაღოთ D ონკანი და ისევ სწრაფად დავკეტოთ.

მაშინ A ჭურჭლიდან გამოვა ზედმეტი ჰაერი და მოცულობა გახდება ისევ V_0, წნევა—P_0 და ტემპერატურა —t, რომელიც ნაკლებია t_0-ზე, რადგან ადიაბატური გაფართოების დროს აირი ცივდება.

რამდენიმე ხნის შემდეგ გარშემო ჰაერი გაათბობს A-ჭურჭელს და აირის ტემპერატურა გახდება ისევ t_0; წნევა მიიღებს ახალ მნიშვნელობას:

$$P_2=b+h_2,$$

სადაც h_2 მანომეტრის მილებში დამყარებულ დონეთა სხვაობაა. ამოვწეროთ თუ რა მდგომარეობებში იყო ჰაერი:

I . . .	V_1, P_1	ტემპერატურა	t_0,	
II . . .	V_0, P_0	"	t,	$(t<t_0)$
III . . .	V_0, P_2	"	t_0	

I და III მდგომარეობებში ტემპერატურა ერთნაირია (იზოთერმიული პროცესი), ამიტომ ჰაერი ემორჩილება ბოილ-მარიოტის კანონს:

$$\frac{V_0}{V_1}=\frac{P_1}{P_2} \qquad (1)$$

I-დან მე-II-ზე გადასვლა ხდება ადიაბატურად, ამიტომ შეგვიძლია დავწეროთ პუასონის განტოლება:

$$P_1V_1^k=P_0V_0^k$$

ანუ

$$\frac{V_0^k}{V_1^k}=\frac{P_1}{P_0}.$$

(1) ფორმულის თანახმად ფარდობა $\frac{V_0}{V_1}$ შეიძლება შეიცვალოს ფარდობით $\frac{P_1}{P_2}$, მივიღებთ:

$$\left(\frac{P_1}{P_2}\right)^K=\frac{P_1}{P_0}$$

გავალოგარითმოთ ორთავე მხარე:

$$K\lg\frac{P_1}{P_2}=\lg\frac{P_1}{P_0},$$

$$K=\frac{\lg\frac{P_1}{P_0}}{\lg\frac{P_1}{P_2}}$$

საიდანაც

$$K=\frac{\lg P_1-\lg P_0}{\lg P_1-\lg P_2}.$$

რადგან P_0, P_1 და P_2 სიდიდეები მცირედ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ამიტომ ლოგარითმების სხვაობა შეიძლება შეიცვალოს თვით რიცხვების სხვაობით; მივიღებთ:

$$K=\frac{P_1-P_0}{P_1-P_2};$$

მაგრამ:

$$P_1=b+h_1;\quad P_0=b \text{ და } P_2=b+h_2$$

ამიტომ:

$$K=\frac{h_1}{h_1-h_2}$$

მაგრამ:

$$K=\frac{C_p}{C_v},$$

ამიტომ:

$$\frac{C_p}{C_v}=\frac{h_1}{h_1-h_2} \qquad (2)$$

როგორც მე-(2) ფორმულიდან ვხედავთ, $\frac{C_p}{C_v}$ ფარდობის გასაგებად უნდა გავზომოთ მხოლოდ h_1 და h_2 და შემდეგ ვისარგებლოთ (1) ფორმულით.

ცდის მსვლელობა: B რეზინის ბალონით ჰაერი ჩავუშვით A ჭურჭელში მანამდე, სანამ მანომეტრის დონეთა სხვაობა არ დადგება 25—30 დანაყოფზე; დაიცადეთ 2—3 წუთი, შემდეგ აითვალეთ მანომეტრის დონეთა სხვაობა h_1 და შეიტანეთ დაკვირვებათა ცხრილში.

გააღეთ და მაშინვე სწრაფად დაკეტეთ ონკანი; დაიცადეთ 2—3 წუთი და შემდეგ აითვალეთ მანომეტრის დონეთა სხვაობა h_2.

მიღებული შედეგები ჩასვით მე-(2) ფორმულაში და გაიგებთ ფარდობას $\frac{C_p}{C_v}$.

ცდა გაიმეორეთ ათჯერ. გამოიანგარიშეთ აბსოლუტური და ფარდობითი ცთომილებანი.

დაკვირვებათა ცხრილი

№№	h_1	h_2	h_1-h_2	$\frac{C_p}{C_v}$	$\Delta\frac{C_p}{C_v}$
1					
2					
3					
4					
5					
6					
7					
8					
9					
10					

$$\frac{C_p}{C_v}=$$

ფარდობითი ცთომილება $E_k=$

ამოცანა № 18

სითხის კრიტიკული ტემპერატურის პოვნა

საჭირო ხელსაწყოები: (ნახ. 34) მინის დახშული მილი (A), ეთერით ან რაიმე სხვა სითხით; ჰაერის D აუზი; სითბოს წყარო—P; თერმომეტრი—t.

კრიტიკული ტემპერატურა ისეთი ტემპერატურაა, რომელზედაც და რომლის ზევითაც ნივთიერებები აიროვან მდგომარეობაშია და ვერავითარი წნევით მას სითხედ ვერ გადავაქცევთ. ნივთიერების კრიტიკული ტემპერატურის მოსაპოვებლად სხვადასხვა მეთოდი არსებობს. ამ ამოცანის გადასაწყვეტად ვსარგებლობთ მენისკის მოსპობის მეთოდით.

ფიზიკის კურსიდან ცნობილია, რომ მენისკი (ე. ი. სითხის ზედაპირის მოხაზულობა) გამოწვეულია მოლეკულური ძალებით. იმ შემთხვევაში, როდესაც სითხე ასველებს ჭურჭლის კედლებს, მენისკი ჩაზნექილია, წინააღმდეგ შემთხვევაში კი—ამოზნექილი. თეორიიდან ცნობილია აგრეთვე, რომ კრიტიკულ მდგომარეობაში გადასვლისას, ის განსხვავება, რომელიც კი არსებობს სითხესა და მის ორთქლს შორის, ისპობა. მენისკი, რომელიც ანცალკევებს სითხეს ორთქლისაგან, თანდათანობით ჰქრება და კრიტიკული მდგომარეო-

ბის მომენტზე გადასვლის შემდეგ მთელ ჭურჭელში ერთგვაროვანი ნივთიერება წარმოიქმნება, რადგან მოლეკულური ძალები მცირდება და ამ მომენტში უტოლდება ნულს. სწორედ მენისკის გაქრობის მეთოდზეა დამყარებული კრიტიკული ტემპერატურის პოვნა კრიტიკული ტემპერატურის საპოვნელად ჩვენ სქელკედლიანი მინის პატარა დახშული მილით ვსარგებლობთ, რომელშიაც ჩასხმულია საკვლევი სითხე. სითხეს უკავია ამ მილის მოცულობის დაახლოებით $\frac{1}{3}$ ამ სითხის ზევით იმყოფება მხოლოდ სითხის ორთქლი, რადგან



ნახ. 34.

ჰაერი მილის დამზადებისას სავსებით გამოდევნილია. ეს მილი მოთავსებულია ჰაერის აბაზანაში, რომელშიაც მოთავსებულია თერმომეტრიც.

ჰაერის აბაზანა წარმოადგენს თუნუქის კოლოფს მინის ორი სარკმელით. კოლოფის სახურავის ხვრელს გაკეთებული აქვს საცობი, რომელშიაც ჩაყრილია მავთულის ნაჭერი, ამ მავთულზე ჰკიდია მილი გამოსაკვლევი სითხით. ამავე საცობში გაყრილია თერმომეტრი, რომლითაც გავიგებთ აბაზანის ტემპერატურას გათბობისას.

ცდის შესრულება: ჰაერის აბაზანას შევუდგათ გახურებული პრიმუსი და თვალი ვადევნოთ სითხის მენისკს. მილში სითხე გათბობის გამო ფართოვდება (სითხე განსაკუთრებით ფართოვდება კრიტიკულ ტემპერატურის მახლობლად); ჩაზნექილი მენისკი თანდათან გაბრ-

ტყელდება და ბოლოს სრულიად გაჰქრება. **ტემპერატურა, რომელსაც თერმომეტრი გვიჩვენებს მენისკის გაქრობის მომენტში სწრაფად უნდა აითვალოს.** ამ მომენტში სითხე მთლიანად ორთქლად არის ქცეული. როგორც კი მენისკი გაქრება, სითბოს წყაროს გამოაცლიან. მილი იწყებს გაცივებას და რამდენიმე ხნის შემდეგ მთელ მილში ნისლი ჩნდება და ამის შემდეგ გამოჩნდება სითხე თავის მენისკით. **ნისლის გაჩენის მომენტის შესაფერი ტემპერატურა** სწრაფად უნდა აითვალოს თერმომეტრზე. მენისკის გაქრობის მომენტის და ნისლის გაჩენის მომენტის შესაბამ ტემპერატურათა საშუალო სითხის კრიტიკულ ტემპერატურას წარმოადგენს.

საბოლოო კრიტიკული ტემპერატურის მისაღებად ასეთი დაკვირვება რამდენჯერმე უნდა განმეორდეს და მიღებულ კრიტიკულ ტემპერატურათა საშუალო უნდა იქნას აღებული.

დაკვირვებათა ცხრილი

რიგის №	სითხის მენისკის გაქრობის ტემპერატურა	ნისლის გაჩენის ტემპერატურა	საშუალო	კრიტიკული ტემპერატურა

ამოცანა № 19

პოტენციალის ვარდნა ელწრედის გასწვრივ და პოტენციალის გრადიენტის გამოთვლა

საჭირო ხელსაწყოები და მასალა: 1) დაფა, რომელზედაც გაჭიმულია სხვადასხვა განივკვეთის ორი გამტარი, 2) ვოლტმეტრი (V), 3) ამპერმეტრი (A) და 4) რეოსტატი (R).

ცნობილია, რომ დენის ძალა მოცემულ უბანზე პირდაპირ პროპორციულია პოტენციალთა სხვაობისა ანუ ძაბვის და უკუპროპორციულია წინაღობისა (ომის კანონი), ე. ი.

$$J=\frac{V}{R} \tag{1}$$

აქედან

$$V=JR \tag{2}$$

სადაც J დენის ძალაა, R—უბნის წინაღობა და V—ძაბვა ანუ პოტენციალის ვარდნა (სხვაობა).

თუ დენის ძალა მუდმივია, მაშინ როგორც ჩანს მეორე ფორმულიდან პოტენციალის ვარდნა პირდაპირ პროპორციულია წინაღობისა.

რადგან გამტარის წინაღობა დამოკიდებულია მის სიგრძეზე და



ნახ. 35.

განივკვეთის ფართობზე, ამიტომ პოტენციალის ვარდნაც დამოკიდებული იქნება გამტარის სიგრძესა და განივკვეთის ფართობზე.

ამ ამოცანის მიზანია: შევისწავლოთ თუ როგორი დამოკიდებულებაა პოტენციალის ვარდნასა და გამტარის სიგრძეს შორის სხვადასხვა განივკვეთის გამტარებისათვის; 2) გამოვითვალოთ პოტენციალის გრადიენტი სხვადასხვა განივკვეთის გამტარისათვის. პოტენ-

ციალის გრადიენტი ეწოდება პოტენციალთა სხვაობას, რომელიც წილად ხვდე'ა გამტარის ერთ სანტიმეტრ სიგრძესა და გამოიანგარიშება ფორმულით:

$$V_{\text{გრ.}}=\frac{V}{l}\ \frac{\text{ვოლტი}}{\text{სმ}},$$

სადაც V პოტენციალის ვარდნაა l სიგრძის გამტარზე (სმ-ში), ხოლო $V_{\text{გრ}}$ პოტენციალის გრადიენტი, რომლის განზომილებაა $\frac{\text{ვოლტი}}{\text{სმ}}$.

მაგალითად, თუ 10 სმ სიგრძის გამტარზე პოტენციალის ვარდნა=2 ვოლტს, მაშინ გრადიენტი

$$V_{\text{გრ.}}=\frac{2\ \text{ვოლტი}}{10\ \text{სმ}}=0{,}2\ \frac{\text{ვოლტი}}{\text{სმ}}.$$

წრედის შედგენა: (ნახ. 35). კედელზე მიმაგრებულ დაფაზე გაჭიმულია ორი სხვადასხვა დიამეტრის, მაგრამ ერთი და იგივე ნივთიერების გამტარი; პირველი გამტარი, რომლის დიამეტრია $D=0{,}5$ მმ-ს, გაჭიმულია 1, a, 2, b, 3, c და 4—მომჭერებს შორის ისე, რომ თითოეული უბნის (მაგ. 1-დან—a-დე) სიგრძეა $l=60$ სმ. მეორე, უფრო მცირე განივკვეთის გამტარი ($D=0{,}25$ მმ-ს), გაჭიმულია 4, d, 5, e, 6, φ და 7—მომჭერებს შორის.

თითოეული უბნის სიგრძე აქაც 60 სმ-ია.

წრედი შეადგინეთ ასე: მუდმივი დენის შტეპსელის (+) პოლუსიდან დენი მიდის ამპერმეტრში (A), ამპერმეტრიდან დაფის 1 მომჭერთან, დაფაზე გაჭიმულ გამტარში მე-4 მომჭერამდე, რეოსტატში (R) და შტეპსელის (—) პოლუსთან.

ვოლტმეტრის (V) ერთი პოლუსი მუდამ შეერთებულია დაფის 1 მომჭერთან, ხოლო მეორე პოლუსი შეგვიძლია შევაერთოთ ნებისმიერ მომჭერთან.

ცდის შესრულება: 1) შეადგინეთ ელწრედი სქემის მიხედვით (დენი არ ჩართოთ ხელმძღვანელის დაუკითხავათ;

2) გაატარეთ დენი 0,5 A ძალით (მოაწესრიგეთ რეოსტატით);

3) ვოლტმეტრით გაზომეთ პოტენციალის ვარდნა 1-სა და a-ს შორის და ჩასწერეთ ცხრილის V სვეტში 60 სმ-ის გასწვრივ;

4) გაზომეთ პოტენციალის ვარდნა 1-სა და 2-ს შორის და ჩასწერეთ ცხრილში 120 სმ-ის გასწრივ; შემდეგ: 1-სა და b-ს შორის, 1-სა და 3-ს შორის, 1-სა და c-ს შორის და 1-სა და 4-ს შორის;

5) ყოველ უბანზე ცალკე გაიგეთ გრადიენტი ფორმულით $V_{\text{გრ.}}=\frac{V}{l}\ \frac{\text{ვოლტი}}{\text{სმ}}$ და შეიტანეთ ცხრილში;

6) გამოთვალეთ გრადიენტის საშუალო მნიშვნელობა გამტარისათვის, რომლის განივკვეთის დიამეტრია $D=0{,}5$ მმ.

7) ამორთეთ ელწრედიდან უბანი 1-დან 4-მდე და მის მაგივრად ჩართეთ უფრო მცირე განივკვეთის ($D=0{,}25$ მმ) გამტარი; ამ შემთხვევაში ისევ განიმეორეთ ცდა.

8) ააგეთ გრაფიკი, რომელიც გამოხატავდეს დამოკიდებულებას გამტარის სიგრძესა და პოტენციალის ვარდნას შორის ორივე გამტარისათვის ცალცალკე (ერთი კოორდინატთა სიბრტყეზე).

ამისათვის აიღეთ დეკარტის მართკუთხა კოორდინატთა სისტემა; აბსცისთა ღერძზე გადაზომეთ გამტარის სიგრძეთა პროპორციული მონაკვეთები (60 სმ, 120 სმ, 180 სმ და ასე შემდეგ), ხოლო ორდინატთა ღერძზე შესაბამისი პოტენციალის ვარდნის პროპორციული მონაკვეთები.

9) გამოარკვიეთ მიღებული გრაფიკის ფიზიკური მნიშვნელობა.

დაკვირვებათა ცხრილი

რიგის №	განივკვეთი $S=\frac{1}{4}\pi\cdot 0{,}25^2$ მმ².			განივკვეთი $S=\frac{1}{4}\pi\cdot 0{,}25^2$ მმ²		
	l	V	V გრადიენტი $\frac{\text{ვოლტი}}{\text{სმ}}$	l	V	V გრადიენტი $\frac{\text{ვოლტი}}{\text{სმ}}$
	60 სმ			60 სმ		
	120 სმ			120 —		
	180 სმ			180 —		
	240 სმ			240 —		
	300 სმ			300 —		
	360 სმ			360 —		

ამოცანა № 20

გამტარის კუთრი წინაღობის გამოანგარიშება მოცემულ ტემპერატურის დროს

საჭირო ხელსაწყოები და მასალა: 1) დაფაზე გაჭიმულია სხვადასხვა განივკვეთის გამტარები; 2) რეოსტატი (R); 3) ამპერმეტრი (A) და 4) ვოლტმეტრი (V).

გამტარის კუთრი წინაღობა (ρ) იზომება იმ წინაღობით, რომელიც აქვს ისეთ გამტარს, რომლის სიგრძეა 1 მეტრი, განივკვეთის ფართობი 1 მმ² და ტემპერატურა 15°C.

ამოცანის მიზანია — გამოთვლილ იქნას მოცემული (ოთახის) ტემპერატურის დროს გამტარის კუთრი წინაღობა.

ფორმულის გამოყვანა: როგორც ვიცით, გამტარის წინაღობა (R) პირდაპირ პროპორციულია გამტარის სიგრძისა (l) და უკუპროპორციულია განივკვეთის ფართისა (S), ე. ი.

$$R = \rho \frac{l}{S} \qquad (1)$$

სადაც ρ არის გამტარის კუთრი წინაღობა მოცემული ტემპერატურის დროს. მეორეს მხრივ ომის კანონის თანახმად:



ნახ. 36.

$$J = \frac{V}{R},$$

საიდანაც

$$R = \frac{V}{J} \qquad (2)$$

თუ მე-(2) ფორმულაში R-ის ნაცვლად შევიტანთ მის მნიშვნელობას (1) ფორმულიდან, მაშინ მივიღებთ:

$$\rho \frac{l}{S} = \frac{V}{J};$$

აქედან მივიღებთ საბოლოო ფორმულას:

$$\rho = \frac{VS}{Jl} \tag{3}$$

როგორც მე-(3) ფორმულიდან ვხედავთ, მოცემულ ტემპერატურის დროს, კუთრი წინაღობის (ρ) გამოსაანგარიშებლად უნდა ვიცოდეთ:

1) გამტარის სიგრძე—l (ცნობილია);

2) ძაბვა ამ გამტარის ბოლოებზე—V (უნდა გაიზომოს);

3) დენის ძალა—S. (უნდა გაიზომოს);

4) გამტარის განივკვეთის ფართი—S (ცნობილია).

წრედის შედგენა: (ნახ. 36). კედელზე მიმაგრებულ დაფაზე გაჭიმულია ორი სხვადასხვა განივკვეთის გამტარი: პირველი გამტარი, რომლის განივკვეთის დიამეტრია $D = 0{,}5$ მმ, გაჭიმულია 1, a, 2, b, 3, c და 4 მომჭერებს შორის. თითოეული უბნის სიგრძე $= 0{,}6$ მეტრს $= 60$ სმ-ს (მაგალითად, სიგრძე გამტარისა 1-დან a-დე $= 0{,}6$ მ).

მეორე უფრო წვრილი გამტარი, რომლის დიამეტრია $D = 0{,}25$ მმ, გაჭიმულია 4, d, 5, l, 6 f და 7 მომჭერებს შორის. თითოეული უბნის სიგრძე აქაც 0,6 მეტრია.

წრედი შედგენილია ასე: მუდმივი დენის შტეპსელის (+) პოლუსიდან დენი მიდის ამპერმეტრში (A), ამპერმეტრიდან დაფაზე გაჭიმულ მავთულში 1-დან 4-დე, შემდეგ რეოსტატში (R) და რეოსტატიდან შტეპსელის (—) პოლუსთან. ვოლტმეტრის (V) ერთი პოლუსი მუდამ შეერთებულია დაფის მავთულის 1-ლ მომჭერიან, ხოლო მეორე პოლუსი შეგვიძლია შევაერთოთ ნებისმიერ მომჭერთან.

ცდის შესრულება: 1) შეადგინეთ ელწრედი სქემის მიხედვით (დენი არ ჩართოთ ხელმძღვანელის დაუკითხავად);

2) გაატარეთ დენი 0,5 A ძალით (მოაწესრიგეთ რეოსტატი);

3) ვოლტმეტრით გაზომეთ პოტენციალის ვარდნა 1-დან 2-დე (მანძილი $= 1{,}2$ მ) ჩასწერეთ ცხრილში 1,2 მეტრის გასწვრივ V სვეტში;

4) გაზომეთ პოტენციალის ვარდნა 1-დან 3-დე (მანძილი $= 2{,}4$ მ), შემდეგ 1-დან 4-დე (მანძილი $= 3{,}6$ მ) და შეიტანეთ ცხრილში V სვეტში შესაბამისად 3,4 მ-ის და 3,6 მ-ის გასწვრივ.

5) ამორთეთ ელწრედიდან (უბანი 1-დან 4-დე) მსხვილი განივკვეთის გამტარი და მის მაგიერ ჩართეთ წვრილი განივკვეთის გამტარი (უბანი 4-დან 7-დე).

განიმეორეთ იგივე ცდა ამ გამტარისათვისაც.

ყოველი დაკვირვების მიხედვით ცალ-ცალკე გამოთვალეთ ρ მე-3 ფორმულის მიხედვით.

დაბოლოს გამოიყვანეთ ρ-ს საშუალო მნიშვნელობა. გამოთვალეთ აბსოლუტური და ფარდობითი ცთომილებანი.

დაკვირვებათა ცხრილი

რიგის №	l (მეტ-ში)	S (მმ²-ში)	J	V	ρ	$\Delta\rho$
1	1,2 მეტრი	$\frac{1}{4}\pi \cdot 0{,}5^2$				
2	2,4	$\frac{1}{4}\pi \cdot 0{,}5^2$				
3	3,6	$\frac{1}{4}\pi \cdot 0{,}5^2$				
4	1,2	$\frac{1}{4}\pi \cdot 0{,}5^2$				
5	2,4	$\frac{1}{4}\pi \cdot 0{,}5^2$				
6	3,6	$\frac{1}{4}\pi \cdot 0{,}5^2$				

$\rho =$

ფარდ. ცთომილება $\varepsilon_\rho =$

ამოცანა № 21

ნათურის წინაღობის დამოკიდებულება მასში გამავალ დენის ძალაზე

საჭირო ხელსაწყოები (ნახ. 37): ნათურები (P), როგორც ნახშირისა, აგრეთვე ვოლფრამის ძაფებით, ამპერმეტრი (A), ვოლტმეტრი (V), სადენები, ჩამრთველი (K) და რეოსტატი (R_0).

თეორია. ცნობილია, რომ ელდენის გავლისას გამტარებში, გამოიყოფა სითბო, რომელიც, ცხადია, ასწევს ამ გამტარების ტემპერატურას. ტემპერატურის აწევით კი გამტარების წინაღობა იცვლება. ელემენტარული ფიზიკის კურსიდან ცნობილია, რომ წინაღობის ტემპერატურული კოეფიციენტი (α) ზოგი გამტარებისათვის (მაგ., ლითონებისათვის) დადებითია და ზოგისათვის კი—უარყოფითი (მაგ., ელექტროლიტებისათვის). ცნობილია აგრეთვე, რომ წინაღობის ტემპერატურული კოეფიციენტი (α) იმის მაჩვენებელია, თუ წინაღობის რა ნაწილს მოიმატებს გამტარი 1°-ზე გათბობისას.

თუ რეოსტატის საშუალებით შევცვლით ელნათურაში გამავალ დენის ძალას, მაშინ ამ ნათურის წინაღობა იქნება სხვადასხვა და ამიტომ ვოლტმეტრის ჩვენებასაც მივიღებთ სხვადასხვას. ომის კანონის თანახმად კი გამტარის წინაღობას გავზომავთ ფორმულით:

$$R = \frac{V}{J} \qquad (2)$$

სადაც R—წინაღობაა გაზომილი ომებში (Ω), V—პოტენციალთა სხვაობა—ვოლტებში და J დენის ძალაა გაზომილი ამპერებში.

(2) ფორმულით გამოვთვლით წინაღობას (R) მოცემული ნათურისათვის სხვადასხვა ძალის დენის გავლისას.

ცდა შევასრულოთ შემდეგი მიმდევრობით.

1. შევადგინოთ წრედი თანახმად აღნიშნული სქემისა[1]. წრედში ჩავრთოთ ვოლფრამის ნათურა ძაფებით.



ნახ. 37.

2. შევადგინოთ დაკვირვებათა ცხრილი, რომელშიაც მიმდევრობით შევიტანოთ ამპერმეტრის და ვოლტმეტრის ჩვენებანი.

3. რეოსტატის მცოცი დავაყენოთ ისე, რომ ვოლტმეტრის ჩვენება იყოს 10 V და ავითვალოთ ამპერმეტრის ჩვენება.

4. შემდეგ ეს მცოცი გადავაადგილოთ ისე, რომ ვოლტმეტრის ჩვენება იცვლებოდეს ხუთ-ხუთი ვოლტით და თითოეული შემთხვევისათვის ავითვალოთ ამპერმეტრის ჩვენებანი.

5. ცდები იმავე მიმდევრობით განვიმეოროთ ნახშირის ნათურაზე.

6. შევადგინოთ დამოკიდებულების გრაფიკი R და J შორის. აბსცისათა ღერძზე გადავზომოთ დენის ძალის პროპორციული მონაკვეთები, ორდინატთა ღერძზე კი—წინაღობის პროპორციული მონაკვეთები.

[1] ხელმძღვანელის მიერ შემოწმების გარეშე წრედის ჩართვა აკრძალულია.

დაკვირვებათა ცხრილი

რიგის №	ვოლტმეტრის ჩვენება V—ვოლტი	ამპერმეტრის ჩვენება A—ამპერი	წინაღობა $R=\frac{V}{J}$ Ω ომი	შენიშვნა

ამოცანა № 22

გამტარის წინაღობის გამოანგარიშება უიტსტონის ხიდით

I. თეორიული საფუძვლები: 38 ნახაზზე გამოსახულია ორი გამტარი ACB და ADB, რომლებიც პარალელურად არიან ჩართული წრედში A და B წერტილებს შორის. აღვნიშნოთ A წერტილის პოტენციალი V_1-ით, B წერტილის პოტენციალი კი V_2-თი.



ნახ. 38.

ADB გამტარში პოტენციალი თანდათან ეცემა V_1-დან V_2-დე. პოტენციალის ასეთივე დაცემა ხდება ACB გამტარში.

თუ ADB გამტარზე ავიღებთ რომელიმე D წერტილს V_0 პოტენციალით, მაშინ ACB გამტარზე ყოველთვის მოიძებნება ისეთი C წერტილი, რომლის პოტენციალი იქნება V_0.

თუ შევაერთებთ C და D წერტილებს გამტარით, მაშინ CD-ში დენი არ იქნება და მგრძნობიარე გალვანომეტრის (g) ისარი არ გადიხრება.

აღვნიშნოთ:

AC გამტარის წინაღობა R_1-ით
CB „ R_2-ით
AD R_3-ით
და DB „ „ R_4-ით

დენის ძალა AC უბანზე . . i_1
„ CB აგრეთვე იქნება i_1
„ AD „ . . . i_2
„ „ DB „ აგრეთვე იქნება i_2

კირჰგოფის მეორე წესის თანახმად; $ACDA$ კონტურში:

$$i\ R_1 - i_2 R_3 = 0$$

აქედან

$$i_1 R_1 = i_2 R_3 \qquad (1)$$

$CBDC$ კონტურში:

$$i_1 R_2 - i_2 R_4 = 0$$

აქედან

$$i_1 R_2 = i_2 R_4 \qquad (2)$$

(1) ტოლობას მე-(2)-ზე თუ გავყოფთ მივიღებთ:

$$\frac{R_1}{R_2} = \frac{R_3}{R_4} \qquad (3)$$

ე. ი. თუ C წერტილი ისეა შერჩეული, რომ CD გამტარში დენი არ არის, მაშინ R_1, R_2, R_3 და R_4 წინაღობანი (3) პროპორციას შეადგენენ.

თუ ამ ოთხი სიდიდედან სამი ცნობილია, მაშინ შეგვიძლია გავიგოთ მეოთხეც.

ამისათვის იქცევიან ასე:

AD გამტარის მაგივრად ათავსებენ X წინაღობის გამტარს (ნახ. 39), ხოლო DB გამტარის მაგივრად წინასწარ ცნობილ წინაღობას.

AC და CB გამტარებად აღებულია 100 სმ სიგრძის წვრილი მავთული.

II. ელწრედის სქემა და ცდის მსვლელობა. შევადგინოთ წრედი: E ელემენტი (ნახ. 39) შეერთებულია K გასაღების საშუალებით A და B წერტილებთან. A და B-ს შორის გაჭიმულია 1 მ სიგრძის წვრილი გამტარი.

AB-ს პარალელურად ერთმანეთთან მიმდევრობით ჩართულია X წინაღობის გამტარი და წინაღობათა წყობილი M.

C და D წერტილები შეერთებულია გალვანომეტრის (g) საშუალებით.

(M) წყობილის საშუალებით რაიმე წინაღობა R ჩავრთოთ და ვამოძრაოთ C მცოცი კონტაქტი მანამდე, სანამ გალვანომეტრის ისარი არ დადგება 0-ზე.



ნახ. 39.

ამ შემთხვევაში C და D წერტილებს ექნება ერთნაირი პოტენციალი და ამიტომ შეგვიძლია დავწეროთ პროპორცია:

$$\frac{X}{R}=\frac{R_1}{R_2} \qquad (4)$$

სადაც R_1 არის AC-ს წინაღობა, R_2 კი—CB წინაღობა.

რადგანაც წინაღობა სიგრძის პროპორციულია, ამიტომ შეგვიძლია დავწეროთ:

$$\frac{X_1}{R}=\frac{l_x}{100-l_x},$$

სადაც l_x არის AC გამტარის სიგრძე, $(100-l_x)$-კი CB გამტარისა.

თუ წინა ფორმულაში (4) წინაღობათა შეფარდებას გამტარების სიგრძეების შეფარდებით შევცვლით, მივიღებთ:

$$\frac{x}{R}=\frac{l_x}{100-l_x} \qquad (5)$$

ამგვარად, X-ის გამოსაანგარიშებლად:

1) წინაღობათა წყობილის (M) საშუალებით უნდა ჩავრთოთ რაიმე R წინაღობა.

2) ვამოძრაოთ C მცოცი კონტაქტი მანამდე, სანამ გალვანომეტრის ისარი არ დადგება 0-ზე.

3) ავითვალოთ მანძილი $l_x = AC$-ს და მიღებული სიდიდეები ჩავსვათ მე-(5) ფორმულაში.

4) ცდას განვიმეორებთ 5-ჯერ და გამოვიყვანთ x-ის საშუალო მნიშვნელობას.

5) თითოეული ცდის დროს უნდა ჩავრთოთ სხვადასხვა წინაღობა (R).

6) უნდა გამოვითვალოთ აბსოლუტური და ფარდობითი ცთომილებანი.

დაკვირვებათა ცხრილი

რიგის №	R	l_x	$100-l_x$		Δx
1					
2					
3					
4					
5					

$x =$

ფარდობითი ცთომილება $\varepsilon_x =$

ამოცანა № 23

წინაღობის ტემპერატურული კოეფიციენტის განსაზღვრა პირველი გვარის გამტარებისათვის

საჭირო ხელსაწყოები: 1) საცდელი გამტარის (R_t)—ხვეულა, რომელიც ჩაშვებულია ზეთიან ჭურჭელში; 2) ელემენტი—E; 3) წინაღობათა წყობილი (M); 4) გალვანომეტრი—(g).

თეორიული საფუძვლები: ცნობილია, რომ ტემპერატურის შეცვლით იცვლება გამტარის წინაღობა.

t^0-დე გამთბარი სხეულის წინაღობა გამოიანგარიშება ფორმულით:

$$R_t = R_0 (1 + \alpha t) \qquad (1)$$

სადაც, R_0 მოცემული გამტარის წინაღობაა 0 გრადუსზე;

R_t არის t^0-დე გამთბარი გამტარის წინაღობა;

t გრადუსი, რომლითაც შეიცვლა გამტარის ტემპერატურა; α გამტარის წინაღობის ტემპერატურული კოეფიციენტია.

წინაღობის ტემპერატურული კოეფიციენტი (α) ის რიცხვია, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა ნაწილით შეიცვალა გამტარის წინაღობა, როცა მისი ტემპერატურა გადიდდა 1°-ით.

(1) ფორმულა გამოგვადგება მაშინ, როცა ვიცით, ან საშუალება გვაქვს გავიგოთ R_0, ე. ი. წინაღობა 0°-ის დროს.

თუ კი R_0 არ ვიცით და მის მაგივრად შეგვიძლია გავიგოთ წინაღობა მოცემული ტემპერატურის დროს, ე. ი. t_1°-ის დროს, მაშინ პირველი ფორმულა იცვლება.

მართლაც:

$$\left.\begin{aligned} R_t &= R_0(1+\alpha t) \\ R_{t1} &= R_0(1+\alpha t_1) \end{aligned}\right\}$$ გავყოთ პირველი ტოლობა მეორეზე და მივიღებთ:

$$\frac{R_t}{R_{t1}} = \frac{1+\alpha t}{1+\alpha t_1};$$

$$R_t + R_t\alpha t_1 = R_{t_1} + R_{t_1}\alpha t!$$
$$\alpha(R_t t_1 - R_{t1}t) = R_{t1} - R_t;$$

$$\alpha = \frac{R_{t1} - R_t}{R_t \cdot t_1 - R_{t_1} t}.$$

t შევცვალოთ t_2-თი და მივიღებთ საბოლოო ფორმულას:

$$\alpha = \frac{R_{t_2} - R_{t1}}{R_{t1} \cdot t_2 - R_{t1} \cdot t_1} \qquad (2)$$

როგორც ამ ფორმულიდან ჩანს, α გამოსაანგარიშებლად უნდა გავიგოთ: 1) t_1 ტემპერატურის დროს მოცემული გამტარის წინაღობა (R_{t1}); 2) იმავე გამტარის წინაღობა—(R_{t_2}) სხვა t°_2—ტემპერატურის დროს და მიღებული შედეგები ჩავსვათ მე-(2) ფორმულაში.

ელწრედის სქემა და ცდის მსვლელობა: (ნახ. 40). E ელემენტიდან დენი მიდის A წერტილში, სადაც იგი განშტოვდება ორად: ერთი შტო იქნება ADB მიმართულებით, ხოლო მეორე შედგენილია ასე: A წერტილიდან დენი მიდის წინაღობათა წყობილში (M), შემდეგ C წერტილში, C-დან საცდელ გამტარში (R_t) და ბოლოს B წერტილიდან K გასაღებში.

C წერტილიდან გამოყვანილია შტო, რომელიც გაივლის (g) გალვანომეტრში და შემდეგ უერთდება მცოცავ კონტაქტს (D).

ცდა ჩაატარეთ ასე: 1) წინაღობათა წყობილების (M) საშუალებით ჩართეთ რაიმე წინაღობა R_M, გაზომეთ ტემპერატურა (t_1) ზეთში ჩაშვებული გამტარისა და ამოძრავეთ მცოცი კონტაქტი (D) მანამდე, სანამ გალვანომეტრის ისარმა არ გიჩვენოთ ნული.

2) გაზომეთ მანძილები: $AD = l_M$ და $DB = l_R$, მაშინ $t_1°$-დე გამთბარ გამტარის წინაღობას გაიგებთ პროპორციიდან:

$$\frac{R_{t_1}}{R_M} = \frac{l_R}{l_M};$$

საიდანაც

$$R_{t_1} = \frac{R_M \cdot l_R}{l_M}.$$

R_{t_1} მიღებული მნიშვნელობა შეიტანეთ დაკვირვებათა ცხრილში.

3) გაათბობთ ზეთს და, მაშასადამე, მასში მოთავსებულ საცდელ გამტარსაც t_2 გრადუსამდე და როგორც წინა შემთხვევაში გამოთვლით წინაღობას t_2-ის დროს, ე. ი. R_{t_2}.



ნახ. 40.

4) t_1, R_{t_1}, t_2 და R_2 სიდიდეების მნიშვნელობათა მიხედვით გამოიანგარიშებთ α-ს მე-(2) ფორმულიდან.

5) ცდას განიმეორებთ ამგვარად 4-ჯერ და გაიგებთ α-ს საშუალო მნიშვნელობას.

საჭიროა აბსოლუტური და ფარდობითი ცთომილებათა გამოთვლაც.

დაკვირვებათა ცხრილი

ცდის №	R_{t_1}-ის გამოანგარიშება				R_{t_2}-ის გამოანგარიშება				α	$\Delta\alpha$
	t_1	l_M	l_R	R_{t_1}	t_2	l_M	l_R	R_{t_2}		
1										
2										
3										
4										

ამოცანა № 24

მუშაობის თერმიული ეკვივალენტის განსაზღვრა ჯოულ-ლენცის კანონით

საჭირო ხელსაწყოები და მასალა (ნახ. 41): 1) კალორიმეტრი (C), 2) სპირალური ხვეულა (B), 3) ვოლტმეტრი (V), 4) ამპერმეტრი (A) და 5) საათი.

დენის სითბური ქმედების შესახებ ჯოულმა და ლენცმა შემდეგი კანონი დაამყარეს:

დენის მიერ გამტარში გამოყოფილი სითბოს რაოდენობა პირდაპირ პროპორციულია დენის ძალის კვადრატის, წინაღობის და დენის მოქმედების ხანგრძლივობის (დროის) ნამრავლისა, ე. ი.

$$Q=KJ^2 Rt \qquad (1)$$

მაგრამ, ომის კანონიდან $R=\frac{V}{J}$; თუ ჩავსვამთ R-ის მნიშვნელობას წინა (1) ფორმულაში მივიღებთ:

$$Q=KJVt \qquad (2)$$

სადაც, Q გამოყოფილი სითბოს რაოდენობაა,

J—დენის ძალა (ამპერებში),

V—ძაბვა (ვოლტებში), და t დენის მოქმედების ხანგრძლივობა (წამებში). ნამრავლი JVt დენის მიერ შესრულებული მუშაობაა ჯოულებში.

K კოეფიციენტი დენის მუშაობის თერმიული ეკვივალენტია, რომელიც რიცხობრივად მცირე კალორიების იმ რაოდენობას უდრის,

რომელიც გამოიყოფა დენის მიერ 1 ჯოული მუშაობის შესრულებისას, ანუ K იზომება სითბოს იმ რაოდენობით, რომელსაც გამოჰყოფს გამტარში დენი, თუ $J=1$ ამპერს, $V=1$ ვოლტს და $t=1$ წამს. მე-(2) ფორმულიდან მივიღებთ:-

$$K=\frac{Q}{JVt}; \qquad (3)$$

Q-ს გამოსაანგარიშებლად ასე მოვიქცეთ: კალორიმეტრში ჩავასხათ და შიგ მოთავსებულ ხვეულაში გავატაროთ დენი t წამის განმავლობაში. დენის მიერ გამოყოფილი სითბო გაათბობს კალორიმეტრს, თერმომეტრს და წყალს და, ამიტომ მათი ტემპერატურა იმატებს.

შემოვიღოთ აღნიშვნები:

კალორიმეტრის და სარევის მასა . . . m გრამი,

" კუთრი სითბოტევადობა . . $C=0,094$,

კალორიმეტრში ჩასხმული წყლის მასა . . m_1,

თერმომეტრის წყლის ექვივალენტი . . . . . N,

კალორიმეტრის და წყლის საწყისი ტემპერატურა . . T_1,

ცდის ბოლოს დამყარებული ტემპერატურა . . . T_2

კალორიმეტრის და სარევის გათბობაზე დახარჯული სითბო

$$q_1=mc\,(T_2-T_1).$$

თერმომეტრის გათბობაზე დახარჯული სითბო

$$q_2=N(T_2-T_1)$$

წყლის გათბობაზე დახარჯული სითბო

$$q_3=m_1\,(T_2-T_1)$$

მთლიანად დენის მიერ გამოყოფილი სითბო:

$$Q=q_1+q_2+q_3$$

ანუ

$$Q=(mc+N+m_1)\,(T_2-T_1).$$

Q-ს მიღებულ მნიშვნელობას მე-(3) ფორმულაში თუ ჩავსვამთ K-ს გამოსაანგარიშებელ საბოლოო ფორმულას მივიღებთ:

$$K=\frac{(mc+N+m_1)(T_2-T_1)}{JVt} \qquad (4)$$

ელწრედის სქემა და ცდის მსვლელობა: 1) შეადგინეთ ელწრედი მოცემული სქემის მიხედვით.

2) ასწონეთ კალორიმეტრის შიდა ცარიელი ჭურჭელი სარევით და მისი მასა შეიტანეთ ცხრილში:

3) ჩაასხით კალორიმეტრში იმდენი წყალი, რომ დაფაროს B სპირალი.

4) აწონეთ კალორიმეტრის შიდა ჭურჭელი წყლით, გამოაკელით ცარიელი ჭურჭლის წონა და გაიგებთ წყლის მასას—m_1.

5) გაზომეთ კალორიმეტრში არსებული საწყისი ტემპერატურა—T_1.

6) თერმომეტრის წყალში ჩაძირვის შესაბამისად გაიგეთ თერმომეტრის წყლის ექვივალენტი—N (ჰკითხეთ ხელმძღვანელს).

7) შეამოწმებინეთ წრედი ხელმძღვანელს და გაუშვით დენი.

8) ყოველ 3 წუთში გაზომეთ დენის J ძალა და V ძაბვა.

9) როცა კალორიმეტრში ტემპერატურა გადიდდება 20—30 გრადუსით, ამორთეთ დენი და ჩაიწერეთ საბოლოო ტემპერატურა (T_2).

10) შეაჯამეთ დენის მოქმედების საერთო ხანგრძლივობა; ეს იქნება t წამი, რომელსაც შეიტანთ მე-(4) ფორმულაში.



ნახ. 41.

11) გამოთვალეთ J და V-ს საშუალო მნიშვნელობანი და შემდეგ შეიტანეთ მე-(4) ფორმულაში.

ცდა განიმეორეთ 3-ჯერ. გამოთვალეთ, როგორც აბსოლუტური, ისე ფარდობითი ცთომილებანი.

დაკვირვებათა ცხრილი

რიგის №	m	m_1	C	N	T_1	T_2	J	V	t	K	ΔK

ამოცანა № 25

თერმოელემენტის დაგრადუირება

საჭირო იარაღები: (ნახ. 42) გალვანომეტრი (φ), რომლითაც ვზომავთ თერმოდენს; ამპერმეტრი (A), რომლითაც ვზომავთ იმ დენის ძალას (J), რომელსაც ვიყენებთ დასაგრადუირებლათ; ab და cd სხვადასხვა ლითონებად ერთმანეთთან დაკავშირებული გამტარები (თერმოწყვილი); რეოსტატი სრიალა კონტაქტით (R), რომლითაც გარკვეულ ზღვრებში ვცვლით დენის ძალას (J-ს). თერმოწყვილის შეკავშირების L წერტილი.



ნახ. 42.

თეორია: თუ ორი სხვადასხვა ლითონიდან აღებული ab და cd მავთულები შევაკავშირეთ და გავათბეთ, მაშინ ამ ორ ერთად შეკავშირებულ ლითონში წარმოიქმნება ელდენი, რომელსაც თერმოდენი ეწოდება. ამ თერმოდენის ელექტრომამოძრავებელი ძალა ტემპერატურის განსაზღვრულ შუალედში პროპორციულია ტემპერატურათა სხვაობისა, რომელიც არსებობს დაკავშირების L წერტილსა და ლითონების ბოლოებს შორის[1]. ამიტომ თერმოელემენტების

[1]) იგულისხმება, რომ ტემპერატურათა სხვაობა იცვლება განსაზღვრულ ფარგლებში თითოეული თერმოწყვილისთვის, რასაც აკმაყოფილებს ბეკერელის განტოლება: $E=a(t-t_0)$, სადაც $(t-t_0)$ ტემპერატურათა სხვაობაა, a—პროპორციულობის კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს თერმოწყვილის გვარობას.

გამოყენება შესაძლებელია თერმომეტრების ნაცვლად. ტემპერატურის გაზომვის გარდა თერმოელემენტებს სხვა გამოყენებაც აქვს. მაგალითად, თერმოელემენტებით ზომავენ სუსტ ცვლად დენს (1 *mA*-მდე). ასეთ შემთხვევებში თერმოელემენტებს ხშირად აძლევენ ჯვრის ფორმას. *aLc* გამტარში გამავალი ცვლადი დენი *L* წერტილის გათბობის გამო თერმოდენის ელექტრომამოძრავებელ ძალას წარმოქმნის, რომლის სიდიდეც დამოკიდებულია *L* წერტილის ტემპერატურაზე. თუ თერმოელემენტის *b* და *d* ბოლოებს შევაერთებთ მგრძნობიარე გალვანომეტრით, მაშინ ამ გალვანომეტრის ჩვენება მოგვცემს თერმოდენის (i) ძალას; თერმოდენის i ძალა მით მეტი იქნება, რაც მეტია *L* წერტილში გამავალი ცვლადი დენის (J) ძალა.

თერმოელემენტის დაგრადუირება იმას ნიშნავს, რომ უნდა ვიპოვნოთ დამოკიდებულება თერმოდენის (i) ძალას და ცვლადი დენის (J) ძალას შორის.

ცდა შემდეგი მიმდევრობით შევასრულოთ:

1. შეადგინეთ ნახაზზე აღნიშნული სქემის მიხედვით წრედი და შეამოწმებინეთ მისი სისწორე ხელმძღვანელს (უხელმძღვანელოდ ჩართვა არ შეიძლება).

2. შეადგინეთ დაკვირვებათა ცხრილი.

3. რეოსტატის (R) წინაღობის შემცირებით (სრიალას გადანაცვლებით) შეარჩიეთ დენის ისეთი ძალა (J), რომ მან გამოიწვიოს გალვანომეტრის (G) ისრის გადახრა ერთ დანაყოფზე.

4. შემდეგ, რეოსტატზე სრიალა კონტაქტის გადანაცვლებით, თანდათანობით ზარდეთ ცვლადი დენის ძალა (J) წრედში. აღნიშნული ზრდა აწარმოეთ იმ ზღვრამდე, რომელსაც იძლევა რეოსტატი და რომელიც დასაშვებია მოცემულ თერმოელემენტისათვის.

5. შეადგინეთ გრაფიკი. აბსცისთა ღერძზე გადაზომეთ თერმოდენის ძალის პროპორციული მონაკვეთები (გალვანომეტრის ჩვენებანი), ორდინატთა ღერძზე კი—ცვლადი დენის ძალის პროპორციული მონაკვეთები (ამპერმეტრის ჩვენებანი).

დაკვირვებათა ცხრილი

რიგის №	გალვანომეტრის ჩვენება i	ამპერმეტრის ჩვენება J

ამოცანა № 26

დენის წყაროს ელექტრომამოძრავებელი ძალის განსაზღვრა ცნობილი წინაღობით

საჭირო ხელსაწყოები (ნახ. 43): ელემენტი (E); მილიამპერმეტრი (A); შტეფსელიანი რეოსტატი (R_1); ჩამრთველ-ამომრთველი (K); სადენები.

თეორია. ამ ამოცანის გადაწყვეტა დაიყვანება საცდელი წყაროს წრედში დენის ძალის ორჯერ გაზომვაზე. დავუშვათ, რომ მოცემულია: დენის წყარო (E), რომლის შინაგანი წინაღობაა r ომი; მილიამპერმეტრი, რომლის შინაგანი წინაღობაც—R_0-ია, და ამას გარდა კიდევ მოცემულია შტეფსელიანი რეოსტატის სახით გარეშე წინა-



ნახ. 43.

ლობა (R_1), რომლის სიდიდეც ცნობილია. თუ წრედის ჩართვის შემდეგ წრედში გაივლის J_1 დენის ძალა (ავითვლით A ამპერმეტრით), მაშინ ომის კანონის თანახმად

$$J_1=\frac{E}{R_1+R_0+r}$$

ანუ

$$E=J_1(R_1+R_0+r) \qquad (1)$$

თუ შემდეგ შტეფსელიანი რეოსტატის საშუალებით, სათანადო შტეფსელის ამოღებით რეოსტატიდან, R_1 წინაღობას შევცვლით R_2-ით, მაშინ წრედში გამავალი დენის ძალა შეიცვლება J_2-თი, ამიტომ, (1) განტოლების მსგავსად, მივიღებთ:

$$E=J_2(R_2+R_0+r)$$

(1) განტოლება გარდავქმნათ ასე:

$$E=J_1(r+R_0)+J_1R_1,$$

საიდანაც

$$r+R_0=\frac{E-J_1R_1}{J_1} \qquad (3)$$

(1)-ის მსგავსად გარდავქმნათ მე-(2) განტოლებაც

$$E=J_2(r+R_0)+J_2R_2 \qquad (4)$$

მე-(3) განტოლებიდან $(r+R_0)$-ის მნიშვნელობა ჩავსვათ მე-(4) განტოლებაში, მივიღებთ:

$$E=\frac{J_2(E-J_1R_1)}{J_1}+J_2R_2 \qquad (5)$$

მიღებული განტოლება ამოვხსნათ E-ს მიმართ, მივიღებთ

$$EJ_1=J_2E-J_1J_2R_1+J_1J_2R_2,$$

$$EJ_1-EJ_2=J_1J_2R_2-J_1J_2R_1,$$

$$E(J_1-J_2)=J_1J_2(R_2-R_1),$$

აქედან

$$E=\frac{J_1J_2(R_2-R_1)}{J_1-J_2}.$$

როგორც ვხედავთ დენის წყაროს ელექტრომამოძრავებელი ძალის გაზომვა დაიყვანება: J_1 დენის ძალის გაზომვაზე, რომელიც ესაბამება R_1 წინაღობას და J_2-ის გაზომვაზე, რომელიც ესაბამება R_2-ს.

ამოცანას შემდეგი თანმიმდევრობით ვასრულებთ:

1. შეადგინეთ წრედი თანახმად აღნიშნული სქემისა. ჩართვა წრედში ხელმძღვანელის ნებართვით უნდა მოხდეს.

2. შეადგინეთ დაკვირვებათა ცხრილი, რომელშიაც შეიტანეთ დაკვირვებათა შედეგად მიღებული მნიშვნელობანი.

3. ჩართეთ წრედში R_1 წინაღობა და აითვალეთ მისი შესაფერი დენის ძალა—J_1; მსგავსად ამისა შემდეგ ჩართეთ R_2 ($R_2 < R_1$-ზე) და აითვალეთ მისი შესაფერი დენის ძალა—J_2.

4. ჩასვით მიღებული მნიშვნელობანი ფორმულაში და გამოთვალეთ E.

5. ცდა გაიმეორეთ რამდენიმეჯერ და გამოთვალეთ ცთომილებანი.

დაკვირვებათა ცხრილი

რიგის №	წინაღობა $R_1\ \Omega$	დენის ძალა $J_1 A$	წინაღობა $R_2\ \Omega$	დენის ძალა $J_2 A$	ელექტრომამოძრავებელი ძალა $E=\frac{J_1 J_2 (R_2-R_1)}{J_1-J_2}$

ამოცანა № 27

ვოლტმეტრის შემოწმება

საჭირო ხელსაწყოები: 1) ზუსტი ვოლტმეტრი (V_1), 2) შესამოწმებელი ვოლტმეტრი (V_2) და R რეოსტატი.

ვთქვათ გვაქვს ვოლტმეტრი, რომელიც სწორად არ გვიჩვენებს. ასეთი ვოლტმეტრით შეიძლება მუშაობა, თუ მის ჩვენებებს შევადარებთ მეორე ზუსტად მომუშავე ვოლტმეტრის ჩვენებებს და ავაგებთ მრუდს.



ნახ. 44.

ელწრედის სქემა. შეადგინეთ წრედი გასაღებისა და R რეოსტატისაგან. R რეოსტატის პარალელურად ჩავრთოთ ორთავე ვოლტმეტრი: ზუსტი V_1 და შესამოწმებელი—V_2.

ცდის მსვლელობა: 1) გასაღებით ჩართეთ დენი და აითვალეთ ორთავე ვოლტმეტრის ჩვენებანი; შედეგები შეიტანეთ ცხრილში.

2) R რეოსტატის საშუალებით მოუმატეთ წინაღობა და ისევ ათვალეთ ორთავე ვოლტმეტრის ჩვენებანი.

3) კიდევ გაადიდეთ წინაღობა და აიღეთ ახალი ანათვლებიც ასე მოიქცევით მანამდე, სანამ არ ჩართავთ R რეოსტატის მთელ წინაღობას.

4) მიიღებთ რამდენიმე ანათვალს, როგორც ზუსტი, ისე შესამოწმებელ ვოლტმეტრისათვის.

5) ააგეთ გრაფიკი: აბსცისთა ღერძზე გადაზომეთ ზუსტ ვოლტმეტრზე აღებული ანათვლების პროპორციული სიდიდეები, ხოლო ორდინატთა ღერძზე გადაზომეთ შესამოწმებელი ვოლტმეტრის ჩვენებათა პროპორციული სიდიდეები.

დაკვირვებათა შედეგები შეიტანეთ ცხრილში:

რიგის №	V_1	V_2
1		
2		
3		
4		
5		
6		
7		
8		
9		

ამოცანა № 28

ელექტროღუმელის-მარგი ქმედების კოეფიციენტის გამოანგარიშება

საჭირო ხელსაწყოები და მასალა (ნახ. 45): 1) ელექტროღუმელი (B), 2) ქურჭელი წყლით, 3) ამპერმეტრი (A); 4) ვოლტმეტრი (V) და 5) საათი.

ფორმულის გამოყვანა: ელექტროღუმელის მ. ქ. კ. ეწოდება ღუმელიდან დანიშნულებისამებრ მიღებული სითბური ენერგიის შეფარდებას იმ ენერგიასთან, რომელსაც დენი ღუმელში გამოჰყოფს. ეს შეფარდება უნდა გამოიხატოს პროცენტებში. თუ ავღიშნავთ ღუმელიდან დანიშნულებისამებრ გამოყოფილ სითბური ენერგიის რაოდენობას Q_1 ასოთი, ხოლო დენის მიერ ღუმელში გამოყოფილ სითბური ენერგიის რაოდენობას Q ასოთი, მაშინ მ. ქ. კ. გამოიანგარიშება ფორმულით:

$$K=\frac{Q_1}{Q}\cdot 100\% \qquad (ა)$$

როგორც ამ ფორმულიდან ჩანს, მ. ქ. კ.-ის გამოსაანგარიშებლად უნდა გავიგოთ:

1) რამდენი სითბო Q გამოჰყო დენმა ღუმელში და 2) რამდენი სითბო (Q_1) დაიხარჯა აქედან დანიშნულებისამებრ.

ა) Q-ს **გამოანგარიშება:** თუ გამხურებელს კვებავს დენი, რომლის ძალა არის J ამპერი და ძაბვა—V ვოლტი, მაშინ t წამის განმავლობაში გამოყოფილი სითბოს რაოდენობა გამოიანგარიშება ჯოულ-ლენცის ფორმულით:

$$Q=0{,}24\ JVt \text{ მც. კალ.)} \qquad (\text{ა})$$

ბ) Q_1-ის **გამოანგარიშება:** ელექტროღუმელზე დავდგათ ჰურჰელი წყლით, გავუშვათ დენი t წამის განმავლობაში და გავიგოთ ჰურჰლისა და წყლის მიერ შეძენილი სითბოს რაოდენობა.

შემოვიღოთ აღნიშვნები:

ჰურჰლის მასა . . . m გრამი

" კუთრი სითბოტევადობა . C;

ჰურჰელში ჩასხმული წყლის მასა . . M;

ჰურჰლისა და წყლის საწყისი ტემპერატურა . . T_0;

საბოლოო ტემპერატურა . T_n;

ჰურჰლის გათბობაზე დახარჯული სითბო:

$$q_1=Cm\,(T_n-T_0);$$

წყლის გათბობაზე დახარჯული სითბო:

$$q_2=M\,(T_n-T_0);$$

სულ დანიშნულებისამებრ დახარჯული სითბო:

$$Q_1=q_1+q_2.$$

$$Q_1=Cm\,(T_n-T_0)+M\,(T_n-T_0);$$

$$Q_1=(Cm+M)\,(T_n-T_0) \qquad (\text{ბ})$$

თუ (1) ფორმულაში ჩავსვამთ Q_1 და Q მნიშვნელობებს (ა) და (ბ) ფორმულებიდან, მივიღებთ მ. ქ. კ.-ის გამოსაანგარიშებელ საბოლოო ფორმულას:

$$K=\frac{(cm+M)\,(T_n-T_0)}{0{,}24\,JVt}\cdot 100\% \qquad (\text{დ})$$

ელწრედის სქემა და ცდის მსვლელობა: 1) შეადგინეთ ელწრედი მოცემული სქემის მიხედვით (დენს ნუ ჩართავთ, სანამ არ შეამოწმოს ხელმძღვანელმა).

2) გაიგეთ ცარიელი ჭურჭლის m წონა;

3) ჩაასხით ჭურჭელში წყალი, აწონეთ წყლიანი ჭურჭელი, გამოაკლეთ ცარიელი ჭურჭლის წონა და გაიგებთ წყლის M წონას.

4) გაზომეთ წყლის საწყისი T_0 ტემპერატურა და ჩართეთ დენი.

5) ამპერმეტრით გაზომეთ დენის J—ძალა, ხოლო ვოლტმეტრით V ძაბვა.

6) ყოველი 5 წუთის შემდეგ გაზომეთ დენის J ძალა, V ძაბვა და T ტემპერატურა მანამდე, სანამ წყლის ტემპერატურა არ მიაღწევს 80—90 გრადუსს.



ნახ. 45.

6) ყველა ანათვლებიდან გამოთვალეთ საშუალო დენის J ძალა, საშუალო V ძაბვა და დენის ჩართვის მომენტიდან ამორთვამდე მთელი დრო (t—წამი).

მიღებული შედეგები შეიტანეთ (დ) ფორმულაში და გამოითვალეთ მარგი ქმედების K კოეფიციენტი.

დაკვირვებათა ცხრილი

რიგის №	m	C	M	T_0	T_n	J	$J_{საშ.}$	V	$V_{საშ.}$	K
1										
2										
3										
4										
5										
6										
7										
8										

ამოცანა № 29

დენის წყაროს (ელემენტის ან ბატარეის) სიმძლავრის გამოთვლა

საჭირო ხელსაწყოები (ნახ. 46): დენის წყარო (E); ამპერმეტრი (A); ვოლტმეტრი (V); რეოსტატი სრიალა კონტაქტით (R); ჩამრთველ-ამომრთველი (K).

თეორია. დავუშვათ, რომ დენის წყაროს მომჭერებზე ძაბვა V ვოლტის ტოლია. რადგან (e) მუხტის გადანაცვლების დროს შესრულებული მუშაობაა

$$W=eV \text{ ჯოული.} \qquad (1)$$

ამიტომ ერთი კულონის გადანაცვლების დროს შესრულდება მუშაობა:

$$W=V \text{ ჯოული} \qquad (2)$$

ცნობილია, რომ დენის ძალა იზომება გამტარის განივკვეთში დროის ერთეულში გამავალი ელექტრობის რაოდენობით, ე. ი.

$$1 \text{ ამპერი} = \frac{\text{კულონი}}{\text{წამში}},$$

ამიტომ თუ წრედში გამავალი დენის ძალა J ამპერია, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ყოველ წამში მავთულის განივკვეთში გადის J კულონი ელექტრობა. თუ ერთი კულონის ელექტრობის გადანაცვლების დროს სრულდება

$$W=V \text{ ჯოული მუშაობა,}$$



ნახ. 46.

აშკარაა, რომ J კულონის გადანაცვლებით ყოველ წამში შესრულდება მუშაობა:

$$W=JV \text{ ჯოული.}$$

ვიცით, რომ წამში შესრულებული მუშაობა რიცხობრივ ტოლია სიმძლავრისა (N), ე. ი. ამ შემთხვევაში W და N რიცხობრივ ტოლნი არიან. ამიტომ

$$N = IV \quad \text{ვატს.}$$

აქედან ჩანს, რომ დენის ძალისა (I) და ძაბვის (V) საშუალებით შეიძლება გამოვითვალოთ სიმძლავრე (N).

ცდა შევასრულოთ შემდეგი მიმდევრობით: 1. შევადგინოთ 1) წრედი, თანახმად აღნიშნული სქემისა და 2) დაკვირვებათა ცხრილი.

2. დავაყენოთ რეოსტატის სრიალა კონტაქტი მაქსიმალურ წინაღობაზე და ავითვალოთ დენის ძალა (I) და ძაბვა (V).

3. სრიალა კონტაქტის საშუალებით ვცვალოთ წინაღობა და ყოველ შემთხვევისათვის ცალკე ავითვალოთ I და V.

მიღებული სიდიდეები შევიტანოთ დაკვირვებათა ცხრილში და თითოეულ შემთხვევისთვის გამოვთვალოთ სიმძლავრე (N).

5. ავაგოთ გრაფიკი, რომელიც გამოხატავს დამოკიდებულებას სიმძლავრესა და დენის ძალას შორის; ამისთვის აბსცისათა ღერძზე გადავზომოთ დენის ძალის პროპორციული მონაკვეთები და ორდინატთა ღერძზე კი—სიმძლავრის პროპორციული მონაკვეთები.

დაკვირვებათა ცხრილი

რიგის №	დენის ძალა (I) ამპერი	ძაბვა V ვოლტი	სიმძლავრე N ვატი	შენიშვნა

ამოცანა № 30

დენის წყაროს (ელემენტის ან ბატარიის) მარგი ქმედების კოეფიციენტის გამოთვლა

საჭირო ხელსაწყოები (ნახ. 47): დენის წყარო (E); ამპერმეტრი (A); ვოლტმეტრი (V); რეოსტატი სრიალა კონტაქტით (R); ჩამრთველ-ამომრთველი (K).

თეორია. გვაქვს დენის წყარო, რომლის ელექტრომამოძრავებელი ძალა E ვოლტია და მის მომჭერებზე ძაბვა კი V ვოლტს უდრის.

რადგან ელექტრობის (e) გადატანაზე დახარჯული მუშაობა (W) იზომება

$$W = eV \quad \text{ჯოულით,}$$

ამიტომ ყოველი კულონი ელექტრობის გადანაცვლებაზე დაიხარჯება

$$W_1 = V \quad \text{ჯოული} \qquad (1)$$

ასე გამოითვლება დენის წყაროს გარეგან წრედში ყოველი ერთი კულონი ელექტრობის გადაადგილების დროს შესრულებული მუშაობა.

რადგან ელმამოძრავებელი ძალა E ვოლტია, ამიტომ მთელ წრედში ყოველი კულონის გადაადგილებაზე დენი შეასრულებს მუშაობას

$$W_2 = E \quad \text{ჯოული} \qquad (2)$$



ნახ. 47.

აქედან ცხადია, რომ თითოეული კულონის გადაადგილებაზე შიდა წრედში (ელემენტის შიგნით) დაიხარჯება.

$$W_2 - W_1 = (E - V) \quad \text{ჯოული} \qquad (3)$$

თუ წრედში გამავალი დენის ძალა J ამპერია, ეს იმის მაჩვენებელია, რომ გამტარის განივკვეთში ყოველ წამში გადის J კულონი ელექტრობა. რადგან დენის ძალა იზომება გამტარის განივკვეთში დროის ერთეულში გამავალი ელექტრობის რაოდენობით, ე. ი.

$$1 \text{ ამპერი} = \frac{\text{კულონი}}{\text{წამში}},$$

ამიტომ, თუ წრედში გამავალი დენის ძალა J ამპერია, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ყოველ წამში მავთულის განივკვეთში გადის J კულონი ელექტრობა, თუ ერთი კულონის გადანაცვლებაზე გარეწრედში სრულდება მუშაობა

$$W_1 = V$$

და მთელ წრედში კი ერთი კულონის გადანაცვლებაზე სრულდება მუშაობა:

$$W_2 = E \quad \text{ჯოული.}$$

ამიტომ აშკარაა, რომ J კულონის გადანაცვლებით ყოველ წამში შესრულებული მუშაობა (W_1) გარეგან წრედში იქნება

$$W_1 = JV$$

და მთელ წრედში კი (W_2)

$$W_2 = JE.$$

ვიცით, რომ წამში შესრულებული მუშაობა რიცხობრივად ტოლია სიმძლავრისა (N). ამტომ სიმძლავრისათვის გარეგან წრედში მივიღებთ:

$$N_1 = JV,$$

მთელ წრედში კი

$$N_2 = JE.$$

მარგი ქმედების კოეფიციენტი (η) ეწოდება სასარგებლო სიმძლავრის შეფარდებას მთელ იმ სიმძლავრესთან, რომელსაც ანვითარებს გენერატორი (დენის წყარო).

ჩვენს შემთხვევაში გარეგან წრედის სიმძლავრე შეიძლება ჩაითვალოს სასარგებლოდ, რადგან იგი გამოიყენება სასარგებლო მუშაობისათვის. ამიტომ თანახმად განმარტებისა

$$\eta = \frac{N_1}{N_2} = \frac{JV}{JE} = \frac{V}{E} \tag{4}$$

ომის კანონის თანახმად ცალკე უბნისთვის გვაქვს

$$J = \frac{V}{R_{\text{გარ.}}},$$

მთელი წრისათვის კი

$$J = \frac{E}{R_{\text{გარ.}} + R_{\text{შიგ.}}},$$

აქედან

$$E = JR_{\text{გარ.}} + JR_{\text{შინ.}}$$

მაგრამ

$$JR_{\text{გარ.}} = V,$$

ამიტომ

$$E = V + JR_{\text{შინ.}},$$

ან

$$V = E - JR_{\text{შინ.}}$$

მე-(4) ფორმულაში ჩასმით მივიღებთ [1]):

$$\boxed{\eta = \frac{E - JR_{\text{შინ.}}}{E}}$$

როგორც ვხედავთ, მ. ქ. კ.-ის გამოთვლა დაყვანილ იქნა E და J გამოთვლაზე; ელემენტის შინაგანი წინაღობა ($R_{\text{შინ}}$) კი წინასწარ ცნობილია.

ცდა შემდეგი მიმდევრობით შევასრულოთ: 1. სქემის თანახმად შევადგინოთ შემდეგი წრედი.

2. გავზომოთ დენის წყაროს ელექტრომამოძრავებელი ძალა (E) ვოლტმეტრით, ამისათვის ის შევუერთოთ წყაროს პოლუსებს.

3. ჩავრთოთ წრედში ამპერმეტრი და რეოსტატი მიმდევრობით.

4. კონტაქტის გასრიალებით რეოსტატის გასწვრივ ვცვალოთ წრედში გამავალი დენის ძალა (J) ისე, რომ ამპერმეტრის ჩვენება იცვლებოდეს დაახლოებით 0,1 ამპერით.

5. ავაგოთ $\eta = f(J)$; ფუნქციის გრაფიკი; ამისათვის აბსცისათა ღერძზე გადავზომოთ დენის ძალის პროპორციული მონაკვეთები, ორდინატთა ღერძზე კი—მ. ქ. კ. მნიშვნელობანი.

დაკვირვებათა ცხრილი

რიგის №	ელექტრომამოძრავებელი ძალა V ვოლტი	დენის ძალა Jამპ.	

[1]) η პროცენტებში უნდა იქნეს გამოხატული.

ამოცანა № 31

დედამიწის მაგნიტური არეს ჰორიზონტალური მდგენილის განსაზღვრა ტანგენს-ბუსოლის საშუალებით

საჭირო ხელსაწყოები: 1) ტანგენს-ბუსოლი და 2) ნათურათა წინაღობა.

თეორიული საფუძვლები: ცნობილია, რომ ჰორიზონტალურ სიბრტყეში თავისუფლად მოძრავი მაგნიტური ისარი ყოველთვის დადგება მაგნიტური მერიდიანის მიმართულებით

თუ ისარს ამ მდგომარეობიდან გამოვიყვანთ, მაშინ იგი დედამიწის მაგნიტური არეს გავლენით მაინც მობრუნდება და დადგება დედამიწის მაგნიტური მერიდიანის მიმართულებით.

იმ ძალას, რომელიც მოქმედებს მაგნიტური ისრის ჩრდილო პოლუსზე და აბრუნებს მას მაგნიტური მერიდიანის სიბრტყეში, დედამიწის მაგნიტური არეს ჰორიზონტალური მდგენელი ეწოდება და $H_{დ}$ ასოთი აღინიშნება.

ამ ამოცანის მიზანია: ჰორიზონტალური მდგენლის გამოანგარიშება.

ამ მიზნისათვის იხმარება ხელსაწყო, რომელსაც **ტანგენს-ბუსოლი** ეწოდება.



ნახ. 48.

ტანგენს-ბუსოლი (ნახ. 48). წარმოადგენს წრიულ სადენს (B), რომლის ცენტრში მოთავსებულია მაგნიტური ისარი (ყიბლანა); ამ ისარს თავისუფლად შეუძლია ჰორიზონტალურ სიბრტყეში ბრუნვა.

ბიო-სავარის კანონის თანახმად წრიული დენის ცენტრში მაგნიტური არეს დაძაბულობა

$$H=\frac{0,2\,\pi J n}{r} \qquad (1)$$

თუ წრიული დენის ცენტრში, რომლის სიბრტყე დედამიწის მაგნიტური მერიდიანის თანხვედრილია, მოვათავსებთ მოკლე მაგნიტურ ისარს, მაშინ ისარზე იმოქმედებს ორი არე: დენის მაგნიტური არე და დედამიწის მაგნიტური არე.

დენის მაგნიტური არე ისარს აყენებს დენის სიბრტყის მართობულად, ხოლო დედამიწის მაგნიტურ არეს ჰორიზონტალური მდგენელი აბრუნებს მას დენის სიბრტყეში.

ამ ძრეების გავლენით ისარი დედამიწის მაგნიტური არეს დაძაბულობის ჰორიზონტალურ ($H_დ$) მდგენელთან რაიმე α კუთხეს ჰქმნის. 49 ნახაზიდან გვაქვს:

$$\frac{H_დ}{H}=\operatorname{ctg}\alpha,$$

ანუ

$$H_დ=H\operatorname{ctg}\alpha=\frac{H}{\operatorname{tg}\alpha}=\frac{0,2\,\pi J n}{r\operatorname{tg}\alpha},$$

საბოლოოდ:

$$H_დ=\frac{0,2\,\pi J n}{r\operatorname{tg}\alpha} \qquad (2)$$

ამ ფორმულაში $H_დ$ — დედამიწის მაგნიტური არეს ჰორიზონტალური მდგენელია,



ნახ. 49.

J—დენის ძალა გაზომილი ამპერებში,
n—ხვეულათა რიცხვი (ჩვენს შემთხვევაში $n=1$),
r—წრიული დენის (ხვეულის) რადიუსი სმ-ში,
α—ისრის გადახრის კუთხე.

ბ. ცდის მსვლელობა: 1) შეადგინეთ წრედი (ნახ. 48), რომელშიაც თანმიმდევრობით ჩართულია: ნათურათა რეოსტატი (R), ტანგენს-ბუსოლი (B), ამპერმეტრი (A) და ჩამრთველი (K) (წრედი შეამოწმებინეთ ხელმძღვანელს).

2) აბრუნეთ ტანგენს-ბუსოლი მანამდე, სანამ მაგნიტური ისარი არ დადგება 0-ზე. ეს იმის მაჩვენებელია, რომ გამტარის სიბრტყე მაგნიტური მერიდიანის თანხვედრილია.

3) ჩაკეტეთ წრედი და აითვალეთ გადახრის კუთხე ისრის ორივე ბოლოებზე α_1 და α_2; მათი საშუალო არითმეტიკული $\alpha=\frac{\alpha_1+\alpha_2}{2}$ ისრის გადახრის კუთხეა; ამ კუთხის ტანგენსს იპოვით ცხრილში.

4) ამპერმეტრის საშუალებით აითვალეთ დენის ძალა J.

5) დენის ძალა შეცვალეთ ნათურათა რეოსტატის საშუალებით და ხელმეორედ აიღეთ ანათვლები.

6) ცდას განიმეორებთ 5-ჯერ.

7) წრიული დენის ხვეულის რადიუსს გამოთვლით ფორმულიდან $r=\frac{C}{2\pi}$, სადაც C ხვეულის სიგრძეა (გაზომავთ რულეტით).

8) მიღებულ შედეგებს შეიტანთ მე-(2) ფორმულაში და გამოიანგარიშებთ $H_დ$-ს.

დაკვირვებათა ცხრილი

რიგის №	J	α_1	α_2	$\alpha=\frac{\alpha_1+\alpha_2}{2}$	tg α	r	n	$H_დ$
1								
2								
3								
4								
5								

ამოცანა № 32

საილენძის ელექტროქიმიური ექვივალენტის გამოანგარიშება

I. საჭირო ხელსაწყოები: 1) აკუმულატორი, 2) ამპერმეტრი, 3) საათი და 4) შაბიამნის ხსნარი.

II. თეორიული საფუძვლები: თუ დენს გავატარებთ მჟავას ან მარილის ხსნარში, მაშინ დენი დაშლის ხსნარს ისე, რომ კათოდზე გამოიყოფა წყალბადი ან მეტალი, თუ კი არ მოხდა მეორადი რეაქციები, დანარჩენი ნაწილები გამოიყოფა ანოდზე.

ამ მოვლენას ელექტროლიზი ეწოდება.

ელექტროლიზის შესახებ ფარადეს მიერ დამყარებულია შემდეგი (I კანონი):

ელექტროლიზის დროს დენის მიერ ელექტროდებზე გამოყოფილი ნივთიერების რაოდენობა, პირდაპირ პროპორციულია დენის ძალის და დენის მოქმედების ხანგრძლივობის ნამრავლისა.

ე. ი.

$$m = KJt \qquad (1)$$

სადაც:

J—დენის ძალაა ამპერებში,

t—დენის მოქმედების ხანგრძლივობა წამებში,

m—გამოყოფილ ნივთიერების რაოდენობა.

K კოეფიციენტი დამოკიდებულია ნივთიერების გვარობაზე და მას ეწოდება ნივთიერების ელექტროქიმიური ექვივალენტი.

ელექტროქიმიური ექვივალენტის ფიზიკური შინაარსი რომ გამოვარკვიოთ (1) ფორმულაში დაუშვათ, რომ: $J=1$ ამპერს და $t=1$ წამს, მაშინ მივიღებთ:

$$m = K.$$

ამგვარად, ელექტროქიმიური ექვივალენტი (K) იზომება იმ ნივთიერების რაოდენობით, რომელსაც გამოჰყოფს 1 ამპ. დენის ძალა 1 წამის განმავლობაში.

$m=KJt$ ფორმულიდან მივიღებთ:

$$K = \frac{m}{Jt} \qquad (2)$$

მაშასადამე, ელექტროქიმიური ექვივალენტის გამოსაანგარიშებლად საჭიროა გავიგოთ m, ე. ი. ის ნივთიერების რაოდენობა, რომელსაც გამოჰყოფს ხსნარიდან J ამპერიანი დენი t წამში და შემდეგ ჩავსვათ მე-(2) ფორმულაში.

III. ელწრედის სქემა და ცდის მსვლელობა: (ნახ. 50). აკუმულატორიდან დენი თანმიმდევრობით მიდის (B) ელექტროლითურ აბაზანაში, სადაც ჩასხმულია $CuSO_4$-ის ხსნარი, (A) ამპერმეტრში და (R) რეოსტატში

ცდა აწარმოეთ ასე:

1. კათოდზე მიმაგრებული ფირფიტი გაფხიკეთ სუფთად, გარეცხეთ, გამოაშრეთ და აწონეთ ზუსტ სასწორზე; მისი P_1 წონა შეიტანეთ ცხრილში.

2. შეუერთეთ ფირფიტა კათოდს, ჩაუშვით აბაზანაში და გაუშვით დენი 0,3-დან 0,5 ამპერამდე (მოაწესრიგეთ რეოსტატით).

3. 10 წუთის შემდეგ ამორთეთ დენი, მოხსენით კათოდის ფირფიტა, გარეცხეთ, გამოაშრეთ და მეორეჯერ აწონეთ; ახალი (P_2) წონა შეიტანეთ ცხრილში.

4. გამოაკელით ახალ წონას პირველი წონა და $m=P_2-P_1$ სხვაობა შეიტანეთ ცხრილში.

5. გამოიანგარიშეთ, რამდენ წამში იყო ჩართული დენი და წამთა რაცხვი (t) შეიტანეთ ცხრილში.

6. ჩასვით შე-(2) ფორმულაში m, J და t-ს მნიშვნელობანი და გაიგეთ K.



ნახ. 50.

ცდა განიმეორეთ 3-ჯერ და გამოიანგარიშეთ აბსოლუტური და ფარდობითი ცთომილებანი.

დაკვირვებათა ცხრილი

რიგის №	J	P_1	P_2	m	t	k	Δk
1							
2							
3							

$K=$

ფარდობითი ცთომილება $E_k=$

ამოცანა № 33

წყალბადის ელექტროქიმიური ეკვივალენტის გამოთვლა

საჭირო ხელსაწყოები (ნახ. 51): აირვოლტმეტრი (B); ამპერმეტრი (A); რეოსტატები: (r) ნათურების და სრიალა კონტაქტიანი (R); სადენები; თერმომეტრი, მასშტაბი, წამმზომი.

თეორია. არენიუსის ელექტროლიზური დისოციაციის თეორიის თანახმად გოგირდმჟავას (H_2SO_4) მოლეკულები, რომლებიც წყლის ხსნარშია, ყოველთვის ნაწილობრივად დისოციირებულნი (დაშლილნი) არიან ($\overset{++}{H_2}$ და ($\overline{SO}$)-ად. მოლეკულის ამ ნაწილებს იონები ეწოდება. წყალბადის მოლეკულა კარგავს ორ ელექტრონს, რომელსაც იძენს მჟავას (SO_4) რადიკალი, რის გამო H_2 ელექტროვდება დადებითად (H_2^{++}) და SO_4 კი—უარყოფითად (SO_4^{--}). წყალბადის იონები გამოიყოფა კათოდზე; (SO_4)-ის იონები კი—უნდა გამოიყოს ანოდზე· მაგრამ მეორადი რეაქციების გამო ანოდზე გამოიყოფა O_2 თანახმად შემდეგი რეაქციისა:

$$2SO_4+2H_2O=2H_2SO_4+O_2.$$

O_2 გამოიყოფა ანოდზე ბუშტების სახით, აქედან ნათლად ჩანს, რომ ხსნარში იხარჯება მხოლოდ წყალი. დენი კი H_2SO_4-ზე არავითარ გავლენას არ ახდენს.



ნახ. 51.

გოფმანის ხელსაწყოს, რომელშიაც ხდება დენის ქიმიური მოქმედება, აირვოლტმეტრი ეწოდება, პროცესს კი—ელექტროლიზი. ფარადეს კანონის თანახმად, კათოდზე გამოყოფილი ნივთიერების

რაოდენობა (m) პროპორციულია დენის ძალისა (J) და მისი გავლის დროისა (t წამი). ფორმულით ეს კანონი ასე გამოისახება:

$$m = KJt, \tag{1}$$

აქ K საძიებელი ელექტროქიმიური ეკვივალენტია, რომელიც რიცხობრივად ტოლია ერთი ამპერი დენის ძალის მიერ ერთ წამში გამოყოფილი ნივთიერების რაოდენობისა.

(1) განტოლებიდან მივიღებთ:

$$K = \frac{m}{Jt} \tag{2}$$

როგორც ჩანს, K-ს გამოსათვლელად საჭიროა: გამოყოფილი წყალბადის რაოდენობის (m) და დროის გამოთვლა. გოფმანის ხელსაწყოთი კი ჩვენ გამოყოფილი წყალბადის მასას კი არ გავიგებთ, არამედ მოცულობას (V-ს). m-ის გამოსათვლელად ვისარგებლოთ კავშირით m-სა და V-ს შორის:

$$m = V_0 D, \tag{3}$$

სადაც D წყალბადის სიმკვრივეა (წყალბადის სიმკვრივე ნორმალურ წნევასა და O° ტემპერატურის დროს ტოლია $D = 0{,}00009$ გ/სმ^3. რადგან D გამოთვლილია აირის გარკვეულ პარამეტრების (ნორმალურ წნევასა და O-ზე) მიმართ, მოცულობა (V) კი აღებულია ლაბორატორიის ტემპერატურისა (τ°) და წნევის მიმართ (B), ამისათვის საჭიროა მოცულობის დაყვანა ნორმალურ პირობებზე, რისთვისაც უნდა გამოვიყენოთ ბოილ-მარიოტ-გეილუსაკის კანონი;

$$\frac{VP}{(1+\alpha\tau)} = V_0 P_0 \tag{4}$$

აქ P_0—ნორმალური წნევაა (760 მმ).

P—წნევაა, რომელიც აქვს გამოყოფილ წყალბადს. ეს წყალბადი ბარომეტრული (B—ავითვალოთ ბარომეტრით) წნევისა და ხსნარის სვეტს (h—იხ. ნახაზი) წნევის ქვეშ არის. ამას გარდა წყალბადზე მოქმედებს ხსნარის ორთქლის წნევა ($0{,}9f$[1]), მიმართული ატმოსფერული წნევის საწინააღმდეგოდ. ამის გამო

[1] h იყოფა 12-ზე, რადგან ხსნარის სიმკვრივე 12-ჯერ ნაკლებია ვერცხლის წყლის სიმკვრივეზე; f—(წყლის ორთქლის წნევა) მრავლდება 0,9-ზე, რადგან ხსნარის ოროქლის წნევა წყლის ორთქლის წნევის 0,9-ს შეადგენს. წყლის ორთქლის წნევას (f-ს) კი ავიღებთ ცხრილიდან, რომელიც გაკრულია კედელზე.

$$P=B+\frac{h}{12}-0{,}9f \tag{5}$$

V_0—მოცულობაა 0° და 760 მმ-ის წნევის დროს,
V —მოცულობა $\tau°$ და P წნევის დროს,
$\tau°$—წყალბადის ტემპერატურა.
α—აირების გაფართოების კოეფიციენტი: $\alpha=0{,}00367$.
მე-(3) განტოლებიდან გვაქვს:

$$V_0=\frac{VP}{P_0(1+\alpha\tau°)} \tag{6}$$

ამ განტოლებაში სათანადო მნიშვნელობათა ჩასმის შემდეგ გვექნება:

$$V_0=\frac{V\left(B+\frac{h}{12}-0{,}9f\right)}{760\,(1+0{,}00367\,\tau)} \tag{7}$$

V_0- და D_0-ის მნიშვნელობა ჩავსვათ მე-(3) განტოლებაში, მივიღებთ:

$$m=\frac{V\left(B+\frac{h}{12}-0{,}9f\right)}{760\,(1+0{,}00367\,\tau)}\cdot 0{,}00009 \text{ გრ.}$$

m-ის მნიშვნელობის ჩასმის შემდეგ მე-(2) განტოლება ასეთ სახეს მიიღებს:

$$\boxed{K=\frac{V\left(B+\frac{h}{12}-0{,}9f\right)}{760\,(1+0{,}00367\,\tau)\cdot J\cdot t}\cdot 0{,}00009\ \frac{\text{გრ.}}{\text{ამპ. წამი}}}$$

ცდა გაწარმოოთ შემდეგი მიმდევრობით:

1. შევადგინოთ წრედი თანახმად სქემისა (ჩართვა ხელმძღვანელის დაუკითხავად არ შეიძლება).
2. შევადგინოთ დაკვირვებათა ცხრილი, რომელშიაც შევიტანოთ დაკვირვების შედეგად მიღებული მნიშვნელობანი.
3. ჩავრთოთ წრედი და რეოსტატის (R) სრიალათი დავამყაროთ წრედში დენის გარკვეული ძალა (0,5-დან—1 ამპერამდე).
4. შემდეგ განვრთოთ წრედი და მილები (1, 2) განვათავისუფლოთ (ონკანის გაღებით) იქ დაგროვილი აირებისაგან.

ჩავრთოთ ისევ წრედი და ერთდროულად აღვნიშნოთ დრო (წამ-მზომის ამუშავებით) და დენის ძალა (J).

6. რამდენიმე წუთის შემდეგ (ხელმძღვანელის მითითებით) განვ-რთოთ წრედი, ერთდროულად გავაჩეროთ წამმზომი. ჩავრთოთ წამ-მზომის ჩვენება. ეს იქნება დენის გავლის დრო (t წამი).

7. გოფმანის ჭურჭლის მილზე ავთვალოთ გამოყოფილი წყალბადის მოცულობა (V სმ³).

8. ჩავუშვათ გოფმანის ჭურჭლის ღია მილში (3) თერმომეტრი და გავიგოთ ხსნარის ტემპერატურა (t°).

9. მასშტაბით გავიგოთ ხსნარის დონეთა სხვაობა მე-3 და 1 მი-ლებს შორის (h მმ).

10. ბარომეტრით ავთვალოთ ატმოსფეროს წნევა (B მმ).

11. ცხრილიდან ავიღოთ მოცემული t° ტემპერატურაზე წყლის ორთქლის წნევა (f-მმ) და გავამრავლოთ 0,9-ზე.

12. გამოვთვალოთ K-ს მნიშვნელობა.

13. გამოვთვალოთ ცთომილებანი.

დაკვირვებათა ცხრილი

რიგის №	გამოყოფილი წყალბადის მოცუ-ლობა V სმ³	გატარებული დენის ძალა J ამპ	ბარომეტრის ჩვენება B მმ	1 და 3 მილების შორის დონეთა სხვაობა h მმ	ხსნარის ორთქლის წნევა (ტაბულიდან) f მმ.	ხსნარის ტემპერა-ტურა t°	დენის გავლის დრო t სეკ	K

ამოცანა № 34

ამპერმეტრის დაგრადუირება აირვოლტმეტრის საშუალებით

საჭირო ხელსაწყოები (ნახ. 52). საცდელი ამპერმეტრი (A); აირ-ვოლტმეტრი (B); ნათურებისაგან შედგენილი რეოსტატი (r); რეოს-ტატი სრიალათი (R) წამმზომი; სადენები, მასშტაბი.

თეორია. ამპერმეტრის დაგრადუირება იმას ნიშნავს, რომ უნდა ვი-პოვოთ დენის ძალის ისეთი მნიშვნელობანი, რომლებიც შეესა-

ბამებიან ამპერმეტრის დანაყოფებს. ამ ცდისათვის ჩვენ ვსარგებლობთ აირვოლტმეტრით[1]), რომლის საშუალებითაც გავიგებთ ამპერმეტრში გამავალ დენის ძალას, თუ ვიცით ვოლტმეტრში გამოყოფილი აირის (წყალბადის ან ჟანგბადის) რაოდენობა და დრო. აირვოლტმეტრად ჩვენ ცდაში აღებულია გოფმანის ხელსაწყო, რომელიც შედგება სამი მილისაგან: 1 მილი შეერთებულია დენის წყაროს უარყოფით პოლუსთან, მე-3 მილი კი—დადებითთან. ნახაზზე არის საცდელი ამპერმეტრი, r—ნათურებიდან შედგენილი რეოსტატი და R რეოსტატი სრიალათი. ამას გარდა აღსანიშნავია, რომ თითოეული დანაყოფი 1 და 3 მილებზე 1 სმ^3 შეესაბამება.

ფარადეს კანონის თანახმად კათოდზე გამოყოფილი ნივთიერების რაოდენდბაა

$$m = KJ\tau \tag{1}$$



ნახ. 52.

სადაც K წყალბადის ელექტროქიმიური ექვივალენტია, i—წრედში გამავალი დენის ძალა (საძიებელი სიდიდეა), τ—კი წრედში დენის გავლის ხანგრძლივობა (წამებში). რადგან გოფმანის ხელსაწყოს მილების დანაყოფები შეესაბამებიან—1 სმ^3, ამიტომ გამოთვლების გასაადვილებლად შესაძლებელია (1) განტოლების გარდაქმნა ისე, რომ წყალბადის რაოდენობა სათანადო მოცულობით იყოს შეცვლილი.

მართლაც, თუ ცდის წარმოებისას მილში გამოიყოფა V_t სმ^3 წყალ-

[1]) გოფმანის ხელსაწყოთი.

ბადი და თუ ერთი ამპერი ერთ წამში გამოჰყოფს K სმ³ წყალბადს, მაშინ, თანახმად ნათქვამისა

$$V_0 = KJ \cdot \tau \qquad (2)$$

სადაც $K = 0{,}116$ სმ³ (წყალბადის ამ მოცულობას გამოჰყოფს ერთი ამპერი ერთ წამში, თუ წნევა ნორმალურია და ტემპერატურა 0°C. V დავიყვანოთ ნორმალურ პირობებზე. ამისათვის ვისარგებლოთ ბოილ-მარიოტ-გელუსაკის კანონით, რომლის ძალითაც:

$$\frac{V_t P_t}{1+\alpha t} = V_0 P_0 \qquad (3)$$

საიდანაც

$$V_0 = \frac{V_t P_t}{P_0 (1+\alpha t)}, \qquad (4)$$

P_t—გამოსახავს იმ წნევას, რომელსაც განიცდის გამოყოფილი წყალბადი. გარდა ატმოსფერული წნევისა (B), რომელსაც ავითვლით ბარომეტრით, გამოყოფილ წყალბადს აწვება h-სმ სიმაღლის ხსნარის დამატებითი სვეტი (იხ. ნახაზი 52); ამას გარდა წყალბადზე მოქმედებს ხსნარის ორთქლის წნევა (0,9 f), ატმოსფერული წნევის საწინააღმდეგოდ მიმართული. ამის გამო [1])

$$P_t = B + \frac{h}{12} - 0{,}9\,f \qquad (5)$$

P_0—ნორმალური ატმოსფერული წნევაა (76 სმ),
α—გაზების გაფართოების კოეფიციენტი ($\alpha = 0{,}00367$),
t^0—ტემპერატურა.
მე-(2) განტოლებიდან გვაქვს:

$$J = \frac{V_0}{0{,}116\,\tau}$$

V_0 მნიშვნელობის ჩასმის შემდეგ, მივიღებთ:

$$\boxed{J = \frac{V_t\left(B + \frac{h}{12} - 0{,}9\,f\right)}{0{,}116 \cdot 760\,(1+\alpha t)\tau}} \qquad (6)$$

---

[1]) h იყოფა 12-ად, რადგან ხსნარის სიმკვრივე 12-ჯერ ნაკლებია ვერცხლის წყლის სიმკვრივეზე; f მრავლდება 0,9, რადგან ხსნარის ორთქლის წნევა წყლის ორთქლის წნევის 0,9 შეადგენს. წყლის ორთქლის წნევას (f-ს) ავიღებთ ცხრილიდან, რომელიც გაკრულია კედელზე.

ცდას ვაწარმოებთ ასეთი მიმდევრობით:

1. შევადგინოთ წრედი თანახმად აღნიშნული სქემისა, რომლის ჩართვაც მოვახდინოთ ხელმძღვანელის შემოწმების შემდეგ.

2. შევადგინოთ დაკვირვებათა ცხრილი, რომელშიაც შევიტანოთ გაზომვის შედეგად მიღებული რიცხვები.

3. ჩავრთოთ წრედში (ხელმძღვანელის მითითების თანახმად) რამდენიმე ნათურა და რეოსტატის სრიალათი ისე მოვაწესრიგოთ დენის ძალა, რომ საცდელი ამპერმეტრის ისარი გაჩერდეს გარკვეულ დანაყოფზე. ამის შემდეგ დენი ამოვრთოთ.

4. ავთვალოთ ტემპერატურა $t°C$[1]); ამის შემდეგ ჩავრთოთ წრედში დენი და ერთდროულად ავამუშაოთ წამმზომი.

5. 1—2 წუთის შემდეგ წრედი გამოვრთოთ და ავითვალოთ V_t და h.

6. ამის შემდეგ შევცვალოთ დენის ძალა (დავაყენოთ ისარი ამპერმეტრის ახალ დანაყოფზე) და ცდა განვიმეოროთ.

7. ასეთი გაზომვები ამპერმეტრის სკალის მიხედვით რამდენიმეჯერ უნდა ვაწარმოოთ.

8. თითოეულ შემთხვევისათვის გამოვითვალოთ დენის ძალის მნიშვნელობა, თანახმად მე-(6) განტოლებისა.

9. ავაგოთ გრაფიკი. ამისათვის აბსცისათა ღერძზე გადავზომოთ ამპერმეტრის დენის ძალის პროპორციული მონაკვეთები, ორდინატთა ღერძზე კი—მიღებული დენის ძალების პროპორციული მონაკვეთები.

დაკვირვებათა ცხრილი

რიგის №	ბარომეტრის ჩვენება B სმ	წყალბადის ტემპერატურა $t°C$	წყლის ორთქლის წნევა მოც. ტემპერატურაზე f მმ	გამოყოფილი წყალბადის მოცულობა V_t სმ³	ხსნარის წნევა გამოყოფილ წყალბადზე h მმ	დენის გავლის დრო τ სეკ.	დენის ძალები: გამოთვლილი ფორმულით $J=\dfrac{V_t\left(B+\dfrac{h}{12}-0{,}9\,f\right)}{0{,}116.760\,(1+\alpha t)\,\tau}$ J გამ	დენის ძალები: ამპერმეტრის ჩვენება J ამპ.

[1] ტემპერატურას (t) გავიგებთ თერმომეტრის ჩაშვებით მე-(2) მილში.

ამოცანა № 35

ნათურის სინათლის ძალის გამორკვევა ლუმერ-ბროდხუნის ფოტომეტრით

ხაჭირო იარალები (ნახ. 53): ფოტომეტრული დგამი (AB), რომლის შუა წერტილზე მოთავსებულია ფოტომეტრი (T), ნაპირებზე კი—ნათურები (S_1 და S_2). ამ ნათურებიდან ერთი (S_1) წარმოადგენს ეტალონს (ან ისეთ ნათურას, რომლის სინათლის ძალაც ცნობილია), მეორე (S_2) ნათურის სინათლის ძალა კი გამოსარკვევია.

თეორია. რაიმე ზედაპირის E განათებულობა პირდაპირ პროპორციულია სინათლის (J) ძალისა. იმ (α) კუთხის კოსინუსისა, რომელსაც სხივი შეადგენს ზედაპირისადმი აგებულ ნორმალთან და შექცევით პროპორციულია (r) მანძილის კვადრატისა

$$E=\frac{J}{r^2}\cdot\cos\alpha \qquad (1)$$



ნახ. 53.

ვთქვათ გვაქვს რაიმე ზედაპირი, რომელიც თანაბრადაა განათებული მის მარცხნივ და მარჯვნივ მოთავსებული ნათურებით (S_1 და S_2). ამ ნათურების სინათლის ძალები აღვნიშნოთ J_1 და J_2-ით, მანძილები ფოტომეტრამდე—r_1 და r_2-ით, კუთხეები კი, რომლებსაც ადგენენ სხივები ზედაპირისადმი აგებულ ნორმალთან,—α_1 და α_2-ით, ამ აღნიშვნების თანახმად (1) განტოლება მიიღებს სახეს:

$$E=\frac{J_1}{r_1^2}\cos\alpha_1$$

და

$$E_2 = \frac{J_2}{r_2^2} \cos.\alpha_2.$$

თუ ზედაპირი ორივე ნათურით თანაბრადაა განათებული და $\alpha_1 = \alpha_2$, ე. ი.

$$E_1 = E_2,$$

მაშინ მავიღებთ

$$\frac{J_1}{r_1^2} = \frac{J_2}{r_2^2},$$

საიდანაც გამოსარკვევი ნათურის სინათლის ძალა (J_2)

$$\boxed{J_2 = J_1 \frac{r_2^2}{r_1^2}}$$

ლუმერ-ბროდხუნის ფოტომეტრი წარმოადგენს (ნახ. 54) T კამერას, რომლის შიგნითაც მოთავსებულია ცარციდან ამოჭრილი ფირფიტა (K), სარკეები 1 და 2 და ლუმერის კუბი, რომელიც შედგენილია მინის ორი პრიზმისაგან: abc და fde. ამ პრიზმების გარდატეხის მაჩვენებლები ტოლია; ერთი პრიზმი — სრული შინაგანი არეკლვის პრიზმია (abc), მეორეს კი (cdf) აქვს სფერული ზედაპირი, რომლის ნაწილიც გაბრტყელებულია. ამ გაბრტყელებული ნაწილით იგი მიდებულია მეორე პრიზმზე (abc) სრულ ოპტიკურ კონტაქტამდე, რაც ნიშნავს იმას, რომ ორივე პრიზმი შეხების სიბრტყეში წარმოადგენენ ერთ მთლიან გამჭვირვალე სხეულს.

S_1 და S_2 სინათლის წყაროების შესადარებელი ძალები ეცემა ცარცის ზედაპირს (K); ამ ზედაპირიდან კი განბნეული სინათლე ეცემა 1 და 2 სარკეებს; სარკეებიდან არეკლვის შემდეგ ეს სხივები ეცემა პრიზმებს და კვლავ აირეკლებიან მათი წახნაგებიდან, სინათლე, რომელიც ეცემა პრიზმების შეხების სიბრტყეს (m), გადის ამ პრიზმებში და მილში (CD) შეჭვრეტით ჩვენ მივიღებთ 1 სარკიდან არეკლილ სინათლეს. სხივთა ის კონა, რომელიც ეცემა პრიზმების შეხების სიბრტყეს, გადის ამ კუბში (L). დამკვირვებელი მილში შეჭვრეტით ღებულობს პირველი სარკიდან იმ სხივებს, რომლებიც გადის შეხების სიბრტყეში და მე-2 სარკიდან კი იგი ღებულობს სხივებს სრული შინაგანი არეკლვით. თუ ორივე მხრიდან ფირფიტის (K) გვერდები თანაბრად განათებულნი არ არიან, ამ შემთხვევაში დამკვირვებელი დაინახავს განათებულ ფონზე ბნელ ლაქას, ან პირიქით, ბნელ ფონზე

განათებულ ლაქას. ფირფიტის (*K*) გვერდების ორთავე მხარეს თანაბარი განათების დროს ლაქები ისპობა. ფოტომეტრი და სინათლის შესადარებელი წყაროები მოთავსებულია ოპტიკურ დგამზე (*AB*), რომელზედაც შესაძლებელია მათი სრიალი. ამ დგამს მიმაგრებული აქვს სკალა მილიმეტრიანი დანაყოფებით ნათურების (S_1 და S_2) ფოტომეტრიდან დაშორების მანძილების (r_1 და r_2) გასაგებად. ცდის დროს ფოტომეტრს ვათავსებთ დგამის შუაზე და ნაპირებზე კი—სინათლის წყაროებს (S_1 და S_2). შემდეგ გავაცოცებთ ფოტომეტრს მარჯვნივ ან მარცხნივ ისე, რომ საჭვრეტ მილში (*CD*) მოისპოს ლაქა.



ნახ. 54.

ცდა შეასრულეთ შემდეგი მიმდევრობით: 1. შეადგინეთ დაკვირვებათა ცხრილი.

2. დააყენეთ ფოტომეტრი დგამის შუაზე და სინათლის წყაროები კი დგამის ნაპირებზე.

3. ფოტომეტრის გადანაცვლებით მარცხნივ ან მარჯვნივ მოსპეთ ლაქა მილში (*CD*) და ათვალეთ მანძილები (r_1 და r_2).

5. განიმეორეთ ცდა რამდენჯერმე.

4. გამოთვალეთ ცთომილებანი.

დაკვირვებათა ცხრილი

$J_1 = 1$

რიგის №	მანძილები ფოტომეტრიდან: ცნობილ ნათურამდე r_1-სმ	მანძილები ფოტომეტრიდან: საკვლევ ნათურამდე r_2-სმ	$J_2 = J_1 \frac{r_2^2}{r_1^2}$	ΔJ_2

ამოცანა № 36

ნათურას გარშემო სინათლის ნაკადის განაწილების გამოკვლევა ლუმერ-ბროდხუნის ფოტომეტრით

საჭირო იარაღები: ფოტომეტრის დგამი (AB), რომლის შუა წერტილზე მოთავსებულია ფოტომეტრი T, ნაპირებზე კი—ნათურები (S_1 და S_2). ამ ნათურებიდან ერთი (S_1) წარმოადგენს ეტალონის ნათურას (ან ისეთ ნათურას, რომლის სინათლის ძალაც ცნობილია), მეორე ნათურის სინათლის ძალას კი გამოვარკვევთ განტოლებით:

$$J_2 = J_1 \frac{r_2^2}{r_1^2}.$$



ნახ. 55.

ხელსაწყოს აღწერა (ნახ. 55). მოცემულია ოპტიკური დგამი (იხ. წინა ამოცანა) ლუმერ-ბროდხუნის ფოტომეტრით და მის ნაპირებზე სინათლის წყაროები. ერთი მათგანის (S_1) სინათლის ძალა ცნობილია და მეორეს (S_2) კი—უცნობია.

ამოცანის მიზანს შეადგენს გრაფიკული გამოკვლევა სინათლის ნაკადისა, რომელსაც იძლევა ეს ნათურა.

ნათურა (S_2) ბრუნავს ჰორიზონტალურ ღეროს გარშემო. ბრუნვის ღერძს მიმაგრებული აქვს ისარი (K), რომელიც ბრუნავს ნათურასთან ერთად. ეს ისარი (K) ნათურის მობრუნების კუთხის მაჩვენებელია.

ცდა შეასრულეთ შემდეგი მიმდევრობით: 1. შეადგინეთ დაკვირვებათა ცხრილი.

2. დააყენეთ საკვლევი ნათურა ისე, რომ კუთხის მაჩვენებელი ისარი იყოს 0-ზე (ეს იქნება ნულოვანი ანათვალი).

გამოთვალეთ J_2 განტოლებით:

$$J_2=J_1\frac{r_2^2}{r_1^2}$$ (იხ. წინა ამოცანა).

3. შემოაბრუნეთ ნათურა 30°-ით და გამოთვალეთ ამ შემთხვევისთვის J_2-ის მნიშვნელობა.

4. გაადიდეთ კუთხე ოცდაათ-ოცდაათი გრადუსით და თითოეული მომენტისათვის გამოთვალეთ J_2-ს მნიშვნელობანი.

5. ნებისმიერი რადიუსით შემოხაზეთ წრეხაზი და ჩახაზეთ 12 ტოლი ცენტრალური კუთხე. ამ კუთხეების გვერდებზე შესაბამად გადაზომეთ J_2-ს მიღებული მნიშვნელობანი წინასწარ შერჩეული მასშტაბით.

დაკვირვებათა ცხრილი

$J_1=1$

ცდის №	კუთხეების ანათვლები	მანძილები		J_2	ცთომილება
		r_1-სმ	r_2-სმ		



ნახ. 56.

ამოცანა № 37

ნათურის სინათლის ძალის განსაზღვრა ბუნზენის ფოტომეტრით

საჭირო ხელსაწყოები (ნახ. 57): დაფა დანაყოფებით (*AB* ოპტიკური დგამი), რომელზედაც მოთავსებულია სამი მცოცი ანუ სრიალა. ამ სრიალაზე დამაგრებულია: *f* ფოტომეტრი (შუაზე) და ელნათურები (S_1 და S_2) მის მარცხნივ და მარჯვნივ. ერთ-ერთი ნათურის სინათლის ძალა წინასწარ ცნობილია.

თეორია. როგორც ცნობილია, სინათლის ძალის ერთეულად მიღებულია, ე. წ. საერთაშორისო სანთელი. პრაქტიკაში ამ ერთეულით სარგებლობის გასაადვილებლად ამზადებენ ელნათურებს, რომელთა სინათლის ძალაც ზუსტად ტოლია ერთი ან რამდენიმე საერთაშორისო სანთლისა. ცნობილია, რომ სინათლის ძალა პროპორციულია სინათლის წყაროს მიერ გამოსხივებული ენერგიისა. ცნობილია აგრეთვე, რომ ზედაპირის განათებულება გაიზომება ენერგიის იმ რაოდენობით, რომელიც ყოველ წამში ეცემა ფართის ერთეულს და თანაბრადაა მასზე განაწილებული.

თუ განათებულებას აღვნიშნავთ E-თი, სინათლის ძალას J-თი და ფართის დაშორებას სინათლის წყაროდან r-ით, მაშინ განათებულებისათვის მივიღებთ ასეთ ფორმულას

$$E=\frac{J}{r^2}\cos\alpha \qquad (1)$$

სადაც α კუთხეა სხივსა და ფართისადმი აგებულ ნორმალს შორის. ვთქვათ, გვაქვს სინათლის ორი წყარო: S_1 და S_2, რომლებიც ერთნაირად ანათებენ რაიმე ფართის ორივე მხარეს და სხივები ამ ფართისადმი ნორმალებთან ერთნაირ კუთხეებს ქმნიან, ე. ი. $\alpha_1=\alpha_2$.

დავწეროთ განათებულების ფორმულა თითოეულ შემთხვევისათვის.

$$E_1 = \frac{J_1}{r_1^2} \cos \alpha_1$$

და

$$E_2 = \frac{J_2}{r_2^2} \cos \alpha_2.$$

რადგან პირობის თანახმად

$$E_1 = E_2$$

და

$$\alpha_1 = \alpha_2$$

ამიტომ შეგვიძლია დავწეროთ:

$$\frac{J_1}{J_2} = \frac{r_1^2}{r_2^2},$$

საიდანაც საკვლევი ნათურის სინათლის ძალა

$$J_2 = J_1 \frac{r_2^2}{r_1^2}.$$

ბუნზენის ფოტომეტრში ფარის როლს თამაშობს ქაღალდის ფურცელი, რომლის შუა ალაგზე ზეთის ლაქაა.



ნახ. 57.

ქაღალდთან შედარებით ზეთის ლაქა მეტ სხივებს გაატარებს, ამიტომ, თუ მას უყურებთ სხივების მიმართულებით, ლაქა უფრო მკრთალად გვეჩვენება, ვიდრე ქაღალდის ზედაპირი. თუ კი მას უცქერით დაცემული სხივების საწინააღმდეგო მიმართულებით, მაშინ ლაქა მოგვეჩვენება უფრო განათებულად, ქაღალდის ზედაპირთან შედარებით.

თუ განათებულება ორთავე მხრიდან ერთნაირია, მაშინ ლაქა შე-

უმჩნეველი უნდა იყოს. ამ მიზნით ვასრიალოთ ნათურები მანამდე, სანამ ეს ლაქა არ დაიკარგება (ლაქას მთლიანი მოსპობა შეუძლებელია).

ცდა შეასრულეთ შემდეგი მიმდევრობით: 1. შევადგინოთ დაკვირვებათა ცხრილი, რომელშიაც შევიტანოთ გაზომვის შედეგად მიღებული რიცხვები.

2. დავაყენოთ ფოტომეტრი დგამის შუაზე, ნათურები კი—დგამის ნაპირებზე.

3. ნათურების გადაწევ-გადმოწევით მივაღწიოთ ლაქის დაკარგვას და ავითვალოთ r_1 და r_2 მანძილები.

4. გამოვთვალოთ J_2 და ცდა განვიმეოროთ რამდენიმეჯერ.

5. გამოვთვალოთ აბსოლუტური და ფარდობითი ცთომილებანი.

დაკვირვებათა ცხრილი

რიგის №	მანძილები		J_1	$J_2 = J_1 \frac{r_2^2}{r_1^2}$	შენიშვნა
	ფოტომეტრიდან ცნობილ ნათურამდე r_1-სმ	ფოტომეტრიდან საკვლევ ნათურამდე r_2-სმ			

ამოცანა № 38

ჩაზნექილი სფერული სარკის ფოკალური მანძილის გამოთვლა

საჭირო იარაღები (ნახ. 58): ჩაზნექილი სარკე; მკრთალი მინა (A), რომელზედაც დახაზულია უჯრები; ამ მინის უკან იდგმება ელნათურა (S); მასშტაბი მილიმეტრიანი დანაყოფებით.

თუ ჩაზნექილი სფერული სარკის მთავარი ოპტიკური ღერძის (OC) პარალელურად (ნახ. 59) ეცემიან სხივები, მაშინ ყველა ეს სხივები არეკლვის შემდეგ ერთმანეთს გადაჰკვეთენ ერთ წერტილში. ამ წერტილს სარკის მთავარი ფოკუსი ეწოდება, სარკის შუა (O) წერტილს და მთავარ ფოკუსს შორის მანძილს კი ფოკალური მანძილი. თეორია ამტკიცებს, რომ სფერული სარკის მთავარი ფოკალური მანძილი ამ

სარკის სიმრუდის რადიუსის ნახევარს შეადგენს. მთავარი ფოკალური მანძილის გამოსათვლელად სხვადასხვა მეთოდი არსებობს.

იმ შემთხვევაში, როდესაც A წერტილი დაშორებულია სარკეს d სმ-ით და მიღებული გამოსახულება იმავე სარკეს დაშორებულია f სმ-ით [1]), მაშინ თეორიის თანახმად, მთავარი ფოკალური მანძილისათვის (F) ვღებულობთ



ნახ. 58.

$$F=\frac{df}{d+f} \qquad (1)$$

მაშასადამე, თუ ვიცით d და f-ის მნიშვნელობანი, ვიპოვით F-ის მნიშვნელობას.

დავაკავშიროთ F-ი საგნის და გამოსახულების სიმაღლესთან (x და y). (ნახ. 61).



ნახ. 59.

რადგან $\triangle ABC \backsim \triangle KDC$ (ნახ. 61), ამიტომ საგნის სიმაღლე (x) ისე ეფარდება გამოსახულების სიმაღლეს (y), როგორც $CA=d-R=$ $=d-2F$ ეფარდება $KC=R-f=2F-f$, ე. ი.

[1]) იგულისხმება, რომ წერტილიდან გამავალი სხივები მთავარ ოპტიკურ ღერძთან მცირე კუთხეს ქმნიან.

$$\frac{x}{y}=\frac{CA}{KC}$$

(1)-დან გვაქვს

$$f=\frac{Fd}{d-F}$$

და

$$d=\frac{fF}{f-F}$$



ნახ. 60.

ამიტომ:

$$CA=\frac{fF}{f-F}-2F=\frac{fF-2fF+2F^2}{f-F}=\frac{2F^2-fF}{f-F}=\frac{F(2F-f)}{f-F}$$

და

$$KC=2F-\frac{Fd}{d-F}=\frac{2dF-2F^2-Fd}{d-F}=\frac{Fd-2F^2}{d-F}=\frac{F(d-2F)}{d-F}$$



ნახ. 61.

ამიტომ

$$\frac{x}{y}=\frac{(d-2F)}{\frac{F(d-2F)}{d-F}},$$

შეკვეცის შემდეგ მივიღებთ:

$$\frac{x}{y}=\frac{d-F}{F} \tag{2}$$

ან

$$\frac{x}{y}=\frac{\frac{F(2F-f)}{f-F}}{2F-f},$$

შეკვეცის შემდეგ მივიღებთ

$$\frac{x}{y}=\frac{F}{f-F} \tag{3}$$

თუ მეორე და მესამე განტოლებებს ამოვხსნით F-ის მიმართ, მივიღებთ:

$$F=\frac{yd}{x+y}$$

და

$$F=\frac{xf}{x+y}.$$

მაშასადამე, საბოლოოდ ფოკალური მანძილის (F) გამოსათვლელად, გვექნება სამი ფორმულა:

$$F=\frac{df}{d+f}; \qquad F=\frac{yd}{x+y} \quad \text{და} \quad F=\frac{xf}{x+y}$$

ამ განტოლებებში: d—მანძილია საგანსა და სარკეს შორის; f—გამოსახულობასა (ეკრანსა) და სარკეს შორის; x—საგნის სიმაღლეა და y—კი გამოსახულების სიმაღლეა. ანალოგიურად ამისა, თუ საგნის სიგანეს აღვიშნავთ x_1-ით და გამოსახულების სიმაღლეს y_1-ით, მივიღებთ:

$$F=\frac{fx_1}{x_2+y_1}$$

ცდა ვაწარმოოთ შემდეგი მიმდევრობით: 1. შევადგინოთ დაკვირვებათა ცხრილი, რომელშიაც შევიტანოთ გაზომვის შედეგად მიღებული მნიშვნელობანი.

2. მოვათავსოთ საგანი ისეთ მანძილზე სარკიდან, რომ მივიღოთ ამ საგნის რაც შეიძლება ნათელი გამოსახულება ეკრანზე.

3. გავზომოთ მანძილი სარკესა და საგანს შორის (d სმ); გავზომოთ მანძილი სარკესა და გამოსახულებას (ეკრანს) შორის (f სმ).

4. გავზომოთ საგნის სიმაღლე—x სმ და გამოსახულების—y სმ.

5. გავზომოთ საგნის ფუძე—x_1 სმ და გამოსახულების ფუძე—y_1 სმ.

6. შევცვალოთ მანძილი სარკესა და საგანს შორის და კვლავ აღნიშნული წესით ვაწარმოოთ ათვლა.

7. გამოვთვალოთ F-ის მნიშვნელობა.

8. ცდა განვიმეოროთ რამდენიმეჯერ და გამოვთვალოთ ცთომილებანი.

დაკვირვებათა ცხრილი

რიგის №	მანძილები		სიმაღლე		ფუძე		$F=\frac{fd}{d+f}$	$F_1=\frac{dy_1}{x_1+y_1}=\frac{fx_1}{x_1+y_1}$	$F_2=\frac{dy_2}{x_2+y_2}=\frac{fx_2}{x_2+y_2}$
	საგანს და სარკეს შორის d-სმ	ეკრანს და სარკეს შორის f-სმ	საგნისა x_1-სმ	გამოსახულებისა y_1-სმ	საგნისა x_2-სმ	გამოსახულებისა y_2-სმ			

ამოცანა № 39

ლინზის ფოკალური მანძილის და ოპტიკური ძალის განსაზღვრა

საჭირო ხელსაწყოები (ნახ. 62): ოპტიკური დგამის შუაზე მოთავსებულია ხის ჩარჩო, რომელშიაც ჩადგმულია ლინზა; ამ ლინზის ერთ მხარეზე მოთავსებულია სხეული (სხეულად ვიღებთ ხის ბუდეში მოთავსებულ ელნათურას. ამ ბუდეს ლინზის მიმართულებით აქვს ხვრელი). ლინზის მეორე მხარეზე მოთავსებულია ეკრანი.

ფიზიკის ელემენტარული კურსიდან ცნობილია, რომ ორმხრივ ამოზნექილი ლინზის ძირითადი ფორმულა ასეთია:

$$\frac{1}{F}=\frac{1}{d}+\frac{1}{f} \qquad (1)$$

ანუ

$$\boxed{F=\frac{fd}{d+f}} \qquad (2)$$

სადაც d მანძილია სხეულსა და ლინზას შორის, f კი — მანძილი ეკრანსა და სხეულს შორის.

მე-(2) განტოლებიდან ჩანს, რომ ლინზის მთავარი ფოკალური (F) მანძილის საპოვნელად საჭირო ყოფილა: მანძილი საგნიდან ლინზამდე (d-სმ) და გამოსახულებიდან (ეკრანიდან) ლინზამდე (f-სმ).

თუ ფოკალური მანძილი გამოვთვალეთ, მაშინ შესაძლებელია ამ ლინზის ოპტიკური ძალის განსაზღვრაც.



ნახ. 62.

როგორც ცნობილია, ლინზის ოპტიკური ძალა ისეთ სიდიდეს ეწოდება, რომელიც რიცხობრივ ტოლია ფოკალური მანძილის (F) შებრუნებულ სიდიდის $\left(\frac{1}{F}\right)$ და გაიზომება ერთეულებში, რომელსაც დიოპტრი ეწოდება. ერთი დიოპტრი ოპტიკური ძალა ისეთ შემკრებ ლინზას აქვს, რომლის ფოკალური მანძილი — 1 მეტრია. ლინზის ოპტიკური ძალა დიოპტრებში რომ გაიზომოს, საჭიროა მისი ფოკალური მანძილის მეტრებში გამოსახვა. გამფანტავი ლინზების ოპტიკური ძალა უარყოფითია.

ცდას ვასრულებთ შემდეგი მიმდევრობით: 1. შევადგინოთ დაკვირვებათა ცხრილი.

2. საგნის მკაფიო გამოსახულების მისაღებად ეკრანზე ვამოძრაოთ უკანასკნელი და აგრეთვე ლინზაც ოპტიკურ დგამზე.

3. ეკრანზე მკაფიო გამოსახულების მიღების შემდეგ ავითვალოთ მანძილები d და f.

4. ჩავსვათ მიღებული მნიშვნელობანი ფ-(2)-ში და გამოვთვალოთ F.

5. ცდა გავიმეოროთ რამდენიმეჯერ და გამოვთვალოთ ცთომილებანი.

დაკვირვებათა ცხრილი

რიგის №	მანძილები		ლინზის მთავარი ფოკალური მანძილი F-სმ	ლინზის ოპტიკური ძალა $\frac{1}{F}$ ც.
	საგნიდან ლინზამდე d-სმ	ეკრანიდან ლინზამდე f-სმ		

ამოცანა № 40

მინის გარდატეხის კოეფიციენტის განსაზღვრა

საჭირო ხელსაწყოები და მასალა: 1) მინის პარალელეპიპედი, 2) მილიმეტრიანი ქაღალდი და 3) ქინძისთავები.

თუ სინათლის სხივი ერთი გარემოდან მეორეში გადადის, მაშინ სხივი იცვლის მიმართულებას. ამ მოვლენას **სინათლის გარდატეხა** ეწოდება. სინათლის გარდატეხის შესახებ დამყარებულია შემდეგი კანონები:

1. დაცემული სხივი, გარდატეხილი სხივი და დაცემის წერტილში აღმართული პერპენდიკულარი ერთ სიბრტყეში მდებარეობენ.

2. მოცემული წყვილი გარემოსათვის დაცემისა და გარდატეხის კუთხეების სინუსების შეფარდება მუდმივი სიდიდეა, რომელსაც ეწოდება გარდატეხის მაჩვენებელი მეორე გარემოსი პირველის მიმართ და ასე აღინიშნება:

$$n_{1,2}=\frac{\sin\alpha}{\sin\beta},$$

სადაც α დაცემის კუთხეა, ე. ი. კუთხე, რომელსაც ჰქმნის დაცემული სხივი გარდამტეხ გარემოს ზედაპირისადმი დაცემის წერტილში აღმართულ პერპენდიკულართან; β გარდატეხის კუთხეა, ე. ი. კუთხე, რომელსაც ჰქმნის გარდატეხილი სხივი პერპენდიკულართან.

თუ გადატეხის კოეფიციენტი გარემოსი გამოანგარიშებულია იმ შემთხვევისათვის, როცა სხივი გადადის სიცარიელედან მოცემულ გარემოში, მაშინ ასეთ გადატეხის მაჩვენებელს ეწოდება მოცემული გარემოს გადატეხის აბსოლუტური მაჩვენებელი და ასე აღინიშნება:

$$n_{0,1}=\frac{\sin\alpha}{\sin\beta}$$

ჩვენი ამოცანის მიზანია: გამოვიანგარიშოთ მინის გადატეხის მაჩვენებელი ჰაერის მიმართ, რაც დაახლოებით მინის აბსოლუტურ მაჩვენებელს უდრის.

ცდის მსვლელობა: მინის $ABCD$ პარალელეპიპედი დავდოთ მილიმეტრიან ქაღალდზე და ფანქრით შემოვავლოთ მისი გვერდები $ABCD$ მილიმეტრიან ქაღალდზე, AB გვერდის ზევით M წერტილში, დავარჭოთ ქინძისთავი, ხოლო მერე ქინძისთავი ჩავარჭოთ AB გვერდის რომელიმე N წერტილში. შემდეგ CD გვერდიდან გავხედოთ MN ხაზს და მესამე ქინძისთავი ჩავარჭოთ ისეთ წერტილში (S),



ნახ. 63.

რომ სამივე ქინძისთავი მოგვეჩვენოს მინაში ერთ სწორ ხაზზე (MNS) დალაგებული. სინამდვილეში MNS არის ტეხილი ხაზი, რადგან სხივი პარალელეპიპედმა გადატეხა. დავნიშნოთ ქინძისთავის დამაგრების M, N და S წერტილები და ავიღოთ პარალელეპიპედი. ეს წერტილები შევაერთოთ ტეხილი ხაზით.

$\angle MNR=\alpha$ დაცემის კუთხეა და $\angle TNS=\beta$ გადატეხის კუთხე. მაშინ ჰაერის მიმართ მინის გადატეხის კოეფიციენტი:

$$n_{0,1}=\frac{\sin\alpha}{\sin\beta};$$

ნებისმიერ (r) რადიუსით N წერტილიდან შემოვხაზოთ წრეხაზი; დავუშვათ მართობები PR და C_1K, მაშინ:

$$\sin\alpha = \frac{PR}{r};$$

$$r = PN;$$

და

$$\sin\beta = \frac{c_1k}{r};$$

ამიტომ:

$$n_{0,1} = \frac{\frac{PR}{r}}{\frac{ck}{r}} = \frac{PR}{ck};$$

$$n_{0,1} = \frac{PR}{ck} \qquad (1)$$

გავზომოთ მილიმეტრიან ქაღალდზე PR და C_1K, ჩავსვათ (1) ფორმულაში და მივიღებთ n-ის მნიშვნელობას. ცდა გავიმეოროთ 5-ჯერ და გამოვთვალოთ, როგორც აბსოლუტური, ისე ფარდობითი ცთომილებანი.

დაკვირვებათა ცხრილი

რიგის №	PR სიგრძე მმ-ში	C_1K სიგრძე მმ-ში	გადატეხის მაჩვენებელი $n=\frac{PR}{C_1K}$	აბსოლ. ცთომილება Δn
1				
2				
3				
4				
5				

ამოცანა № 41

ჭოგრის გადიდების გამოთვლა

საჭირო ხელსაწყოები: ჭოგრი და ვერტიკალური სკალა.

თეორია. ფიზიკის ელემენტარული კურსიდან ცნობილია, რომ თვალის წინა კამერა (A) (ნახ. 64), ბროლი[1]) (B) და მინისმაგვარი სითხე, რომელიც ავსებს თვალის შიდა კამერას ბროლის უკან,—ერთ

[1]) ორ მხრივ ამოზნექილი გამჭვირვალე სხეული.

მთლიან ოპტიკურ სისტემას წარმოადგენენ. ამ სისტემის ოპტიკურ ცენტრს (K), რომელიც დაახლოებით მდებარეობს ბროლის უკან, **თვალის კვანძი** ეწოდება. ცნობილია აგრეთვე, რომ რაიმე სხეულის ორი განაპირა წერტილიდან გატარებული ხაზებით შედგენილ კუთხეს, რომლის წვეროც თვალის კვანძშია (K) **მხედველობის კუთხე** ეწოდება (α).

64 ნახაზიდან ჩანს, რომ რაც უფრო ახლოა საგანი თვალთან, მით მეტია მხედველობის კუთხე. თუ მხედველობის კუთხე დიდია—საგანი უფრო მკაფიოდ გვეჩვენება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი—პირიქით. ყოველ თვალისთვის არსებობს ე. წ. საუკეთესო მხედველობის მანძილი. ნორმალურ თვალისთვის საუკეთესო მხედველობის მანძილი დაახლოებით 25 სმ-ია. თუ საგანი თვალიდან ამ მანძილზე შორსაა, იმ



ნახ. 64.

შემთხვევაში, ცხადია, მხედველობის კუთხე შემცირდება და როგორც აღნიშნული იყო, მხედველობის კუთხის შემცირება გამოიწვევს იმას, რომ საგანი თვალისთვის ისე მკაფიო აღარ იქნება. საგნის დაშორების გარდა თვალიდან, მხედველობის კუთხე კიდევ იმაზეა დამოკიდებული, შეიარაღებულია თუ არა თვალი რაიმე ოპტიკური ხელსაწყოთი. ვთქვათ საგანს, რომელიც გარკვეული მანძილითაა დაცილებული ჩვენგან ვუცქერით, როგორც ჭოგრით, აგრეთვე შეუიარაღებელი თვალით. პირველ შემთხვევაში მხედველობის კუთხე მეტი იქნება, ვიდრე მეორეში. ოპტიკური იარაღით შეიარაღებული თვალით მიღებულ მხედველობის კუთხის შეფარდებას იმ მხედველობის კუთხესთან, რომელსაც მივიღებთ შეუიარაღებელი თვალით, **ოპტიკური იარაღის გადიდება** ეწოდება.

მაშასადამე, ამოცანის შესრულება მოითხოვს, რომ ერთ და იმავე საგანს (მაგ., ვერტიკალურ სკალას) უყურებდეთ ერთდროულად, როგორც შეიარაღებული, აგრეთვე შეუიარაღებელი თვალითაც. დავუშვათ, რომ ჭოგრის საშუალებით უყურებთ რაიმე ვერტიკალურ სკალას (საგანი), რომელიც ამ ჭოგრიდან დაშორებულია 4-5 მეტრით. თუ ცალი თვალი (მაგ., მარჯვენა) შეიარაღებულია ჭოგრით და მე-

ორე კი (მარცხენა) შეუიარაღებელია და ასეთ პირობებში ვაწარმოებთ სკალის ათვლას. მაშინ აშკარაა, რომ ჭოგრით შეიარაღებული თვალი მეტ დანაყოფს აითვლის (N), ვიდრე შეუიარაღებელი (n). ფარდობია $\frac{N}{n}$ წარმოადგენს ჭოგრის გადიდებას (W), მაშასადამე, მივიღებთ

$$W=\frac{N}{n}$$

მაგ., თუ ჭოგრით ჩვენ დავითვალეთ 100 დანაყოფი ვერტიკალურ სკალაზე, შეუიარაღებელი თვალით კი—4, მაშინ $W=25$.

ცდის შესრულების მიმდევრობა უკვე აღნიშნულია თეორიაში.



ნახ. 65.

დაკვირვებათა ცხრილი

რიგის №	დანაყოფების რაოდენობა, რომელსაც ვხედავთ ვერტიკალურ სკალაზე		ჭოგრის გადიდება $W=\frac{N}{n}$
	შეიარაღებული თვალით N	შეუიარაღებელი თვალით n	

ამოცანა № 42

მიკროსკოპის გადიდების განსაზღვრა

საჭირო ხელსაწყოები: 1) მიკროსკოპი, 2) საობიექტივო მიკრომეტრი, 3) მილიმეტრიანი მასშტაბი და 4) 45°კუთხით დახრილი სარკე.

ოპტიკური იარაღის გადიდება ეწოდება გამოსახულების ხაზოვანი ზომების შეფარდებას საგნის ხაზოვან ზომებთან. როგორც ვიცით, მიკროსკოპი შესდგება ობიექტივისა და ოკულარისაგან, ამიტომ მისი გადიდება უდრის ობიექტივის და ოკულარის გადიდებათა ნამრავლს. როგორც ოკულარი, ისე ობიექტივი ლინზების მეტად რთულ სისტემებს წარმოადგენს, ამიტომ მათი გადიდების ცალ-ცალკე გამოთვლა ძნელია. არსებობს მარტივი ხერხი, რომლითაც შესაძლებელია მიკროსკოპის მთლიანი გადიდების განსაზღვრა. ეს ხერხი შემდეგში მდგომარეობს:

ორი საგნის დაკვირვებას ვაწარმოებთ ერთდროულად: ერთს ვაკვირდებით მიკროსკოპის საშუალებით, მეორეს კი შეუიარაღებელი თვალით. ჩვენს ამოცანაში ასეთი საგნებია: 1) საობიექტივო[1] მიკრომეტრი, რომელსაც ვათავსებთ მიკროსკოპის ობიექტივის ქვეშ.

2) მილიმეტრიანი მასშტაბი N, რომელიც მოთავსებულია მიკროსკოპიდან 25 სმ-ის დაშორებით. (ნახ. 66). ჩვენ ერთდროულად უნდა ვაწარმოოთ დაკვირვება, როგორც ობიექტივის მიკრომეტრზე, ისე N მასშტაბის სკალაზე. თუ მასშტაბის „A" დანაყოფი ემთხვევა მიკრომეტრის „B" დანაყოფს, მაშინ მიკროსკოპის გადიდება გამოიხატება:

$$K=\frac{A}{0{,}1\ B} \qquad (I)$$

სადაც 0,1 მმ მიკრომეტრის დანაყოფის ფასია.

N მასშტაბის დანაყოფის ფასია 1 მმ.

ცდის მსვლელობა: 1. ობიექტივის მიკრომეტრი მოათავსეთ მიკროსკოპის ობიექტივის ქვეშ.

2. ოკულარზე (O) ჩამოაცვით ცილინდრი, რომელზედაც მოთავსებულია 45°-ით დახრილი m სარკე.

3. მიკროსკოპიდან დაახლოვებით 25 სმ-ის დაშორებით მოათავსეთ N მასშტაბი ისე, რომ ობიექტივის ხვრელში გამოჩნდეს ერთ-

---

[1]) საობიექტივო მიკრომეტრი მინის ფირფიტაა, რომელზედაც ძლიერ ახლოსაა გატარებული პარალელური ხაზები.

დროულად ერთმანეთზე დამთხვეული მიკრომეტრისა და N სკალის დანაყოფები. ობიექტივის ქვეშ არსებული მიკროსკოპის სარკე უნდა აბრუნოთ ისე, რომ ოკულარში მხედველობითი არე კარგად განათებული გამოჩნდეს. მიკროსკოპის ტუბუსი ხრახნის საშუალებით უნდა ამოძრაოთ ისე, რომ მხედველობის არეში გარკვევით გამოჩნდეს მიკრომეტრის დანაყოფები.



ნახ. 66.

4. აითვალეთ მიკრომეტრის ის დანაყოფი, რომელიც ჩანს ოკულარის ხვრელში; მათი რიცხვი „A“ შეიტანეთ დაკვირვებათა ცხრილში.

5. აითვალეთ N სკალის ის დანაყოფი, რომელიც ემთხვევა მიკრომეტრის A დანაყოფს; ეს რიცხვი „B“ შეიტანეთ დაკვირვებათა ცხრილში.

6. „A“ და „B“-ს მნიშვნელობათა მიხედვით (I) ფორმულიდან გამოთვალეთ K.

ცდა განიმეორეთ სამჯერ და გამოთვალეთ გადიდების საშუალო მნიშვნელობა.

დაკვირვებათა ცხრილი

რიგის №	მიკრომეტრის დანაყოფები	N სკალის დანაყოფები	გადიდება
რიგზე	A	B	K
1			
2			
3			

ამოცანა № 43

სპექტროსკოპის სკალის დაგრადუირება ჰელიუმის სპექტრის საშუალებით

საჭირო ხელსაწყოები: 1) სპექტროსკოპი, 2) აკუმულატორი და 3) მილები წყალბადის და ჰელიუმის აირით.

თუ სამწახნაგოვან პრიზმაში გავატარებთ გავარვარებული აირის მიერ გამოსხივებულ სინათლის სხივებს, მაშინ მივიღებთ სპექტრს, რომელიც შედგება რამდენიმე სხვადასხვა ფერის ცალკე ხაზებისაგან. ასეთ სპექტრს **ხაზოვანი სპექტრი** ეწოდება.

ყოველ აირს თავისი დამახასიათებელი ხაზოვანი სპექტრი აქვს.

ხაზოვანი სპექტრის შესწავლით შეიძლება გავზომოთ გამოსხივებული რომელიმე ფერის ტალღის სიგრძე. მრავალმეთოდთა შორის უმარტივეს ხერხს წარმოადგენს რომელიმე ფერის ტალღის სიგრძის გაზომვა სპექტროსკოპის საშუალებით.

სპექტროსკოპი (ნახ. 67) ორი ერთმანეთთან მიმაგრებულ მილებისაგან შედგება: ერთი გრძელი მილია (A), მეორე კი მოკლე (B).

გრძელ მილს ერთმხარეზე აქვს ხვრელი (i), რომლის წინ აყენებენ სხივების წყაროს, ხოლო მეორე მხარეზე საჭვრეტი-ოკულარი (O); მილში არის სამწახნაგოვანი პრიზმი—(m), რომელიც შლის რთულ სხივს შემადგენელ ფერის სხივებად.

მოკლე მილის (B) ბოლოზე, შიგნით, არის გამჭვირვალე (S) სკალა, რომლის წინ აყენებენ სინათლის წყაროს.

(A) მილის (i) ხვრელიდან შესული სხივი გაივლის სამკუთხოვან (m) პრიზმაში და დაიშლება შემადგენელი ფერების სხივებად ისე, რომ სხვადასხვა ფერის შესაბამი ზოლი დაემთხვევა სკალის სხვადასხვადანაყოფს.

მოკლე (B) მილში შემოსული სინათლის სხივი გაივლის გამჭვირვალე

(S) სკალაში, აირეკლება (C) სარკიდან და მოხვდება ოკულარის მხედველობის არეში.

ამიტომ დამკვირვებელი ერთდროულად ხედავს სპექტრს და სკალას, რაც საშუალებას აძლევს მას აითვალოს, თუ რომელი ფერის ზოლი რა დანაყოფს ემთხვევა.

ცდის მსვლელობა: 1) ჩართეთ წრედში გეისლერის მილი ჰელიუმით და დააყენეთ სპექტროსკოპის i ხვრელის წინ (თუ ხვრელი ფართოა, მოაწესრიგეთ ff_1 ხრახნის ტრიალით).

2) აითვალეთ, რა ფერის ზოლი რომელ დანაყოფს ემთხვევა და შეიტანეთ ცხრილში შესაბამი ტალღის სიგრძის გასწვრივ.

3) **ააგეთ გრაფიკი:** აბსცისათა ღერძზე გადაზომეთ სკალის დანაყოფების პროპორციული სიდიდეები, ხოლო ვერტიკალურ ღერძზე შესაბამ ტალღის სიგრძეთა პროპორციული სიდიდეები.



ნახ. 67.

4) ჩართეთ წრედში გეისლერის მილი წყალბადით და დაინიშნეთ, რა ფერის ხაზი რომელ დანაყოფს ემთხვევა.

5) აგებული გრაფიკის საშუალებით გაიგეთ წყალბადის გამოსხივების ფერების ტალღის სიგრძე.

აქვე მოცემულია ჰელიუმის მიერ გამოსხივებული ფერების ტალღის სიგრძეთა ცხრილი.

	კ ე ლ ი უ მ ი ს ა თ ვ ი ს			წ ყ ა ლ ბ ა დ ი ს ა თ ვ ი ს	
—	ფერები	ტალღის სიგრძე	სკალის დანაყოფი	სკალის დანაყოფი	ტალღის სიგრძე
1	I წითელი	706,8			
2	II წითელი	667,8			
3	ყვითელი	587,6			
4	მწვანე	500,6			
5	ლურჯი	471,3			
6	I იისფერი	447,1			
7	II იისფერი	402,6			

ამოცანა № 44

შთანთქმის სპექტრების შესწავლა

თუ გავარვარებული მყარი სხეულის მიერ გამოსხივებულ სხივებს გავატარებთ ფერად გარემოში (ფერადი მინა ან შეფერადებული სითხე) და შემდეგ სპექტროსკოპში, მაშინ მივიღებთ **შთანთქმის სპექტრს.**

შთანთქმის სპექტრში ზოგიერთი ზოლები მთლიანად ან ნაწილობრივ დაბნელებულია. ამ ზოლებს **შთანთქმის ზოლები** ეწოდება.

შთანთქმის ზოლების წარმოქმნა ასე აიხსნება:

გავარვარებულ მდგომარეობაში სხეული გამოასხივებს ყველა ფერის სხივებს; მაგრამ ზოგიერთ მათგანს შთანთქავს ის ფერადი გარემო, რომელშიც გავატარეთ სხივები. ამ შთანთქმული ფერების სხივების ადგილები სპექტრში ნაწილობრივ ან მთლიანად დაბნელებული რჩება.

შთანთქმის ზოლები სხვადასხვა მშთანთქმელ გარემოსათვის სხვადასხვაა.

